

K $\frac{103802}{2}$



სრულიად საქართველოს

აჭარელ და თურქ ქალთა ყრილობა

შ. 2014-299712

396
2-88


სრულიად საქართველოს

აქარელ და თურქ ქალთა ყრილობა

~~103802~~
K 103802
2

სტენოგრაფიული ანგარიში

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება



საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება
ლავის გამოსემა.
თბილისი 1929 წელი.

ს. მ. უ. ს.
პოლიგრაფტრესტის
მე-5-ე სტამბა
მთავლიტი № 352
ტირაჟი № 3.000

წინასიტყვაობის მაგიერ

აჭარელ და თურქ ქალთა სრულად საქართველოს პირველი ყრილობა, როგორც ეს ამავე ყრილობის სტენოგრაფიულ ანგარიშიდან სჩანს, მიმდინარეობდა აჭარისტანის დედა-ქალაქ ბათომში. ყრილობა გაიხსნა 1921 წლის რვა თებერვალს და დაიხურა მესამე დღეს, 10 თებერვალს.

აჭარელ და თურქ ქალთა ძველ, სულს, შემხუთავ ყოფა-ცხოვრების პირობებისაგან განთავისუფლების საქმეში ყრილობას უთუოდ განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა ექნება. აღსანიშნავია, რომ მოძრაობა აჭარელ და თურქ ქალთა განთავისუფლებისათვის თავიდანვე უმთავრესად მიმართული იყო ქალის ადამიანური ღირსების ფეხქვეშ გათელების, დედაკაცის დაპოვნების ყველაზე უფრო აშკარა და უმზავესო გამოხატულებების—ჩადრის წინააღმდეგ.

ძირს ჩადრი! ამ ლოზუნგით დაიწყო და დაასრულა თავისი მუშაობა აჭარელ და თურქ ქალთა ყრილობამ. ეს განსაკუთრებით გასაგებ და საგულახსნობა სწორედ აჭარისტანში: საბჭოთა კავშირში არის მუხსულმან მოსახლეობის სხვა რაიონებიც. ქალი, როგორც, საზოგადოდ, ყველგან, აქაც შებოჭილია ძველი ყოფა-ცხოვრების არტაჩებით. მაგრამ ჩადრი ბევრ ამ რაიონში დიდი ხანია უკუფლებულია, აჭარისტანში და საბჭ. კავშირის ზოგიერთ სხვა მუსულმან მოსახლეობაში კი ჩადრი დღემდე ისევ არსებობს. ამ სამარცხვინო და განვითარების გზის დახშობის ჩვეულების წინააღმდეგ იფეთქა აჭარელ ად თურქ ქალთა მასიურ უკმაყოფილებამ, რომელმაც თავისი სრული გამოხატულება პპოვა ბათომში შემდგარ თებერვლის ყრილობაზე.

აღსანიშნავია, რომ მოძრაობამ ქალთა ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთებისაგან განთავისუფლებისათვის იმდენად ფართე ხასიათი მიიღო, რომ ის შეეხო აჭარელ და თურქ ქალთა ყველა ასაკის ფენებს, მაგრამ როგორც ყოველ პროგრესულ საზოგადოებრივ მოძრაობაში, ისე აქაც, ახალგაზრდა ქალები უფრო მასიურად და ენერგიულად ჩაებნენ ქალის დამმონაგებელ ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთი მდგომარეობა, თავის თავად ცხადია, გავლენას იქონიებდა ყრილობის შემადგენლობაზედაც. ასევეც მოხდა. ყრილობის დელეგატებს შორის დიდი უმეტესობა იყო 18-30 წლის ქალი. ასეთების რიცხვი უდრიდა 251 ანუ 56.2 პროც., 30—50 წლის დელეგატების რიცხვი უდრიდა 104 ანუ 23,2 პროც. და 50—70 წ. 92 ანუ 20,6 პროცენტს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყრილობაზე, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, თავი მოიყარა აჭარელ და თურქ ქალთა მოწინავე ნაწილმა. დელეგატებს შორის, რომელთა საერთო რიცხვი უდრიდა 447, 148 ქალი მონაწილეობას ლებულობდა საზოგადოებრივ და საბჭოთა მუშაობაში (საბჭოს წევრები, სადღეღვანტო კრებების წევრები და სხვ.)

თუ რამდენად დაბეჩალებული და კარჩაკეტილი იყო აჭარელი და თურქი ქალი, ამაჲ ნოწმობს ის ფაქტი, რომ დელეგატების საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი (5, 4 პრ.) პირველად იყო ჩამოსული ბათომში. რაც შეეხება წერა-კითხვის ცოდნას, ამ მხრივაც სურათი აგრეთვე დამალონებელია: 447 დელეგატ ქალისაგან წერა-კითხვის მცოდნე აღმოჩნდა 78 ქალი, დანარჩენებმა კი სრულიად არ იცოდნენ წერა-კითხვა.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რამდენად დიდი და საბავსუხისმგებლო ამოცანა სდგას ჩვენს წინაშე აჭარელ და თურქ ქალთა გათვითცნობიერების, მათი კულტურულად და პოლიტიკურად დაწინაურების დარგში, ყრილობამ ამ მხრივ ითამაშა თავისი როლი. საჭიროა ყოველი-ღონე ვინმართთაათა იმ დაპირებებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა აჭარელ და თურქ ქალთა სრულიად საქართველოს პირველ ყრილობაზე, ფრთები შეესხას, ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით მარტო დეკლარატიული განცხადებებით.

ამ მხრივ ყველა სათანადო ორგანიზაციამ უნდა გადასდგას შესაფერი პრაქტიკული ნაბიჯები. მუშაობამ აჭარელ და თურქ ქალთა განთავისუფლებისათვის უნდა მიიღოს სისტემატიური ხასიათი. ყრილობამ მხოლოდ საძირკველი ჩაუყარა საუკუნოებით დაბეჩალებულ აჭარელ და თურქ ქალთა ყოფა-ცხოვრების ხუნდებისაგან განთავისუფლების დიდ საქმეს.

მთავარი სამუშაო წინ არის.

აჭარისტანის საოლქო პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებმა დიდინერჯია და ფხა გამოიჩინეს აჭარელ და თურქ ქალთა ყრილობის მომზადების საქმეში. ის ტემპი, რომლითაც დაიწყეს მუშაობა აჭარისტანის ორგანიზაციებმა, ოდნავადაც არ უნდა შენეღდეს. ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციამ უნდა შეიტანოს თავისი წველილი აჭარელ და თურქ მშრომელ ქალთა განთავისუფლების საქმეში. საჭიროა საქმე, საჭიროა ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობა, მატერიალური და იდეური დახმარება, მტკიცე ადმინისტრატიული მფარველობა იმისათვის, რომ განთავისუფლების გზაზე გაბედულად შემდგარ აჭარელ და თურქ ქალმა შესძლოს ყოფა-ცხოვრების მიმიე უღლიდან საბოლოოდ თავის დაღწევა.

პირველი სლოგა

თავმჯდომარეობს ამხ. ფ. ძასაჩაძე

ამხ. ფ. ძასაჩაძის შესავალი სიტყვა

ამხანაგებო, აჭარელ ქალთა და სრულიად საქართველოს თურქ ქალთა პირველი ყრილობის დელეგატებო, მხურვალე საღამო საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისაგან (მქუხარე ტაში, დელეგატები ფეხზე დგებიან, მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

ამხანაგებო, დღეს განხორციელდა ჩვენი დიდი ხნის მოლოდინი იმ მხრივ, რომ აჭარელ ქალთა და თურქ ქალთა ცხოვრებაში მოხდა უდიდესი გარდატეხა მათი ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ჩვენ დიდი ხანია მოველოდით დღევანდელ ამბავს, დღევანდელ საზეიმო ყრილობას, რომელმაც უნდა დაუდვას საზღვარი აქამდე არსებულ უმწეო მდგომარეობას აჭარელ და თურქ ქალთა ცხოვრებაში.

ამხანაგებო, ჩვენ ამდენი ხნის განმავლობაში განვიცდიდით დიდ მწუხარებას, იმიტომ რომ აჭარელი და თურქი ქალები იმყოფ ბოდნენ საბჭოთა ხელისუფლების სათანადო გავლენის გარეშე. მე ამ შემთხვევაში არა მაქვს მხედველობაში მცირე გამონაკლისი. ოქტომბრის დიდ რევოლიუციას, შეიძლება ითქვას, რომ აქამდე არ შეუწათებია მთელი თავისი ძლიერებით აჭარელ და თურქ ქალთა ყოფა-ცხოვრებაში.

აჭარელ და თურქ ქალთა, ერთის მხრივ, და საბჭოთა საზოგადოებრივობის შორის, მეორეს მხრივ, აღმართული იყო მაღალი კედელი. დღეს ოქტომბრის რევოლიუციის მეთორმეტე წელია. განვიღო თერომეტი წლის წინად ჩვენში მოხდა უდიდესი ცვლილება, საერთოდ, მუშათა კლასის და, განსაკუთრებით, მშრომელი ქალების მდგომარეობაში. ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა ქალი: მომქმედი—მუშა და გლეხი ქალი, რომელმაც უკვე თავისი წვლილი შეიტანა ჩვენს ახალ მშენებლობაში. მუშა და გლეხ ქალთა გვერდზე ჩვენ ვხედავთ ჩამორჩენილ ქალებს, რომლებიც, ჩვენდა საუბედუროდ, ისევ განიცდიან ჩავვრას და დამცირებას, რაც აღმოცენებული იყო მდიდრების, მემამულეების, ბე-

გების, ფაშების, ხოჯების და მშრომელ ხალხის სხვა მჩაგვრელთა ბატონობის ნიადაგზე.

ამხანაგებო, მე მოგმართავთ თქვენ, აჭარელ ქალებო, თურქ ქალებო, თქვენ გეუბნებით, რომ ასეთი მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების დროს არამც თუ დაუშვებელია, არამედ ის დიდ დანაშაულსაც წარმოადგენს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება, ჩვენი კომუნისტური პარტია აქ ერთნაირად, შეიძლება ითქვას, უძლურებას გრძნობდა იმ მხრივ, რომ ეს ჩვეულებები და ადათები, რომლებიც საუკუნის განმავლობაში ბოჭავდნენ ქალის ადამიანურ ღირსებას, რომლებიც ამცირებდნენ ქალს, როგორც ადამიანს,—ამ ადათების, ზნე-ჩვეულებების დაძლევა ადვილი არ იყო. ჩვენ შეგვეძლო ზევიდან ბრძანების და დეკრეტის გამოცემით აგვეკრძალა აჭარელ და თურქ ქალთა მრავალი დამამცირებელი ზნე-ჩვეულებები და ადათები, რომელიც არ შეესაბამება დღევანდელ ცხოვრებას, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ფიქრობდა, რომ შეიძლება ასეთ ზომებს დროებით კიდევ უფრო გაემწვაებინა ქალების მდგომარეობა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ერთბაშად ამ ზნე-ჩვეულების მოსპობა, მის წინააღმდეგ სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლის გამოცხადება მიზანშეუწონელი იყო. ჩვენ ვფიქრობდით, რომ საჭიროა ნიადაგის მომზადება, რათა აჭარელ და თურქ მშრომელ ქალებში მომხდარიყო გარდატეხა. აუცილებელი იყო ქალთა ამ მასაში შეგნების შეტანა, რომ უფრო გაადვილებულიყო ჩვენი ბრძოლა. და აი, ამხანაგებო, ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვღებულობდით ზოგიერთ ღონისძიებებს. თქვენ კარგად იცით, არსებობს ქალთა განყოფილებანი, ქალთა კომისიები, სადელეგატო კრებები. ყოველივე ეს სწორედ იმისათვის იყო და არის. რომ ამ ორგანოების მუშაობით შემსუბუქებულ იქნას რამოდენიმედ, საზოგადოთ, მშრომელ ქალთა და, განსაკუთრებით, აჭარელ და თურქ ქალთა მწვავე მდგომარეობა. ეს ორგანოები იმიტომ იყვნენ და არიან, რომ მათ გაადვილონ ისეთი დიდი ნაბიჯის გადადგმა, რომლის მოწამეც ჩვენ ეხლა ვართ.

ეს ყრილობა, რომელსაც დღეს ადვილი აქვს ბათომში, დიდ გარდატეხის მომასწავებელია. ჩვენ გვაქვს იმის დამამტკიცებელი აუარებელი ფაქტები, რომ საფუძვლიანად შეირყა ის მაღალი კედელი, რომელიც აღმართული იყო, ერთის მხრივ, საზოგადოებრივობასა და, მეორე მხრივ, აჭარელ და თურქ მშრომელ ქალთა შორის, რომელიც აქამდე გზასა და ჭკუა-გონებას უხშობდა აჭარელ და თურქ-ქალებს.

ამხანაგებო, თქვენ უკვე შედექით გამოფხიზლების გზაზე, თქვენ უკვე იგრძენით საბჭოთა ხელისუფლების ძლევამოსილობა. ამიერიდან თქვენ წინ არის უკვე ნათელი გზა, საითაც უნდა მიიმართოს თქვენი ჭკუა-გონება და მოქმედება, მაგრამ, ამხანაგებო, დებო, დედანო და ქალიშვილნო, უნდა იცოდეთ, რომ ჯერ კიდევ ამით არ გათავებულა თქვენ მიერ დაწყებული ბრძოლა, ის გზა, რომელზედაც თქვენ შედექით, მეტად მიხვეულ-

მობეუული და უსწორ-მასწორაოა. ეს გზა არ არის გატკეპნილი იმიტომ, რომ ჩვენს წინაშე; საერთოდ, და განსაკუთრებით თქვენს წინაშე—ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებანი, ბევრი სიძნელეებია. ეს მხოლოდ დასაწყისია თქვენი ახალი, ნორჩი მოძრაობისა, რომლის მზგავსი ჯერ ისტორიაში არ ყოფილა. ეს არ არის ზვევიდან კარნახით მომხდარი გარდატეხა. მართალია, ჩვენი პარტია, ჩვენი წელისუფლება, ჩვენი მუშათა და გლეხთა ხელისუფლება თქვენ ხელს გიწყობს ამ საქმეში, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ უთქვენოთ ეს ყრილობა არ მოხდებოდა. თქვენი მხურვალე და აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მალიდიან, ზევიდან არაფერი არ გაკეთდება თუ თქვენვე არ მიიღეთ აჭარელ და თურქ ქალთა განმანთავისუფლებელ მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობა. ვინ იცის კიდევ რა ძოგველის ჩვენ. ვინ იცის რა სდგას თქვენს წინ, მართალია, ამ დარბაზში ჩვენ ყველაზე კარგად ვლაპარაკობთ, მაგრამ ცხოვრებაში ეს ასე არ ხდება. ცხოვრებაში ათასგვარი გაჭირვება არის.

ამხანაგებო, დღევანდელ-ქალქებო, რომლებიც პირველ ყრილობაზე ხართ მოწვეულნი, თქვენ ყველამ კარგად უნდა იცოდეთ, რომ ეს არის პირველი ისტორიული ნაბიჯი, რომელიც თქვენ უკვე გადადგიტ და უკან დახევა აღარ შეიძლება, ე. ი. თქვენ, მამაკაცებთან, ერთად გზა უნდა გაკაფოთ სოციალიზმისაკენ, მშრომელ გლეხობასთან თქვენ, დედაკაცები, ერთ ჭაპანში უნდა ჩაებათ და შეუდგეთ დასახულ დიად მუშაობას, რომელსაც დღეს აწარმოებს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, ჩვენს ქვეყანაში უნდა დავამყაროთ ისეთი წესწყობილება, რომ არ ქნეს გასაჭირი და ყველა თავისუფალი იყვეს.

დღევანდელ ყრილობაზე, ამხანაგებო, გასარჩევია მრავალმნიშვნელოვანი საჭირბოროტო საკითხები. თქვენ გულმოდგინედ უნდა განიხილოთ ისინი. თქვენ თითონ უნდა შეიმუშავოთ და გამოიტანოთ შესაფერისი დადგენილება, რომელიც ჩაუყრის საფუძველს თქვენს მუშაობას მომავალში. მე უსურვებ ამ ყრილობას წარმატებას და თქვენ გამარჯვებას (ტაში, უკრაეს მუსიკა).

ამხანაგებო, აჭარელ ქალთა და სრულიად საქართველოს თურქ ქალთა პირველ ყრილობას გახსნილად ვაცხადებ (მხურვალე ტაში, უკრაეს მუსიკა).

ყრილობის ორგანოთა არჩევა

ამხანაგებო, სანამდე მუშაობას შეუდგებოდეთ, საჭიროა ჩვენი ყრილობა ჩამოყალიბდეს, ე. ი. საჭიროა უპირველესად ყოფლისა არჩეულ იქნეს ყრილობის პრეზიდიუმი. სიტყვა წინადადებისათვის ეკუთვნის ამხ. ფალავას (ამხ. ფალავას შეაქვს წინადადება ყრილობის ორგანოები არჩეულ იქნას ქვემოდ მოყვანილ შემადგენლობით).

საკაბიო პრეზიდიუმი

ამხ. სტალინი, მოლოტოვი, რიკოვი, კალინინი, ორჯონიკიძე, კლარა ცეტკინა, კრუსკაია, არტიუხინა, მამია ორახელაშვილი, ცხაკაია, კახიანი, ელიავა, ლოლობერიძე, აღამალი-ოღლი, კასიანი.

საქმიანი პრეზიდიუმი

ამხ. ფილიპე მახარაძე, ალიკო ფანცხავა, მოედინ სურმანიძე, ვარო ჯაფარიძე, შავერდოვა, მამედ გოგიბერიძე, ლევან გამყრელიძე, მარიამ ორახელაშვილი, ნინო მახარაძე, სერგო არუთინოვი, ანასტასიადი შერმახ-დინი, ვარძიელი, კუნჭულია, კინჭარაძე, ზეკირია ლორთქიფანიძე, იუსუფ ბოლქვაძე, ჯემალ ფალავა, რიზა ხოზრევიანიძე, აქესენტი კალანდაძე, თევრადი ჯაში, ზეკირია ბერიძე, რეჯებ სვანიძე, ახმედ ღუმბაძე, ხუსეინ ზოიძე, სონია თენეიშვილი, იოსებ ბრეგვაძე, კარსანიძე, გრიგოლ ბერიძე, ალექსანდრე ცინცაძე, რიზალი გოგობერიძე, ბეგი ძამედ-ზადე, რაზაევა, შაბანოვა, ზეკია გობაძე, ზემილ ნაკაიძე, ასია კაკაბაძე, შერიფ ხოზრევიანიძე, ემენე ბოლქვაძე, ეხსანე ბერიძე, ძარო ბერიძე, რუხსედ ბერიძე, ფაზულა დიასამიძე, ცინცაძე, ემელია ჯაფარიძე, უმიან ზაქარიძე, უმიან ლორთქიფანიძე, სელემიან ზაქარიძე, ხუსეინ სურმანიძე, ფაზულა ბეგანიძე, ტ. კვარიაშვილი, ასნე ღუმბაძე, ჯეირამ აბივაროვა, საკინა იბრაგიმოვი, გულის ალიევა, საკან ალიევა, მარიამ გულუაშვილი.

ს ა მ დ ი ვ ნ ო

დელიბაში, ტაგიევა, დავით ღუმბაძე, ტამპოლიშვილი, ბუნიატოვა, აბულაძე, ლეთერიანი, ნუტუბიძე, ჩახვაძე.

სამანდატო კომისია

თალაქვაძე, გრ. ბუკია, გეგეშიძე, შაშიკ-ოღლი, კონცელიძე ღრუბა, ან. დიასამიძე, ნახიკო ჩიჯავაძე, დიღმელიშვილი, ჩახალაშვილი.
ყრილობა ერთხმად ირჩევს ყველა ზემოდასახელბულ პირებს.

დღის წესრიგი

თავმჯდომარე: ეხლა ჩვენ უნდა მივიღოთ დღის წესრიგი დღევანდელი ყრილობისა. ის გაზეთში უკვე იყო გამოქვეყნებული. მე განვიმეორებ მას. პირველი მოხსენება იქნება საერთაშორისო მდგომარეობაზე, მეორე მოხსენება — მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა მდგომარეობაზე საქართველო-

ში, მესამე—ყოფა-ცხოვრების საკითხები და ბრძოლა სხვადასხვა მავნე ზნე-ჩვეულებებთან და ადათებთან, მეოთხე მოხსენება—საბჭოები და ქალთა მონაწილეობა არჩევნებში. აი, სულ ეს ოთხი მთავარი საკითხი. ვის აქვს ამის შესახებ რაიმე შეკითხვა? (ხმები—არაფერი). მაშასადამე, დღის წესრიგი მიღებულია.

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

ჩვენ უნდა მივიღოთ კიდევ ის წესი, თუ როგორ უნდა ჩავატაროთ ეს ყრილობა, ე. ი. მისი სხდომები, რა დროზე უნდა იქნეს სხდომები და ორატორებს რამდენი დრო უნდა მიეცეთ სალაპარაკოდ.

არის წინადადება, რომ სხდომები ხდებოდეს დღეში ორჯერ: დილა-სალამოს. დილით 10—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. აქვს ვისმე შენიშვნა ან და შეკითხვა ამის შესახებ? თანახმანი ხართ? (ხმები—თანახმა ვართ).

წინადადება არის, რომ მომხსენებლებს მიეცეთ ერთი საათი. ჩემი შეხედულებით უნდა მიეცეს უფრო ნაკლები (ხმა—40 წ.). წინადადება არის, რომ მომხსენებელს მიეცეთ 40 წუთი. ვინ არის მომხრე? (მიღებულია). საბოლოო სიტყვისათვის წინადადება არის მომხსენებელს მიეცეს 15 წუთი. ვინ არის მომხრე? (მიღებულია). მოლაპარაკე ხალხს, რომლებიც გამოვლენ კამათში, მიეცეთ ათი წუთი (ხმა—15 წ.). არის მეორე წინადადება—15 წ. მე უყრი კენკს. (ხმები—ათი წუთი). მაშასადამე, მიღებულია ათი წუთი.

ჩვენი ყრილობა უკვე ჩამოყალიბებულია. ჩვენ ყველა ორგანოები ავირჩიეთ, მივიღეთ დღის წესრიგი. დავაწესეთ მუშაობის დრო. ეხლა გადავიდეთ სხვა საკითხებზე.

მისალმებანი

თავმჯდომარე: აქ არის მრავალი წარმომადგენელი სხვადასხვა დაწესებულებიდან, ქარხნებიდან, ფაბრიკებიდან, როქელთაც სურთ, რომ აჭარელ და თურქ ქალთა პირველ ყრილობას მიესალმონ. ჩვენ უნდა მიეცეთ მათ საშუალება გამოსთქვან თავიანთი აზრი ამ ყრილობის შესახებ. მაშ, გადავიდეთ მისალმებებზე. პირველი მისასალმებელი სიტყვა ეკუთვნის ამხ. ფანცხავას.

ამხ. ა. ფანცხავა

ამხანაგებო, საბჭოთა ხელისუფლება რომ არ ყოფილიყო, ჩვენ არ ვიქნებოდით მოწმენი არც აჭარისტანში, არც საბჭოთა რესპუბლიკის სხვა კუთხეებში ქალთა ისეთი მოძრაობისა, რომელიც გამოიხატება დღევანდე-

ლი ფაქტით. ეს არის ქალთა ყრილობის მოწვევა, განსაკუთრებით, აღმოსავლეთის მშრომელ ქალებისა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ჩვენს ტერიტორიაზე ხელმძღვანელობდა და დღესაც ხელმძღვანელობს ლენინის კომუნისტური პარტია. ჩვენ ამ დარბაზში ფეხზე ადგომით პატივი უნდა ვსცეთ მას (მთელი დარბაზი ფეხზე დგება).

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი კანონმდებლობით უარყო ძველი წესწყობილება და ყოველივე ის, რაც არსებობდა და ხელს უშლიდა სოციალიზმის დამყარებას. ჩვენს სინამდვილეში სხვადასხვა ძალიან ჩამორჩენილი კუთხეები და ადგილები არსებობს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს ჩამორჩენილობა ქალთა შორის.

ასეთ ადგილებში უნდა სწარმოებდეს სისტემატიური მუშაობა. საბჭოთა აღმშენებლობაში უეჭველად უნდა ჩაებას მშრომელთა მეორე სქესი, ე. ი. დედაკაცები.

ამხ. ლენინმა თავის ნაწარმოებში ეს აზრი ბევრ ადგილას კარგად გაატარა. ლენინი გვასწავლის ჩვენ, რომ კაცობრიობის მეორე ნახევარი უნდა ამოუდგეს მამაკაცებს და მათთან ერთად დამყაროს სოციალიზმი. კომუნისტური პარტია სხვა ორგანიზაციებთან ერთად აწარმოებს ამ დიად მუშაობას, ე. ი. ხელს უწყობს ქალთა წინსვლას, მათი კულტურული დონის აწევას.

ჩვენმა ყრილობამ ამ მხრივ უნდა სთქვას თავისი დიდმნიშვნელოვანი სიტყვა, მან უნდა მოგვეცეს მთლიანი სურათი იმ აუტანელი ძდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფება მშრომელი ქალი, ყრილობამ უნდა გაუადვილოს პარტიას იმ ზომების გამოძებნა, რომელიც საჭიროა ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რათა ამით გაადვილდეს სოციალიზმის დამყარება. მე ვუსურვებ ქალთა მუშაობას წინ წაწევას, ვისურვებ რომ ის აღტაცება, რომლის მოწამენიც ჩვენ აქ ვართ, გადასულიყოს პრაქტიკულ, ყოველდღიურ მუშაობაში. გაუმარჯოს დღეგაატ ქალებს, გაუმარჯოს კომპარტიას, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას. (ტაში)

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის ამხ. სურძანიძეს.

ამხ. მოედინ სურძანიძე

ამხანაგებო, მე მხურვალე სალამს ვუძღვნი საპატიო, ისტორიულ აჭარელ და თურქ ქალების პირველ ყრილობას. აჭარელ ფუხარა გლეხთა შორის პირველი მაგალითი არის, რომ საზოგადო ასპარეზზე გამოდის თავისუფლად აჭარელი ქალი. საუკუნოების განმავლობაში უფლება აყრილი აჭარელი ქალები ძველ დროს იყვნენ ძძიმე უღელ ქვეშ. ოქტომბრის რევოლუციამ ძველი წესწყობილება და ძველი ნაშთი დაამსხვრია. მე გულ-



ქრილოვის დაგზავნი



ქრილოვის კავშიდიუმი

წრფელ სალამს ვუძღვნი მშრომელ ქალების წარმომადგენლებს. გაუმარჯოს თქვენს განთავისუფლებას! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! (ტაში)
თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა ამხ. გამყრელიძე.

ამხ. ლ. გამყრელიძე

ამხანაგებო, ნება მომეცით აწარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს სახელით გულწრფელი კომუნისტური სალამი ვუძღვნა სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა პირველ ისტორიულ ყრილობას. უკვე 11 წელზე მეტია მას შემდეგ, რაც არსებობს დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე საბჭოთა ხელისუფლება. მუშათა კლასმა მრავალ მილიონიან გლეხებთან ერთად კომუნისტურ, ლენინურ ბრძოლაში გამოსქედა ახალი წესწყობილება და პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო ბეგების, ალების, ძემამულეების, თავად-აზნაურების, მოღების წესწყობილება. მუშათა კლასმა და გლეხებმა დაამყარეს დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე მშრომელი ხალხის თავისუფლება.

თქვენ გახსოვთ ის დრო, როცა მუშათა კლასი გლეხებთან ერთად აქტიურად იღებდა ხელში ძალა-უფლებას. ჩვენი შინაური და გარეშე მტრები ყოველ კუთხეში სისინებდნენ და გვეუქრებოდნენ მოსპობით. მაგრამ მათი წადილი არ ასრულდა. მუშათა კლასის მთავრობა არსებობს დღემდე და იარსებებს მომავალშიც. ისტორიამ, ამხანაგებო, თავის აუცილებლობით ჩვენი მტრები მიიყვანა იპ დასკვნამდე, რომ საბჭოთა ხელისუფლება ისეთი ძლიერი ხელისუფლებაა, რომელიც ეყრდნობა ქვეყნის უმრავლესობის—მშრომელი ხალხის ნება-სურვილზე. ამიტომაც, რომ მეთორმეტე წელიწადია, რაც ეს ხელისუფლება არსებობს და ამიტომაც, რომ ვერც შინაური და ვერც გარეშე მტერი ვერ დაიმონავენს საბჭოთა რესპუბლიკებს.

ჩვენი მიზანი არის არა მარტო ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ხელისუფლება იარაღია იმისათვის, რომ ავაშენოთ სოციალისტური ქვეყანა. 11 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლება, მშრომელ ხალხთან ერთად, ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს ახალი ქვეყნის ასაშენებლად. მძიმეა ეს ჭაპანი, ხანდახან თითქოს დაუძლეველიც, მაგრამ მშრომელი მასების შეერთებული ძალებისათვის გამარჯვება უზრუნველყოფილია. ჩვენი ამოცანაა განვაკითხოთ საბჭოთა რესპუბლიკები ეკონომიურად, ქალაქად გაავადიეროთ მრეწველობა, სოფლად—სოფლის მეურნეობა და ამასთან ერთად ვიზრუნოთ მშრომელი მასების ეკონომიური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ჩვენი მიზანია კულტურული რევოლუცია მოვახდინოთ ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით, ჩვენს ჩამორჩენილ სოფლებში. დღეს

საბჭოთა ხელისუფლებას ამ დარგში უდიდესი მიღწევები აქვს. ამხანაგებო, შეიძლებოდა ჩვენ უფრო მეტი მიღწევები გვექონოდა, რომ ჩვენს მუშაობას არ აპროკოლებდეს ის ძველი ფეოდალური მონობის ზნე-ჩვეულებანი, რომელნიც ჯერ კიდევ აღმოდებრილი არ არიან. აიღეთ, ამხანაგებო, უკულ-ტურობისა და მონობის გაძომხატველი ჩადრი. მალე უკვე 8 წელიწადი შესრულდება, რაც აჭარისტანში არსებობს საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ის მონური ნაშთები, რომელიც ახასიათებს დედაკაცის დამონებას კლასიურად და ეკონომიურად, საუბედუროდ დღემდე არის აჭარისტანში და საქართველოს სხვა კუთხეებში.

ამასთან ერთად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში, საუბედუროდ, ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, რომ მშრომელთა მყვლეფელი მოღობი და ხოჯები უშხამავენ ჰკუა-გონებას, უკლავენ შემოქმედების ენერგიას ჩვენს ძვირფას მომავალ ახალ თაობას, მომავალ მებრძოლთ სოციალიზმის განხორციელებისათვის.

მხოლოდ ამ წელში საბჭოთა ხელისუფლებამ, თვით საბჭოთა აჭარისტანის მშრომელმა მასამ დასვა საკითხი გადაჭრით ძველი ადათების, ძველი წესწყობილების ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. და ის ფაქტი, რომ დღეს პირველად აჭარისტანის დედა ქალაქში—ბათომში, მუშებთან ერთად ზეიმობენ დღემდე ჩადრდახურულნი. ჩადრ ქვეშ ძოსიარულე აჭარელი და თურქი ქალები, იმის დამამტკიცებელია, რომ ის დიდი წამოწყებები, რომელიც აქვს ამ საქმეში საბჭოთა ხელისუფლებას და ლენინურ კომუნისტურ პარტიას, უფრო გაიზრდება. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დღეიდან მთელი აჭარელი მშრომელი დედაკაცობა დაირაზმება მუშათა და ფუხარა ხალხთან ერთად. ისინი ხელიხელ ჩაკიდებული განაგრძობენ მუშაობას მშრომელ ხალხთან ერთად. თუ ეს კავშირი იქნება განხორციელებული, ჩვენ უთუოდ შევძლებთ დიდ ისტორიულ საქმის განხორციელებას. მე მთავრობის სახელით გამოვთქვამ იმედს, რომ ეს უთუოდ ასე უნდა იყოს და ასედაც იქნება. ის იდეა, რომლისთვისაც იბრძვის კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი, ის იდეა, რომელსაც ეტრფის ლენინური კომუნისტური პარტია, იდეა მთელს ქვეყანაზე შრომის თავისუფლების დამყარებისათვის, ეს დიადი იდეა განხორციელდება. მე იმედს გამოვსთქვამ, რომ აჭარელი ქალი სავსებით განახორციელებს ამ საქმეს აჭარისტანის ფუხარა ხალხთან ერთად.

გაუმარჯოს აჭარელ და თურქ ქალთა ისტორიულ დიად ყრილობას!
გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების წამოწყებებს!

ძირს ძველი ფეოდალური ნაშთები!

გაუმარჯოს ახალ აჭარისტანს, განახლებულ აჭარისტანს! (ტაში).

თავმჯდომარე:—ამხანაგებო, ახლა სურათი უნდა გადაიღონ, რისთვისაც საჭიროა შეტი სინათლე იქნას დარბაზში, ამისათვის მოხდება აფეთქება და არ შეგეშინდეთ. (სურათს იღებენ).

თავმჯდომარე:—მისასალმებელი სიტყვა ეძლევა ამხ. შავერდოვას.

ამხ. ს. შ ა ვ ე რ დ ო ვ ა

ნება მიბოძეთ მივესალმო სრულიად საქართველოს აპარელ და თურქ ქალთა პირველ ყრილობას საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის კომიტეტის სახელით. აჭარისტანის მშრომელმა ხალხმა ახალი ფურცელი შეიტანა პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიაში. თქვენ დღეს გაიწეთ, რომ სოციალიზმის აღმშენებლობისათვის არ არის საკმარისი ძარტო პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლება. საჭიროა ამ საქმეში ჩაებათ ქალები მთელი ასი პროცენტით.

მიუხედავთ იმისა, რომ ოქტომბრის რევოლიუციან მისცა მშრომელ ქალს სრული თანასწორობა, ფაქტიურათ ქალმა ვერ შესძლო მისი გამოყენება. დღემდე დამონებულია ქალი ყოფა-ცხოვრებაში. დღემდე ქალი დამცირებულია, მას არ შეუძლია იყოს სოციალისტურ აღმშენებლობის სრულყოფილიანი მონაწილე. ასეთი შეხედულება ხელს უშლის ქალთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმას. ქალების ფაქტიურათ განთავისუფლება არის არა მარტო ქალების, არამედ მთლიანად მუშათა კლასის საქმე. საჭიროა ბრძოლა მრავალკოლიანობის, ქალების გაყიდვის, გოგოების სკოლაში არ შეყვანის და სხვა ჩამორჩენილობის წინააღმდეგ. ამ ბნელ ნაშთებს ებღაუჭებიან ჩვენი მტრები—კულაკები, სოფლის მდიდარი ხალხი და მოლა ხოჯები. ყოველი პატიოსანი მშრომელი კი ეხმარება ქალის განთავისუფლების საქმეს.

ბრძოლა, რომელსაც ეხლა ქალები აწარმოებენ პარტიის ხელმძღვანელობით, არ არის უბრალო, ეს კლასობრივი შეტევაა, რომელსაც აწარმოებს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა. არ არის საკმარისი ჩადრის ახდა; უნდა ვაწარმოოთ სერიოზული მუშაობა ქალებს, შორის, ვასწავლოთ მათ წერა-კითხვა, ჩავაბათ ისინი წარმოებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ ქალი მთლიანად განთავისუფლდეს ოჯახურ მონობიდან.

ამ ყრილობაზე უნდა ჩაუყაროს მტკიცე საფუძველი სისტემატიურ ლაშქრობას ქალის განთავისუფლებისათვის. დეე, ქალი, რომელიც ოქტომბრამდე იყო ოჯახის ტრადიციების და ძველ ზნე-ჩვეულების დამცველი,

დღეიდან იყოს ოქტომბრის რევოლიუციის მიღწევათა ერთგული და-
მცველი.

გაუმარჯოს ქალთა განთავისუფლებას!

წინ მუშათა კლასთან ერთად მსოფლიო ოქტომბრისაკენ! (ტაში).

თავმჯდომარე. — ამხანაგებო, ყრილობას მიესალმებიან კომკავშირლე-
ბი და პიონერები. სიტყვა ეძლევა ამხ. კარსანიძეს.

ამხ. კარსანიძე.

(კომკავშირის მდივანი).

ამხანაგებო, აჭარელ ქალთა და თურქ ქალთა განვითარების ისტო-
რიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ დღეებში შესრულდება 8 წე-
ლი, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. მამაკაცებმა
8 წლის წინად მიიღეს თავისუფლება. მამაკაცები 8 წლის წინ ჩაებნენ
სოციალისტურ მშენებლობაში. მათ დაამტკიცეს, რომ კომუნისტური
პარტია სწორეთ ხელმძღვანელობს სოციალიზმის საქმეს.

სოციალისტურ მშენებლობისათვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს
ქალთა მონაწილეობას. ჩვენ დღეებდ ვლაპარაკობთ, რომ ჩავაბამთ სოცია-
ლისტურ მშენებლობაში აჭარელ ქალს. მაგრამ ჯერ-ჯერობით ძალიან
ცოტაა გაცუთებული. უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში, კომუნისტურმა
პარტიამ აჭარისტანში და საქართველოში გადაჭრით დასვა საკითხი იქის
შესახებ, რომ საჭირო არის აჭარელ და თურქ ქალთა ჩაბმა სახელმწიფო
წყობილებაში. საჭიროა აქტიურად დავეხმაროთ ქალთა ამ მასებს. ამხ.
ფილიპემ გვითხრა, რომ ზემოდან კარხახით ვერაფერს გავაკეთებთ, თუ
თქვენნი დახმარებაც არ გვექნებაო. ამხ. ფილიპეს ეს განცხადება მხედვე-
ლობაში უნდა იქნეს მიღებული.

დღეს ყრილობას მიესალმა ხულოს და ქედის მაზრის ქალთა დლე-
გაცია. დღევანდელი ქალთა პირველი ყრილობა იყო იმის სიმბოლო, რომ
მომავალში აჭარელი და თურქი ქალები მიიღებენ პრაქტიკულ მონაწი-
ლეობას საზოგადოებრივ მუშაობაში. ამ ყრილობის აღსანიშნავად მიიღეთ
ძღვნად ეს ვარსკვლავი (შემოაქვთ გაჩირალდნებული ვარსკვლავი. ტაში).

ამხანაგებო, ვარსკვლავი. რომელიც თქვენს წინაშე სდგას, წარმოად-
გენს მსოფლიოს ხუთკუთხედს. თქვენ ხომ იცით, რომ მსოფლიოს „ერთ
კუთხეში“ ქალები განთავისუფლებულნი არიან, ქალებს უჭირავთ ხელში
გამარჯვების დროშა. საჭიროა, რომ არა მარტო ფორმალურად, არამედ
პრაქტიკულადაც განთავისუფლებული იქნას აჭარელი ქალი. საჭიროა, რომ
მონობის უღელს პროლეტარიატთან ერთად თავი დააღწიონ მთელი მსო-
ფლიოს ქალებმა. ვინც გაბედავს გადაელობოს წინ აჭარელ ქალებს, მათ
საბჭოთა ხელისუფლება საკადრის პასუხს გასცემს. შავ ძალებს სურთ, რომ

აქარელი ქალი არ იყოს განთავისუფლებული, ვინაიდან ეს, მათი აზრით, მოსპობს ოჯახს! 'შავ ძალებს სურთ გაჩირალდნებული ლამპარის ჩაქრობა.

გაუმარჯოს იმ ახალ თაობას, რომელიც ხელმძღვანელობს და დახმარებას უწყევს აქარელ ქალებს! ფიცს ვსდებთ ახალგაზრდები 'თქვენს წინაშე, რომ თქვენთან ერთად განვახორციელებთ იმ მიზანს, რომელიც ჩვენს წინაშე არის დასახული.

ამხანაგებო, იყავით მზად! (მზად ვართ!—კომკავშირლების პასუხი) (ტაში).

თავმჯდომარე:—სიტყვა ეძლევა ამხ. გულუაშვილს.

ამხ. გულუაშვილი.

(თბილისის მუშების წარმომადგენელი)

ამხანაგებო, გულწრფელი კომუნისტური საღამო სრულიად საქართველოს აქარელ და თურქ ქალთა პირველ ყრილობას. ნება მიბოძეთ, მოგესალმოთ სრულიად საქართველოს აქარელ და თურქ ქალთა პირველ საისტორიო ყრილობას, ქალაქ თბილისის მუშა-მშრომელ ქალთა სახელით. გისურვებთ გამარჯვებას და წინსვლას. ჩვენ ვირაზნებით გამარჯვების მოსაპოვებლად. ჩვენი წინსვლა უზრუნველყოფილია.

მე უნდა გისურვოთ ის, რაც აშხ. ლენინმა თავის ნაწარმოებში უსურვა ქალებს მათი განთავისუფლებისათვის. ლენინის სურვილი იყო, რომ ყოველ მშრომელ ქალს შესძლებოდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა. როდესაც ასობით და ათასობით მშრომელი ქალები მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო აღმშენებლობაში, როდესაც მხარეული ქალიც ჩაებმება ამ დიად საქემში, ძაშინ ჩვენ შევძლებთ გამარჯვებას და ილიჩის აღთქმის შესრულებას.

ამხანაგებო, ძირს ჩადრი! გაუმარჯოს სრულიად საქართველოს და აქარელ ქალთა პირველ საისტორიო ყრილობას! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელიც იცავს ქალთა ინტერესებს! (მხურვალე ტაში).

გაუმარჯოს მთელ მსოფლიო პროლეტარულ მტკიცე კავშირს და მომბას! (ტაში).

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა აქარელ ქალს ამხ. ზაქარიაძეს.

ამხ. ზაქარიაძე

ამხანაგებო, მე მივესალმები აქარელ ქალთა სახელით დღევანდელ ყრილობას. ძირს ჩადრი!

გაუმარჯოს ქალთა პირველ ყრილობას, გაუძარჯოს კომუნისტურ პარტიას! (მხურვალე ტაში).

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა ბათოის მახრის ქალთა წარმომადგენელს აშხ. ქურიძეს.

აშხ. ქურიძე

ამხანაგებო, ბათომის მახრის ქალთა სახელით მოგესალმებით თქვენ, აჭარელ და თურქ ქალთა პირველ ყრილობას. გაუმარჯოს აჭარელ ქალთა პირველ ყრილობას! (მხურვალე ტაში, მუსიკა).

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა აჭარელ ქალს. აშხ. ბეჟანიძეს, მეზღვაურთა კავშირიდან.

აშხ. ბეჟანიძე

ამხანაგებო, მივესალმები აჭარელ და თურქ ქალთა დღევანდელ ყრილობას. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც გაანთავისუფლა ქალი ძოხობიდან!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას! (ტაში, უკრავს მუსიკა).

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა აჭარისტახის შრომის სახ. კომისარიატის წარმომადგენელს აშხ. ბერიძეს.

აშხ. ბერიძე

ამხანაგებო, ნება მოიკვით აჭარისტახის შრომის სახალხო კომისარიატის სახელით მივესალმო ქალთა პირველ ყრილობას.

ამხანაგებო, ჩვენი პარტია მაგარია იმით, რომ ჩვენში არ არას განსხვავება ქალის და მამაკაცის შრომაში, საბჭოთა რესპუბლიკაში მამაკაცი და ქალი მუშაობს ისე, როგორც ეს საჭირო არის, მაგრამ აღსანიშნავია ერთი გარემოება: არის ჩამორჩენილი კუთხეები, ასეთი კუთხეების მშრომელებმა არ იციან წერა-კითხვა; მათ არა აქვთ სათანადო განვითარება, მაგრამ ჩვენი პარტია ლაპარაკობს, რომ არც ერთი მშრომელი, ქალი იქნება ის თუ კაცი, არ უნდა დარჩეს კულტურულად მოუშინებელი. აჭარელ და თურქ მშრომელ ქალებს უხდა ჰქონდეთ ისეთი შეგნება, რომ ისინი კითხულობდნენ ქაღალდს, დადიოდნენ კინოებში და თეატრებში. რასაკვირველია, ქალი ძალიან ჩამორჩენილი იყო, თვითონ ჩვენს პარტიას აღებული აქვს გეზი იქეთკენ, რომ ყველა იმრომელს შეაგნებინოს რას ნიშნავს განათლება. ჩვენმა პარტიამ ამ მხრივ დაანახვა ქვეყნიერებას, რომ კომპარტიას შეუძლია მოიპოვოს უდიდესი გამარჯვებანი.

ჩვენი ქალი ვალდებულია, რომ აიხადოს ჩადრო და ჩაებას შრომის განვითარებაში. გაუმარჯოს ყველა ქალებს! გაუმარჯოს ჩვენს კომუნისტურ პარტიას! (ტაში).

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის ამხ. დუმბაძეს (ხულოს მაზრა).

ამხ. დუმბაძე

ამხანაგებო, მე გესალტებით აჭარელ ქალებს. მე ვარ ხულოს მაზრიდან. ჩადრი უნდა ავიხადოთ. ძირს ჩადრი! მაღლა განათლება! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუძარჯოს კომუნისტურ პარტიას და გაუმარჯოს თქვენც! (ტაში).

მეორე ქალი: ამხანაგებო მე ვარ ხულოს მაზრიდან მოგესალმებით აჭარელ ქალთა და თურქ ქალთა პირველ ყრილობას და საბჭოთა ხელისუფლებას (ტაში). ხმა—ამხანაგებო, გაუმარჯოს ხულოს დელეგაციას. (ტაში).

თავმჯდომარე: კოოპერაციის საჩელით სიტყვა ეკუთვნის ამხ. თავდიშვილს.

ამხ. თავდიშვილი

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ ბათუმის მუშათა კოოპერაციის სახელით მოგესალმოთ სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა პირველ ყრილობას. ოქტომბრის რევოლიუციამ ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში უდიდესი გარდატეხა მოახდინა. მან საბოლოოდ ძირი გამოუთხარა ყოველგვარ კერპთაყვანისმცემლობას და განახლებული ცხოვრების მორევში ჩააბა ქვეყნის სასიცოცხლო ელემენტები. კულტურული რევოლიუციის ალი შეიქრა ისეთ ოჯახებშიაც კი, რომლის წევრებს მზის სინათლის და ადამიანის სახის დანახვის უფლებაც არ ჰქონია. ამ კულტურული რევოლიუციის შედეგათ ჩვენს თვალწინ არის გადაშლილი დღევანდელი ყრილობა.

აჭარელ და თურქ ქალთა ყრილობა დამამტკიცებელია საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის კულტურულ ფრონტზე ბრწყინვალე გამარჯვებისა. ეს ყრილობა უდიდესი და უმახვილესი ლაზგარია ყველა ქვეყნის აბათონებულთა პლუტოკრატიისათვის, ვინაიდან მათი ბატონობის მთავარი დასაყრდნობი იყო და არის ფანატიზმი და ცრუმორწუნეობა. რამდენადაც ადრე მოვახერხებთ ამ ფანატიზმის მიხეზების წარმოშობის გამოაშკარავებას, იმდენად დავაჩქარებთ მილიონობით დაჩაგრულთა განთავისუფლების საქმეს. ამ მიზნის მიღწევაში კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად იქნება კოოპერაციაც, ვინაიდან ის დანტერესებულია არა მარტო ალებ-მიციემობით, არაჩედ ჩვენი ქვეყნის გამაგრებით, გაძლიერებით და სოციალიზმის განხორციელებით.

ნება მიბოძეთ ქალაქ ბათუმის მუშების სახელით გიძღვანათ თუმცა მცირე, მაგრამ სამახსოვრო ნივთები ყრილობის ყველა მონაწილეთათვის, ღირებული 1.000 მანეთად. ბათუმის მუშათა კოოპერაციის გამგეობის სახელით უნდა მოგახსენოთ, რომ მოწყობილია საჯაროები, სადაც ჩამოსულ დელეგატებს შეუძლიათ შეიძინონ ყოველგვარი პირველ მოთხოვნის საჭონელი.

გაუმარჯოს აჭარელ და თურქ ქალთა სრულიად საქართველოს ყრილობას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! (ტაში).

თავმჯდომარე: ამხანაგებო, აჭარისტანის პროფკავშირის სახელით სიტყვა ეძლევა ამხ. შენგელიას.

ამხ. შენგელია

აჭარისტანის პროფკავშირთა სახელით მივესალმები სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა პირველ ყრილობას. ამხანაგებო, დღევანდელი დღე ჩვენი ცხოვრებისათვის ისტორიული დღეა. ისტორიულია ის იმით, რომ დღეს პირველად ვხედავთ ჩვენ დარაზმულ აჭარელ და თურქ ქალებს. მათ შეუძლიათ გაუზიარონ ჭირვარაში ერთმანეთს და ჩვენც ვაგვავებინონ თავიანთი გულისტკივილი. ამხანაგებო, თუ ჩვენ მუდმივ სიბნელეში ვიქნებით ვერ შევძლებთ ოჯახში და სახელმწიფოშიც მუშაობას. ამიტონ ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ გამოვიდეთ სიბნელიდან. ამის ერთ-ერთი საშუალებაა ჩადრის ახდა. ჩადრი ხელს უშლის ქალის სახელმწიფოებრივ მუშაობაში ჩაბმას. ძირს ჩადრი! გაუმარჯოს განათლებულ აჭარელ ქალს! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას! (ტაში).

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა ქედის მაზრის გლეხს ამხ. სალაძეს.

ამხ. სალაძე

ამხანაგებო, მივესალმები აჭარისტანის ქალთა პირველ ყრილობას. მივესალმები ჩადრის ახდას. დრო არის თავი დავაღწიოთ სიბნელეს. ამიტომ ვამბობ, გაუმარჯოს ჩვენს ხელმძღვანელ პარტიას. გაუმარჯოს საქართველოს და აჭარისტანის კავშირს! (ტაში).

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის ექიმთა წარმომადგენელს ამხ. ვ. მაქაცარიას.

ამხ. ვ. მაქაცარია

აჭარისტანის ექიმთა საზოგადოების და აჭარისტანის მედსანშრომის სახელით ვესალმები აჭარელ და თურქ ქალთა ყრილობას. დღევანდ-

ლი ისტორიულ დღე, აპარელ ქალთა ცხოვრებაში არის აპარელ ქალთა განვითარების შედეგი. ის ძველი ჩვეულებანი, კარ-ჩაკეტილობა, ქალების მონობა, რომელნიც საუკუნოებით ჩანერგილი იყო აპარისტანში, დღეს უნდა მიეცეს დაიწყებას. უკანასკნელი წლების განმავლობაში პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღებულმა ხაზმა დასძრა გაყინულ წერტილიდან აპარელ ქალთა განთავისუფლების საკითხი, აპარისტანის ისტორიას არ უხილავს ისეთი საზოგადოებრივი წინსვლა და განვითარება, როგორის მოწმეც ის ამჟამად არის.

აპარელ ქალთა ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს ჩვენს სინამდვილეში იმ ისტორიულ გარდატეხას, რომლის მოწმენიც ვართ დღეს. ეს ყრილობა დაუახლოვებს საბჭოთა საზოგადოებრივობას აპარელ ქალთა ფართე მასას, დაამყარებს ჩვენს შორის მჭიდრო კავშირს და ნიადაგს მოამზადებს იმისათვის, რომ აპარელ ქალმა მიიღოს სათანადო აქტიური მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებაში.

ჩვენ აპარელ ქალებს დახმარებას ვაუწყებთ ჯანმრთელობის დარგში. აუცილებელია, რომ აპარელ ქალმა მიიღოს ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ისეთივე მონაწილეობა, როგორ მონაწილეობასაც ღებულობენ საბჭოთა კავშირის სხვა რაიონების ქალები. გაუმარჯოს აპარელ და თურქ ქალთა ბრძოლას განთავისუფლებისათვის!

გაუმარჯოს ამ ყრილობის ნაყოფიერ მუშაობას! ჩვენი სალამი აპარისტანის მშრომელ ქალთა წარმომადგენლობას!

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის მასწავლებელთა წარმომადგენელს ანბ. ქუთათელაძეს.

K103802 4-2043

ანბ. ქუთათელაძე

ამხანაგებო, აპარისტანის განათლების მუშაკთა კავშირის და მასწავლებელთა სახელით მივესალმები აპარელ და თურქ ქალთა პირველ ყრილობას. აქ ბევრი ილაპარაკეს, თითქმის ამოწურულია ყველა საკითხები, მაგრამ მე მაინც უნდა ვიტყვა, რომ მასწავლებლობა განსაკუთრებით აფასებს აპარელ და თურქ ქალთა განთავისუფლებას. სიტყვას ვიძლევი მასწავლებლები, რომ უეჭველად დაგეხმარებით დასახულ მიზნს გახსოვციელების საქმეში. ჩვენ ამოგიდგებით გვერდში და საბჭოთა ხელისუფლებისათან ერთად ბოლომდე მივიყვანთ აპარელ ქალთა განთავისუფლების საქმეს.

თავმჯდომარე

ამხანაგებო, აქ თქვენს წინაშე, მთელი ყრილობის წინაშე თავიანთი ხელით მოიხადეს გაჭირებისა და ქალის დაჩაგვრის გამოწმობა ჩადრი. ქალებმა დასწვეს ჩადრი.



ამხანაგებო, რასაკვირველია, ეს დიდმნიშვნელოვანი სურათია, რასაკვირველია, ჩადრის დაწვა ადგილი საქმეა, მაგრამ საქმე მარტო დაწვაში კი არ არის, საქმე ამავე დროს იმაშია, რომ ამგვარ ზიზღმა ჩადრისადმი მასიური გამოხმაურება ჰპოვოს. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ ამ ფაქტს, რომელიც მოწმობს წარსულ ცხოვრების უარყოფას. ეს წარსული უნდა იქნეს დავიწყებული, მისი ყოველივე ნაშთი: მონობა, დაჩაგვრა, რომელსაც კიდევ აქვს დღეს ჩვენს ცხოვრებაში ადგილი, ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას. გაუმარჯოს განახლებულ ცხოვრებას!

გაუმარჯოს განთავისუფლებულ აჭარელ და თურქ ქალებს! (მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს. მხურვალე ტაში).

ამხანაგებო, ეხლა კრება უხდა დავხუროთ. შემდეგ აქ იქნება წარმოდგენა და ყველა აჭარელი მშრომელი ქალი დაესწრება მას (სხდომა იხურება საღამოს 8 ს. 45 წ.)

მეორე სლოგა

თავმჯდომარეობს ამხ. კ. ჯანაშიძე

თავმჯდომარე: ამხანაგებო, ჩვენი ყრილობის მეორე სლოგმას გახსნილად ვაცხადებ (ტაში). ჩვენ ამ დილით შეუდგებით უკვე საქმიან მუშაობას. პირველი საკითხი შეეხება საერთაშორისო მდგომარეობას. ამ საკითხზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. ფილიპე მახარაძე (ტაში).

საერთაშორისო მდგომარეობა

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება

ამხანაგო, დელეგატებო, მე შევეცდები რაც შეიძლება მოკლეთ, რაც შეიძლება მარტივად გესაუბროთ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

რას ნიშნავს საერთაშორისო მდგომარეობა? თქვენ წარმოიდგინეთ რომელიმე სოფელი. კიდევ უფრო უკეთესი იქნება, რომ წარმოიდგინოთ სოფლის უბანი, რომელიც უსდგება რამოდენიმე მოსახლე ოჯახისაგან. თვითეულ ოჯახს აქვს თავისი საკუთარი მეურნეობა. ამავე დროს იგი ერთნაირ განწყობილებაშია თავის მეზობლებთან. თქვენ კარგათ იცით, რომ ეს განწყობილება ოველთვის ერთგვარი არ არის მეზობელ თა შორის. ზოგ მეზობელთა შორის კეთილი განწყობილებაა, ხშირად არის ცუდი, მტრული განწყობილებაც, ქიშპობა და სხვა ასეთები. გამოცდილებიდან თქვენ უნდა იცოდეთ, რომ თუ მეზობლური განწყობილება კარგია, მაშინ საქმე მეზობლებში უფრო უკეთესად აის. ტყუილ-უბრალოზე არ კარგავენ დროს, დავაზე, ჩხუბზე და დავიდარაბაზე არ ცდებიან. საერთო მეზობლური საქმე უფრო კარგად მიდის.

ებლა წარმოიდგინეთ სახელმწიფოები. სახელმწიფოებიც ცალკე ოჯახს წარმოადგენენ, მხოლოდ ეს ოჯახები უზარმაზარი და დიდი ოჯახები არიან. აი, ამ სახელმწიფოთა შორისაც არსებობს მეზობლური ურთიერთობა. როგორია ეს მეზობლური ურთიერთობა? როგორც მოგახსენეთ, პა-

ტარა სივრცის სოფელში, უბანში, ხან კარგია მეზობლური ურთიერთობა, ხან კი ცუდი. ამის მზგავსად სახელმწიფოთა შორის ცუდი ურთიერთობაც არის და კარგიც, ან მშვიდობიანობა არის მათ შორის ან ჩხუბი და დავიდარება. მაგრამ ეს ჩხუბი და დავიდარება ლებულობს სულ სხვაგვარ სახეს. ეს არ არის მეზობლური კინკლაობა, როცა ერთი სცემს მეორეს, მიუხედავად მეზობელს, წაართმევს რაიმეს და სხვა; როდესაც ეს დიდი ოჯახები, რომელთაც ვუწოდებთ სახელმწიფოები, ერთმანეთს შორის ჩხუბობენ, მათი ჩხუბი უკვე სულ სხვა ხასიათს ღებულობს.

ხშირად სახელმწიფოთა შორის მტრული ურთიერთობაა. საჭირო ხდება, რომ ამ მტრული მდგომარეობის გამო თვითეულ სახელმწიფომ გაამაგროს თავისი საზღვრები, უზრუნველყოს თავის დაცვა, ციხე-სიმაგრეები ააგოს საზღვრებზე, ხალხი დააყენოს მათ მცველებად და სხვ. ეს კიდევ არ კმარა, საჭიროა, რომ მუდმივი შეიარაღებული ძალაც ჰყავდეს სახელმწიფოს. თუ ვინმე მიუხედავად მას, პასუხს გასცემს, ამისათვის საჭირო ხდება შეიარაღებული ჯარი, საჭიროა ზარბაზნები და სხვა იარაღი.

ამხანაგებო, ეს თითქმის უბრალო რამ არის, მაგრამ იმის გაგება, თუ რა მდგომარეობაა სახელმწიფოთა შორის, რა თქმა უნდა, ადვილი არ არის. როგორც მეზობლებს უხდებათ ხშირად ერთანეთთან ჩხუბი, ისე სახელმწიფოები ესხმიან თავს ერთმანეთს. სძარცვავენ ერთმანეთს, იტაცებენ ქონებას, ხოცავენ ადამიანებს და სხვ., მაგრამ ეს ხდება დიდ ფარგლებში. თქვენ უკვე გამოიარეთ ეს ხანა 10-12-15 წლის წინეთ. თქვენ იცით, თუ რა ხდებოდა მაშინ აჭარისტანის ტერიტორიაზე.

ესლა მე შეეჩერდები კიდევ მეორე გარემოებაზე. ასეთია ურთიერთობა სახელმწიფოთა შორის, ძაგრამ ერთი ვიკითხოთ, როგორია შინაური მდგომარეობა ამ დიდ ოჯახებში? ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი სახელმწიფო, რომელსაც ვუწოდებთ საბჭოთა დიდ კავშირს. ამ საბჭოთა დიდ კავშირში შედის მრავალი საბჭოთა რესპუბლიკა.

გადავსინჯოთ შინაური მდგომარეობა ჩვენს სახელმწიფოში. ჩვენი სახელმწიფო უდიდესი ქვეყანაა მთელ დედ-მიწაზე. მას უჭირავს დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილი. ამ სახელმწიფოში შედის რამდენიმე სხვადასხვა რესპუბლიკა. სხვათა შორის, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა, აჭარისტანის საბჭოთა რესპუბლიკაც და სხვა. ყველა ესენი თავმოყრილი არიან ერთ დიდ საბჭოთა კავშირში. როგორია აქ შინაური მდგომარეობა? პირველი საბჭოთა რესპუბლიკა წარმოიშვა დაახლოებით თერთმეტი წლის წინათ. თქვენ გაგიგონიათ რა მოხდა მაშინდელ რუსეთში.

უკანასკნელ ათი-თერთმეტი წლის განმავლობაში რუსეთში მოხდა ორი დიდი რევოლუქცია. პირველი მათგანი იყო 17 წელს. პირველმა რევოლუქციამ ჩამოაგდო ნიკოლოზის ძალა-უფლება. მეფე ნიკოლოზის მტარვალემა, რომლებიც ხალხის სისხლით იყვნენ გაკლენთილი, დაჰკარგეს

თავიანთი ბატონობა. მაგრამ ამ რევოლიუციის შემდეგ იყო კიდევ მეორე რევოლიუცია, რომელიც მოახდინეს მუშებმა. პირველი რევოლიუცია ისე მოეწყო, რომ ძალა-უფლება, სახელმწიფო ხელში ჩაიგდეს ხალხის მყვლეფელებმა, მემამულეებმა და კაპიტალისტებმა და შეძლებულებმა. მაგრამ მეორე რევოლიუციის სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასი, მთელი მშრომელი ხალხი. ეს მოხდა ბოლშევიკების და ჩვენი ბელადის—ლენინის წინამძღოლობით. ლენინი გაუძღვა ხალხს—მუშებს და გლეხებს და მიიყვანა ისინი გამარჯვებამდე. ეს იყო ოქტომბრის რევოლიუცია. სახელმწიფოს სათავეში მოექცა მუშათა კლასი. ძირი გამოეთხარა ხალხის მყვლეფელებს, მტარვალებს, სისხლის მსმელებს, მემამულეებს და თავადებს, მათ, რომელთაც თქვენ ეძახით ბეგებს, ფაშებს.

მექარხნეებს გამოსტაცეს ხელიდან ძალა-უფლება, მათი ფაბრიკა და ქარხნები მუშის ხელში გადავიდა. მემამულეების მიწები ხალხის საკუთრებად გადაიქცა. რასაკვირველია, ამხანაგებო, იმათ ეს არ ესია მოვნათ, რადგან მთელ საუკუნეთა განმავლობაში შეჩვეულნი იყვნენ სხვის ზურგზე, ნავარდობას. როცა მუშათა კლასი ლენინის მეთაურობით, ბოლშევიკების მეთაურობით მოექცა სათავეში სახელმწიფოს, მათ მაშინვე გადასწყვიტეს მუშებისა და გლეხების მთავრობის ჩამოგდება. ისინი იარაღით შეებრძოლენ მუშებსა და გლეხებს, გაჩაღდა შინაური ომი.

ამავე დროს, სხვადასხვა სახელმწიფოების მტაცებლები თავიანთ სარგებლობისათვის ხალხს უღეტავდნენ, ხოცავდნენ, ანადგურებდნენ. მუშათა კლასმა მიიღო ზომები, რომ დაუყვენბლივ შეჩერებულიყო ეს სისხლისღვრა და ხალხის განადგურება. ეს ადვილი საქმე არ იყო. მარტო ჩვენზე არ იყო ეს დამოკიდებული. სხვა სახელმწიფოებს არ სურდათ სისხლისღვრის შეწყვეტა. მათ უნდოდათ რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე და ქალაქები დაეპყროთ, მათ ხალხის საქმე არ აინტერესებდათ. ხალხს უნდა ეღვირა სისხლი ბურჟუების სასარგებლოდ. ამ ხანებში სხვა ქვეყნის მუშათა კლასი არ იყო ჯერ კიდევ სავსებით გამოფხიზლებული. ხალხის მტრებმა შესძლეს ომის გაგრძელება.

ჩვენ საბჭოთა რესპუბლიკებში შეექმლით იმპერიალისტებისა და ავანაჟების ომისათვის ბოლოს მოღება. ჩვენში, საერთოდ, ზავი ჩამოვარდა, მაგრამ როგორც უკვე ვითხარით, ახალ ხელისუფლებას აუჯანყდნენ ყოფილი მემამულეები და კაპიტალისტები, რადგან მათ ხელიდან გამოსტაცეს ფაბრიკა-ქარხნები და მიწები, და ამას ისინი ვერ შერიგებოდნენ.

მართალია, ომი იყო, მაგრამ მუშათა კლასმა დაამარცხა შინაური მტრები, როგორც არიან კაპიტალისტები და მათი დამქაში გენერლები. მათ დახმარებას უწევდნენ უცხოეთის სახელმწიფოები, მაგრამ მუშათა კლასი მაინც გამარჯვებული გამოვიდა.

მაშინ განადგურებული იყო ფაბრიკა-ქარხნები, მუშები ომში იყვნენ გასული თავიანთ უფლებების დასაცავად. შემდეგ გამარჯვებული ძე მათა

კლასი შეუდგა ფაბრიკა-ქარხნების აღდგენას. 7—8 წლის განმავლობაში მუშათა კლასმა არა თუ შესძლო გაუქმებულ ქარხნების ამუშავება, არამედ ახალი ფაბრიკა-ქარხნებიც ააშენა.

თქვენ გუშინ აქ წარმოდგენაში ნახეთ ლოთი მუშა. ნუ გგონიათ, რომ საერთოთ ფაბრიკის მუშა ლოთი იყოს. რომ ეს ასე იყოს, ფაბრიკის მუშები რომ ასეთები იყენენ, ისინი ვერ გაიმარჯვებდნენ. მუშები იბრძოდნენ, მათვე აალორძინეს წარმოება, ფაბრიკა-ქარხნები თავიანთი შრომით, გამოცდილებით და ენერჯით. მათ შესძლეს პირდაპირ სასწაული მოეპოვებინათ. ამაში ლეზულობდნენ მონაწილეობას არა მარტო მუშა მამაკაცები, არამედ დედაკაცებიც. არა ისეთი დედაკაცები, როგორც გუშინ აქ იყო ნაჩვენები წარმოდგენაში. ეს დაცინვით არის წარმოდგენილი. ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს მრეწველობა აღდგენილი არის უფრო მეტად, ვიდრე ეს იყო წინად, ნიკოლოზ მეფის დროს. დღეს ჩვენი მრეწველობა მშრომელების მეცადინეობით უკვე დამდგარია სწრაფი განვითარების გზაზე. მუშებმა დიდი დახმარება გაუწიეს კლასებს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. სოფლის მეურნეობა ძველთაგანვე მეტად ჩამორჩენილი იყო და არის. მამაპაპური საქუშაო იარაღები საუკუნოების განმავლობაში უცვლელი რჩებოდა, არ უმჯობესდებოდა. ასეთი იარაღი გადმოგვეცა ჩვენც. ხალხი გაუნათლებელი და შეუგნებელი იყო. ხალხს სტანჯავდნენ მემამულეები, ბეგები, ფაშები, ხოჯები და სხვ. ესენი წურბელივით სისხლს სწოვდნენ მშრომელებს, ხელიდან აცლიდნენ მათ ნაოფლარს და ნაშრომს. ამ მკვლევფელებს მარტო იმის ფიქრი ჰქონდათ, რომ რაიმე გამოეგლიჯათ ხალხის ხელიდან. საჭირო იყო მეურნეობის გაუმჯობესება, მაგრამ არავითარი ფიქრი ამის შესახებ არ მოსდიოდათ თავში. აი, რა მეურნეობა მივიღეთ ჩვენ მემკვიდროებით.

სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება ადვილი არ იყო. ფაბრიკა-ქარხნების გაუმჯობესება უფრო ადვილია, იმიტომ რომ ქალაქებში მრავალი წარმოება შეერთებული არის, მრავალი მუშები არიან ერთად თავმოყრილი. ასეთი მდგომარეობაა ქალაქის წარმოებაში. სოფლის მეურნეობაში ასე არ არის. აქ დაქუცმაცებულია მეურნეობა პატარა ოჯახებათ. ყველა თავისი ძალით ეწევა მეურნეობას. იმიტომ საქმის მოგვარება უფრო ძნელია. საბჭოთა ხელისუფლება შესაძლებელ დახმარებას უწევს გლეხკაცობას მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში. თქვენ უთუოდ იცით, —სახელმწიფოს არა აქვს იმდენი შეძლება, რომ თვითეულ ოჯახს გაუწიოს თავის სახსრით დახმარება. ღარიბ გლეხობას ეძლევა დახმარება სხვადასხვა სახით, მაგრამ მთავარი მამოძრავებელი საშუალება მეურნეობის გაუმჯობესებისათვის არის თვით გლეხკაცობის შეერთება კოოპერაციაში, რომელსაც სახელმწიფო აძლევს დახმარებას იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მეტი გლეხკაცობა ჩაეწეროს კოოპერაციაში; არა თუ მეტი, არამედ მთელი გლეხკაცობა უნდა გაერთიანდეს კოოპერაციაში.

კოოპერაცია არის სხვადასხვაგვარი. არის მარტივი სახის გაერთიანება—სამომხმარებლო კოოპერაცია. აქ წევრებად შედიან იმისათვის, რომ შეიძინონ იაფი და კარგი ხარისხის საქონელი.

არის მეორე სახის კოოპერაცია, უფრო რთული კოოპერაცია. გლეხები ერთიანდებიან, რომ შეკავშირებული ძალით აწარმოონ მუშაობა. ეს შედარებით ახალი საქმეა ჩვენში. ამ კოოპერაციის გაწევთარების გზაზე მრავალ დაბრკოლებებს აქვს ადგილი, მაგრამ გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გლეხკაცობამ სძლია უკვე ამ სიძნელეს და თანდათან გაბედულად შედის კოოპერაციაში. კოოპერაცია გლეხს აძლევს მეტ სარგებლობას, კოოპერაციის საშუალებით გლეხს შეუძლია შეიძინოს იარაღი, ან სხვა რამე საწარმოო ნივთი. როდესაც ის ცალკე იმყოფება, მას არა აქვს შეძლება წინ წასწიოს თავისი მეურნეობა. ამხანაგობაში შეერთებით კი მას აქვს საშუალება შეიძინოს გაუმჯობესებული დიდფასიანი იარაღი. საბჭოთა ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ამ გზით ახლო მომავალში გლეხკაცობის მდგომარეობა გაუმჯობესდება. ამის მაგალითები ჩვენ უკვე გვაქვს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში არსებობს სხვადასხვა სახის შეურნეობა. მაგალითად, აჭარისტანში არის კარგი პირობები ძვირფასი მცენარეების მოსაშენებლად. აჭარისტანი თავის ბუნებით ყველა ჩვეულებზე მეტ შესაძლებლობას იძლევა, რომ აქ ძვირფასი მცენარეები გავრცელდეს. საბჭოთა კავშირში ასეთი კუთხე თითქმის არ არის. აჭარისტანს შეუძლია ბევრი რამ შექატოს თავის მეურნეობით მშრომელ ხალხს უამთელ საბჭოთა კავშირს. მაგრამ ამისათვის საჭიროა ხალხის შეგნება, საინტერესოა ცოდნა და სწავლა, რადგან თუ კაცს ცოდნა არა აქვს, ის ვერ გამოიყენებს ბუნებრივ სიმდიდრეს. საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა ამ მხრივ მუშაობას.

სოფლად ჩვენ უნდა გვეკონდეს ისეთი სასწავლებლები, რომლებიც მისცემენ ხალხს სასარგებლო ცოდნას, იმ ცოდნას, რომელიც საჭიროა ცხოვრებაში. თუ ჩვენ დავამყარებთ ხალხის ცოდნა მოლებზე და ხოჯებზე, ამ შემთხვევაში თქვენი შვილები წინ ვერ წავლენ. ჩვენს ახალგაზრდობას ესაჭიროება სამეურნეო ცოდნა, აგრონომიული მომზადება. აჭარელ ახალგაზრდობას ესაჭიროება ბუნების ცოდნა, რომელიც მისცემს მას იმის შესაძლებლობას რომ თავის სახლში ვე გააუმჯობესოს მეურნეობა. მერე რამდენი შესაძლებლობა გვაქვს აქ მხრივ? თითქმის არც ერთ კუთხეში, არც ერთ ქვეყანაში არ არის ისეთი შესაძლებლობანი, როგორიც არის ჩვენში. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ჩვენ არა გვაქვს სათანადო სკოლები. ვაქვთ მედრესები, და ბევრ თქვენგანს ჰგონია, რომ რაიმე სასარგებლო ცოდნას აძლევს ის ახალგაზრდობას? არავითარ სასარგებლო ცოდნას ასეთი სკოლები ბავშვს არ აძლევენ. სხვა ქვეყანაში აღარ არის დღეს ასეთი სკოლები. სხვა ქვეყნებში რომ გაიგონონ, საბჭოთა კავშირში არსებობს ასეთი

სკოლებიო, გაკვირვებას მიეცემიან, ამას არ დაიჯერებენ. ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი სკოლები ხალხის გონებას აჩლუნგებს. საბჭოთა ხელისუფლება თქვენი დახმარებით და თქვენი მონდომებით ხსნის ახალ სკოლებს.

გარდა ამისა, რა ახასიათებს ჩვენს მდგომარეობას ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში, რაც ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა? გაიხსენეთ ყველამ რა მდგომარეობაში იყო თვით აჭარისტანი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაიწყო 1914 წლის დიდი ავაზაკური ომი. აჭარისტანი გადაიქცა სათარეშოთ ყველა ქვეყნების მტაცებლებისათვის, ყაჩაღებისათვის. განა აქ იყო მოსვენება. დამეთანხმებით, რომ ასეთი მოსვენება აქ არ ყოფილა მანამ, სანამ არ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

გაიხსენეთ განვლილი 7-8 წელი, რომლის განმავლობაში ხალხმა მოიხსენა, სული ამოითქვა და შეუღდა თავის მეურნეობის გაუმჯობესებას. აჭარისტანის ხალხს მიეცა მშვიდობიანი შრომის საშუალება. ეს არ არის ტრაბახი. ეს არის სინამდვილე. რომ ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება არ დამყარებულა, აჭარისტანი და მთელი საქართველო ვერ მოიხსენებდა უცხო სახელმწიფოების მძარცველობისა და მტაცებლობისაგან, როგორც აქამდე სხვა ქვეყნებში ვერ მოიხსენა ხალხმა მათგან.

თქვენ გგონიათ, რომ ასეთივე მშვიდობიანობით სარგებლობენ დღეს სხვა ქვეყნის მშრომელნიც? არა? სხვა ქვეყნებში გრძელდება განუწყვეტელი შფოთი და თავდასხმები.

სხვა სიკეთე, რომელიც ძიანიჭა საბჭოთა ხელისუფლებამ ყოფილ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხებს, არის შემდეგი: თქვენ იცით, რომ ყველა წვრილი ერები შეწუხებული იყვნენ. წვრილი ერები უფლებაყრის იყვნენ, ახლა კი საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა წვრილ ერს მიანიჭა სრული თანასწორობა და სახელმწიფოებრივი უფლებები. თქვენ იცით, რომ როგორც კი დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, აჭარისტანის ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა. განთავისუფლდა ეროვნულ ჩაგვრისაგან ავაზახეთი და ოსეთიც. დანარჩენი მცირერიცხოვანი ერებიც სარგებლობენ ყოველგვარ უფლებებით. უზრუნველყოფილია მათი კულტურული და ეკონომიური განვითარება. ეს, რასაკვირველია, ნაყოფია საბჭოთა ხელისუფლებისა. ასეთი მდგომარეობა ჩვენში არამც თუ სუსტდება, არამედ უფრო და უფრო მტკიცდება.

გარდა ამისა, მშრომელი ხალხი, მუშა და გლეხი, განურჩევლად სქესისა, ღებულობს სრულ უფლებას მართვა-გამგეობის საქმეში. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ არ გვინდა მართვა-გამგეობის ორგანოებში, საბჭოებში მოხვდნენ ისეთი პირები, რომლებიც ხელს შეუშლიან ჩვენს მუშაობას, რომლებიც ხელს შეუშლიან მუშათა და გლეხთა სახელმწიფოებრივ საქმეების განხორციელებას. ჩვენ არ გვინდა, რომ საბჭოებში მოხვდნენ ხოჯები, მოღები, კულაკები, შეძლებული და ფულადანი ხალხი იმიტომ, რომ ისი დაინტერესებული არიან უარა ბი ხალხის ყვლეფაში, დაონება-დამორჩინ

ლებში, ჩადრის ტარებაში, მრავალკოლიანობაში და სხვა ასეთ სამარცხინო მოქმედებაში. ჩვენ არ გვინდა, რომ ისინი მოხვდნენ საბკოებში.

ვინ არის მართალი, ჩვენ თუ ის ხალხი, რომლებსაც უნდათ ძველი უფლებები დაიბრუნონ, რომ ხალხზე იპარაპაშონ? რა თქმა უნდა, რომ ჩვენ ვართ მართალი. მშრომელი ხალხი დაგვეხმარება ამ საქმეში. თვით შეიგნებს და გამოუდგება თავის უფლებების დაცვას. აი, საერთოდ, ასეთი მდგომარეობაა ჩვენს სახელმწიფოში.

როგორი არის მდგომარეობა იმ სახელმწიფოებში, რომლებიც ჩვენ გარშემო ცხოვრობენ? იქ ისევ ძველი მდგომარეობაა. სახელმწიფოს სათავეში დგანან ხალხის მყვლეფლები, მემამულეები, კაპიტალისტები, მექარხნეები, ბანკირები, რომლებსაც აუარებელი ფული აქვთ. ამ მყვლეფლებს და მტაცებლებს არ შეუძლიათ დამშვიდებით იცხოვრონ, ისინი ფიქრობენ, რომ სხვა ხალხი, სხვა ქვეყნები დაიპყრონ, მეტი დაიტაცონ სიმდიდრე. რასაკვირველია, პირველ რიგში მათ უნდათ დაიმორჩილონ ჩვენი სახელმწიფო. აშკარაა. რომ მათ უნდათ მოსპონ მუშათა კლასის ხელისუფლება, უნდათ აღადგინონ ძველი, ნიკოლოზის წესწყობილება, დაუბრუნონ მემამულეებს და კაპიტალისტებს თავიანთი ქონება.

რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ჩვენ ამის უფლებას არავის ჰეცცემთ. ამისათვის, თქვენ კარგათ იცით, ჩვენ გვყავს წითელი ჯარი. ჩვენი ჯარი იმისათვის კი არ არის, რომ ვინმეს თავს დავესხათ. ჩვენ მშვიდობიან ცხოვრებას ვეწევით და ყველა ქვეყნებთან გვინდა კარგი მეზობლური დაძოკიდებულების დამყარება. ჩვენ წინადადებას ვაძლევეთ სხვა სახელმწიფოებს, რომ ჯარი ყველამ გუშვათ თავის სახლში, რათა საერთო მშვიდობიანობა ჩამოვარდეს. ისინი არ თანხმდებიან. მათ უნდათ ჩვენზე თავდასხმა, უნდათ ჩვენ მიერ დაწყებული სოციალისტური მუშაობა მოსპონ და გაანადგუროს. თქვენ იცით, წითელ ჯარს ჩვენ ვამაგრებთ იმიტომ, რომ გვინდა, თუ ჩვენზე თავდასხმა მოხდება, გვექნეს მტკიცე კედელი, რომელსაც მტერი ვერ გაარღვევს, ჩვენ გვინდა დავიცვათ მშვიდობიანი ცხოვრება.

გარდა ამისა, სახლვარგარეთ იმყოფება აქედან გაქცეული მენშევიკური მთაერობა, მათთან ერთად გაიქცა თავად აზნაურობის ერთი ნაწილი. ისინი ფიქრობენ აქ დაბრუნებას და თავიანთი ბატონობის აღდგენას. ისინი ამაზე ოცნებობენ, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს წაღილი მათ არ აუსრულდებათ. აი დაახლოებით ასეთია მდგომარეობა.

ჩვენ ვიცით, რომ უნდა განვაძტკიცოთ ჩვენი დაწყებული მუშაობა, უნდა გავაღრმავოთ ხალხის ცოდნა, შევიტანოთ მშრომელ მოსახლეოაში კულტურა. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ საბჭოები, იქ უნდა შევიყვანოთ პატიოსანი გლეხები, მუშები და ლაოიბი ხალხი. ჩვენ მშრომელები, როგორც მამაკაცები, აგრეთვე დედაკაცები უნდა გამოვიყვანოთ თვითმოქმე-

დების ასპარეზზე, რომ ჩვენში მშრომელი მამაკაცი და დედაკაცი ერთდამავე პირობებში ცხოვრობდნენ.

საბჭოთა კავშირი არის ერთად ერთი ქვეყანა, სადაც გათანასწორებულია დედაკაცი და მამაკაცი. უნდა დავიცვათ საბჭოთა ქვეყანა, რათა არ უნდა დაგვიჯდეს, თუ შექოგვესია ჟცხოეთის მტაცებლები, ისე როგორც იყო რამოდენიმე წლის წინად. თუ ჩვენ თავს დაგვესხმებიან და მოსვენებას არ მოგვცემენ, მე დარწმუნებული ვაო, ძთელი მშრომელი მასა ფეხზე დადგება თავის წითელ ჯართან ერთად და სათანადოდ გაუსწორდება მტრებს.

მამ გაუმარჯოს საერთო მუშაობას სოციალიზმის განსახორციელებლად, რომელიც დაწყებულია ჩვენში!

გაუმარჯოს გამოფხიზლებულ აკარელ და თურქ ქალებს, რომ ისინი ენერგიულად ჩაებნენ მშენებლობაში და თავიანთ კმრებთან, ძებთან და მამებთან ერთად შეუდგნენ ამ დიდა საქმის განხორციელებას (ხანგრძლივი ტაში).

შეკითხვები ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გარშემო

თავმჯდომარე:—ამხანაგებო, თქვენ მოისმინეთ ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება. თუ ვინმეს გაქვთ შეკითხვა, შეგიძლიათ შეეკითხოთ; თუ ვინმეს გნებავთ კამათში მონაწილეობა, გთხოვთ ჩაეწეროთ რიგ-რიგად (შეკითხვა ადგილიდან).

კ ი თ ხ ვ ა .

გვინდა გავიგოთ, როგორ ცხოვრობენ მუშები და გლეხები სხვა სახელმწიფოებში?

ვ ა ს უ ხ ი .

ამხანაგებო, მე შეკითხვებიან. თუ როგორ ცხოვრობენ მუშები და გლეხები ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, ანუ უცხოეთში. სამწუხაროდ მე დრო არა მაქვს ამ საკითხზე დაწვრილებით შევჩერდე. უნდა მოგახსენოთ მოკლეთ, თუ როგორ ცხოვრობენ მუშები და გლეხები უცხოეთში. ბურჟუაზიულ ქვეყნებში ძუშები ქარხნებში მუშაობენ დღეში 9—10 საათს და მეტსაც. ამ უკანასკნელ დროს კიდევ უფრო გაადიდეს საუშაო დრო. ამასთან ერთად ძათ უმცირებენ ხელფასს. ეს იყო ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში. ამით აიხსნება ის გამუდმებული გაფიცვები, რომელსაც

განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს, ადგილი აქვს გერმანიაში, საფრანგეთში, ამერიკაში, ინგლისში.

რაც შეეხება გლეხებს, ამ შემთხვევაში არ შეიძლება ვილაპარაკოთ გაფიცვებზე. გლეხები დაყოფილი არიან სხვადასხვა ნაწილებად. არის ნაწილი, რომელიც უფრო კარგად ცხოვრობს. ასეთ გლეხებს აქვთ საშუალება მოჯამაგირე დაიქირავეთ და მოჯანაგირის გაყვლეფით გამდიდრდნენ. მაგრამ არის გლეხობის უმრავლესი ნაწილი, რომელიც ამუშავეს შემამუღლებებისაგან იჯარით აღებულ მიწებს, ანდა მარტო მოჯამაგირეობით სცხოვრობს. ამათი მდგომარეობა აუტანელია. აი მოკლედ მუშების და გლეხების მდგომარეობა უცხოეთის ქვეყნებში. დაწვრილებით რომ შევეხო საკითხს იძის შესახებ, თუ რა მდგომარეობა არის ჩინეთში ან და ინდოეთში, ეს საჭირო არაა, იმიტომ, რომ თქვენ კარგად იცით, ბურჟუაზიულ ქვეყნებში, საერთოდ, მიწა კერძო საკუთრებას წარმოადგენს. მაშასადამე, ვისაც მეტი ფული აქვს. მათ შეუძლია შეიძინოს მეტი მიწა. ამით ლარბი გლეხებს ეკარგება საშუალება შეიძინონ მიწა და გამოიკვებონ თავი. ისინი იძულებულნი არიან წაეიდნენ მოჯამაგირედ, ან და მეზობლის მიწა აიღონ იჯარით.

კ ი თ ხ ვ ა

რა უშლის ხელს კოლმეურნეობის გაძლიერებას?

პ ა ს უ ხ ი.

ამხანაგებო, ჩვენში არასოდეს არ იყო კოლმეურნეობა. რისთვის? იმიტომ, რომ მიწა დაქუცმაცებულია პატარ-პატარა ნაწილებად. კოლმეურნეობა უნდა შესდგეს გლეხებისაგან, გლეხები კი ნაკლებად იცნობენ კოლმეურნეობის სიკეთეს, მათ არა აქვთ აზის გამოცდილება. აი, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რაც უშლის ხელს კოლმეურნეობის გაძლიერებას.

გარდა ამისა, კოლმეურნეობის გაძლიერებისათვის საჭირო არის გაუმჯობესებული იარაღ-მანქანები, საჭიროა აგრონომიული ცოდნა, აგრონომიული დახმარება. დამეთანხებით, რომ ყველა ამ პირობების დაკმაყოფილება ერთბაშად შეუძლებელია. მაგრამ კოლმეურნეობას საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს და ყოველგვარ დახმარებას უწევს მათ მანქანების მიწოდებით, აგრონომიული საქმის მოგვარებით და გლეხობაში შევენების გაფართოებით.

რასაკვირველია, ერთბაშად დაძლევა ყველა დაბრკოლებებისა, რომელნიც ჩვენ წინ გვაქვს, ძნელია, მაგრამ მუშაობა კოლექტიურ მეურნეობათა შესაქმნელად გოიარკეცებული და გაათკეცებული არის. გლეხები და განსაკუთრებით, გლეხი ქალები მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ კოლექ-

ტივების განვითარების საქმეს. გამოცდილება გვეუბნება, რომ გლეხი ქალი საზოგადო მუშაობაში—კოოპერაციაში, გლეხკომებში, საბჭოებში, თუ კი ის ჩაბმულია ამ ორგანოებში, უფრო ხშირად მეტ აქტივობას იჩენს, ვიდრე მამაკაცი. ამიტომ მეტი ყურადღებით ვექვევით აპარულ და თურქ ქალებს, რომ გამოფხიზლდნენ და ჩაერიონ ისინიც ჩვენს აღმშენებლობაში. აქამდე აპარული და თურქი ქალი ჩამორჩენილი იყო საზოგადო მუშაობას იმიტომ, რომ სხვადასხვაგვარი ადათები და ჩვეულება, როგორც არის ჩადრის ტარება, აბრკოლებდა მათ გამოსვლას საზოგადო ასპარეზზე.

თავმჯდომარე: (მიმართავს ერთ-ერთ დელეგატს): სიტყვა გინდათ, ანაზაგო, თუ შეკითხვა?

ანაზაგო: შეკითხვა.

თავმჯდომარე: სთქვით რა გინდათ.

კ ი თ ხ ვ ა .

— მე ვამბობ მიწის ნაკლებობაზე. თუ მიეცემა მიწა ლარებებს?

კ ა ს უ ხ ი .

ეხლა, რასაკვირველია, ვერ გეტყვით მე, შეიძლება თუ არა თქვენი დაკმაყოფილება მიწით თქვენსავე სოფელში. ძიწას აქვს თავისი ზომა ამა თუ იმ სოფელში. რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია გავაფართოვოთ მიწის სივრცე, ძაგრამ შეიძლება, რომ პატარა ნაკრებზე მეტი მოსავლიანობა მივიღოთ. თქვენ თუ არა გაქვთ მიწა, და თქვენს სოფელში აქვს ვინმეს ნორმაზე მეტი, ჩვენ ეხლა ვღებულობთ კანონს, რომ მოხდეს მიწების გადანაწილება რათა თქვენს მდგომარეობაში მყოფი გლეხები დაკმაყოფილებულ იქნან. თუ არის ზედმეტი მიწა თქვენს სოფელში, აუცილებლივ თქვენ მოგეზომებათ. თუ არ არის, შეიძლება მივიღოთ სათანადო ზომები, რომ სხვა სოფელში მოგვცეთ მიწა.

კ ი თ ხ ვ ა .

მე ვარ ბათუმის მაზრიდან. სახლში ვართ რვა სული. მაქვს მარტო პატარა ბინა, მყავს პატარ-პატარა ბავშვები. მათ უნდა მოვლა-პატრონობა. მიწა არა მაქვს. ამ დღეს ველოდებოდით ჩვენ. ეხლა რომ პატარა მიწით ვიცხოვროთ, მშვიტ-მწყურვალე გავწყდებით. თქვენი საქმეა ის, რომ დაგვეხმაროთ მიწით და საბჭოთა ხელისუფლება უნდა შეგვეწიოს ამ საქმეში.

კ ა ს უ ხ ი.

თქვენ სოფელში, უთუოდ, არის საბჭო ან სოფლისა, ან თემისა. ამ საბჭოში არის, უთუოდ, ან და ეხლა გაიყვანთ მასში ღარიბ გლეხკაცებს. საბჭოს აქვს უფლება, რომ გადასინჯოს თქვენი სოფლის მდგომარეობა და გაიგოს, ვის მეტი აქვს მიწა, ვის ნაკლები. რაც შეეხება ბავშვებს, რომ გითხრათ ყველა ბავშვებს სახელმწიფო აიყვანს და გაზრდისო—ეს იქნება უადგილო. სკოლებში კი უფასოდ მიიღებენ თქვენს შვილებს. რაც შეეხება მიწებს, აქამდე, როგორც ვიცი, არ იყო ასეთი ღონისძიებანი, რომლებსაც ეხლა ვღებულობთ. რომ მართლაც ვინმე არ დარჩეს ან უმიწა-წყლო, ან მცირე მიწით, მას დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს მიწა.

კ ი თ ხ ვ ა.

რათ არის სოფლის მეურნეობა დაქუცმაცებული?

კ ა ს უ ხ ი.

თქვენ ასე შეგეძლოთ გეკითხათ, რატომ არ არის სოფლის მეურნეობა გაერთიანებული? სოფლის მეურნეობის დაქუცმაცება წარმოიშვა უხსოვარ დროიდან, ამას აქვს დიდი ისტორია. ძველად ეს არ ყოფილა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ წარმოიშვა ასეთი წვრილი მესაკუთრეობა. ეს ხომ გუშინ არ მომხდარა. ჩვენ ვღებულობთ ზომებს, რომ დაქუცმაცებული მეურნეობები გადაიქცეს გაერთიანებულ მეურნეობათ, ამხანაგურ, კოლპერატიულ ნიადაგზე. რაც იყო—იყო, ეხლა ამ საქმეს ჩვენ დეკრეტით ვერ გავაუქმებთ.

კ ი თ ხ ვ ა.

რამ გამოიწვია პურისა და საქონლის კრიზისი?

კ ა ს უ ხ ი.

თქვენ აპარისტანში ცხოვრობთ და იცით, რომ ორი წლის განმავლობაში მოუსავლობა იყო იმისთვის, რომ ამინდი ცუდია. წვიმებმა გააფუჭა მოსავალი არ დამწიფდა სიმინდი, პური და არ მოვიდა ის სათანადო რაოდენობით.

რომ აპარისტანში არ ყოფილა კარგი მოსავალი, ეს კიდევ არაფერია, რადგან საზოგადოთ, აპარისტანი სხვაგან გასატან მოსავალს არ იძლევა. საუბედუროდ საქართველოშიც იყო დიდი მოუსასვლობა. საქართვე-

ლოს რომ თავი დაეანებოთ, თვით საბჭოთა რუსეთში და უკრაინაში მრავალი ასი ათასი და მილიონი ქცევა გაფუჭდა უნებების გამო. სახელმწიფო დებულებას უოველგვარ ზომებს, რომ ხალხი არ დაიშვს. წინანდელ დროში რომ მოუსაგლობა ყოფილიყო, ხალხი გაწყდებოდა სიმშვილისაგან.

ეს ერთი. მეორე—თქვენ ამბობთ, რომ არის საქონლის—მანუფაქტურის და სხვა ასეთების ნაკლებობა, თქვენ იცით, რომ ჩვენი ფაბრიკების რიცხვი, სადაც მზადდება მანუფაქტურა, თანდათან გადიდა. მაგრამ ხალხის მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზარდა: ყველას უნდა რომ კარგად ჩაიკვას და დაიხუროს. ამავე დროს ფულის მხრივ ხალხს დღეს მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე წინათ. ჩვენი ფაბრიკები ჯერჯერობით ვერ ამყაფილებენ, ვერ აუღის ხალხის მოთხოვნილებას. მაგრამ გავა ერთი ორი წელი და ჩვენი ქარხნების ნაწარმოების რაოდენობა დღად გაიზარდება.

თქვენ იტყვიან, რატომ არ შეძოაქვთ საქონელი სახლვარგარეთიდანო. ბურჟუაზიისაგან საქონლის შექმნა არ მოგვეცემს ხელს. ეს დასუსტება ჩვენი ხელისუფლების და გაძლიერება ჩვენი მტრების. ამისათვის ჩვენ ვეწვეით ერთნაირ მომპირნებობას, გაპირვებას ვითმენთ შეგნებულად. მტრებს არ მივცემთ ჩვენი დამარცხების საშუალებას. საბჭოთა ძთავრობა ეწევა დიდ მუშაობას, რომ რაქენაირად შეამსუბუქოს ეს გაპირვება.

კ ი თ ხ ვ ა.

როგორ მუშაობენ კომუნისტური პარტიები ბურჟუაზიულ ქვეყნებში?

კ ა ს უ ხ ი.

ეს საინტერესო საკითხია. მე, რა თქმა უნდა, ჩემს მოხსენებაში არ შემეძლო ამ საკითხს შევხებოდი. ჩვენში ძალა-უფლება უკარავს მუშათა კლასს. ეს აიხსნება ყველაზე უფრო იმით, რომ კომუნისტურ პარტიამ, ბოლშევიკურ პარტიამ, აიღო სწორი მიმართულება და მან გაიმარჯვა, მუშათა კლასმა აიღო თავის ხელში სახელმწიფოს მართვა-გამგეობა. როგორი მდგომარეობა არის ბურჟუაზიულ ქვეყნებში? იქაც მუშაობენ კომუნისტური პარტიები. მხოლოდ ისინი წარმოიშვენ ამ 5—10 წლის განმავლობაში. წინად ბოლშევიკური პარტია იქ არ არსებობდა და ამან დიდად შეუწყო ხელი ბურჟუაზიას, რომ მან აქამდე შეინარჩუნა ძალა-უფლება. კომუნისტური პარტიები სახლვარგარეთ თავგამოდებით იბრძვიან. მათ უხდებათ ბევრი გაპირვების გადატანა ისე, როგორც ჩვენ ვატანდით ნიკოლოზ მეფის რეჟიმის სუსტს. ჩვენში ატუსაღებდნენ, ხოცად ენ მუშების წარმომადგენელთ. ასეთი მდგომარეობა არის ეხლა უკხოეთის ქვეყნებში. იქ კომუნისტურ პარტიებს ავიწროებენ, კომუნისტურ პარტიის მუშაობას იქ სდენიან, მუხედავად ამისა, ჩვენი მოძმე პარტიები მედგარად მუშაობენ.

უნდა ჰოგახსენოთ, რომ ბურჟუაზიული ქვეყნები ვერ ბედავენ ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებას, რადგან იქ დიდი რევოლუციონური მუშაობა სწარმოებს. იქაურ მთავრობებს არა აქვთ თავიანთი ქვეყნების მშრომელთა იმედი. ისინი რომ ჩვენ დავესხან, მათ ქვეყნებში შეიძლება ასტყდეს სამოქალაქო ომი. ჩვენი საზღვარგარეთელი პარტიები აძლიერებენ თავიანთ მუშაობას. ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიები გაერთიანებულნი არიან. ამ გაერთიანებას ჰქვია კომინტერნი.

კ ი თ ხ ვ ა .

ჩვენი ჩადრის ახლა და მედრესეს დახურვა ნებაყოფლობითია თუ ძალდატანებითი?

ვ ა ს უ ხ ი .

აზნაავებო, მე გუშან ველაპარაკეთ, საბჭოთა მთავრობას შეეძლო, მაგალითად, ამ რვა წლის წიხით გამოეცა კანონი და აეკრძალა ჩადრის ტარება. საბჭოთა ხელისუფლება ვერ ეგუება ჩამორჩენილობის ისეთ გამოსატულებას, როგორიცაა ჩადრი. ავიღოთ, მაგალითად, ყინული და ცეცხლი. შეიძლება თუ არა მათი შეერთება? ახ ცეცხლი გაქრება, ან ყინული აადნება. ორივე ერთად არ მოთავსდება. აი; სწორედ ასე ვერ შეეთვისება ჩვენი ხელისუფლება ჩადრს. ჩვენ ვაპბობთ, ქალი საუქუნეების განხველობაში იყო დამონებული. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მუსულმან ქვეყნების შესახებ. მამაკაცმა დაიძინავე ქალი ორნაირად: ქალს ის ამუშავებს და ამავე დროს ართმევს ყოველივე ადამიანურ უფლებებს. დედაკაცი, რომელიც ჩადრით დაიარება, არ სარგებლობს ადამიანური უფლებებით. თუ კი სხვა ქვეყნის ქალები გამოდიან პირახდილები და ლებულობენ მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში, რატომ მოხდა, რომ მუსულმან ქვეყნების ქალები ასეთ მდგომარეობაში არიან? ეს აი. - სნება იხით, რომ ამ ქვეყნებში განსაკუთრებით ძძივე ჩავგრა იყო. ჩავგრა ორნაირი: როგორც მუშის და როგორც დედაკაცის.

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ქემალ-ფაშამ აკრძალა ჩადრის ტარება თურქეთში. საბჭოთა ხელისუფლებას სჭირდება მეტი სიფხიზლე. თვითონ ქალებში უნდა აღიძრას ჩადრის ახდის სურვილი. ქალებში უნდა შეიქტანოთ შეგნება, რომ ისეთი სამარცხვინო მოვლენა, როგორიცაა ჩადრის ტარება, მათ აიცდინონ თავიდან. პირდაპირ კანონის გამოცემა არ იქნება მიზანშეწონილი. მართალია, თქვენ შეგიძლიათ გვისაყვედუროთ, რომ ნაკლები ენერგია დაეხარჯეთ თქვენზე, რომ საჭირო იყო მეტი შეგნება შეგვეტანა თქვენ ჰი, რომ ასეთი სიფხიზლე საბჭოთა ხელისუფლების მხრივ დაუშვებელი იყო. აქ აჭარბატანის მთავრობის წარბომადგენლები არიან

და უნდა აღვნიშნო, მათაც ნაკლებად შეიწუხეს თავი, რომ მოსულიყვნენ თ ვენტან და აეხსნათ, თუ გინდ მამაკაცებისათვისაც, ჩადრის ახდის აუცილებლობა.

მე თქვენ გეკითხებით, როგორ ფიქრობთ, უნდა გააგრძელოთ თუ არა ჩადრის ტარება? მე ვხედავ, რომ ამ დარბაზში კიდევ ბევრი ქალი არის ჩადრით. მართალია, ჩადრის ახდა უცებ ადვილი არ არის, მაგრამ თუ წამხალისებელი მავალითები იქნება, თუ ჩადრს გადაადგებენ უფრო შეგნებული ქალები და აჭარელი მამაკაცებიც შეეცდებიან ჩადრის წინააღმდეგ ბრძოლას, ამ მავნე ჩვეულებას მალე მოეღება ბოლო.

ხომ ხედავთ, რომ ბათობი კეთდება, შენდება ქარხნები, სკოლები. თქვენ ზურგს ვერ შეაქცევთ ამ გარემოებას. თქვენ უნდა შეხვიდეთ ამ სკოლებში, ქარხნებში. მამაკაცი და დედაკაცი ორივე ადამიანია და ორივე ერთი უფლებით სარგებლობს. ზოგიერთი აჭარელი მამაკაცი ფიქრობს, რომ მარტო ჩვენ გვაქვს უფლება ვიაროთ პარახდილებმა და საზოგადოებაში შევიდეთო; არა, ეს ასე აღარ არის. ქალებიც უნდა იყვნენ ჩაბმულნი საზოგადო სამუშაოში, თორემ გაგიჭირდებათ ცხოვრება. ჩვენ გულდამშვიდებით ვერ ვუყურებთ ასეთ სამარცხვინო მდგომარეობას. ამის შესახებ ჩვენ აშკარა აზრი გვაქვს. ჩვენ აქამდე ვითმინეთ ჩადრი, დღეიდან ეს შეუძლებელია.

თურქეთში საქმე სხვანაირადაა. იქ ქემალმა გამოსცა დეკრეტი და აკრძალა არა თუ ჩადრის, არამედ ფესკების ტარებაც კი. მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ თვით ხალხმა განაცხადოს უარი ჩადრზე.

ა დ გ ი ლ ი დ ა ნ

ჩადრი ჩვენ არ გვშენის, არ არის შნოიანი და სიარულსაც გვიშლის, მაგრამ ჩვენი ხალხი განთავისუფლებული არ არის. ჩვენ ხალხში უცბად ვერ მოხდება ეს ცვლილება, ვინაიდან თავისუფლები არა ვართ, გვეშინია, იქნებ სიარული, გავლა-გამოვლა ცუდად გამოვიდეს, ქალაქში ადვილია ეს, მაგრამ სოფელში ძნელია.

თავმჯდომარე: ერთი უნდა შეგეკითხოთ: თქვენ გეშინიათ ვისიმესი, თუ გრცხვენიათ?

ადგილიდან: გვეშინია, და გგრცხვენია. კიდევ.

თავმჯდომარე: ვისი გეშინიათ?

ადგილიდან: ჩვენ გვეშინია ხალხის.

თავმჯდომარე: ხალხისგან ძალდატანების, თუ როგორ?

ადგილიდან: ჩვენი ხალხი ნასწავლი არ არის, რომ უცბად მოიხადონ ჩადრი. ჩვენ ხალხს სოფლად ეშინია ჩადრის მოხდა.

თავმჯდომარე: კარგი, დაბრძანდით, მე მესმის.

კ ი თ ხ ვ ა

არიან თუ არა სხვა ქვეყნებში გათანასწორებული ქალები?

პ ა ს უ ხ ი

ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც ქალი სრულიად არის გათანასწორებული მამაკაცთან, ესაა საბჭოთა კავშირი. არსად სხვა ქვეყანაში ქალი არაა გათანასწორებული მამაკაცთან. არის ქვეყნები, ეგრედ წოდებული განათლებული ქვეყნები, ქალი ამ ქვეყნებში პირახდილია, ქარხნებშიაც მუშაობს, მაგრამ ფაქტიურად ის ისეთ მდგომარეობაში არსად არ არის, როგორშიაც საბჭოთა კავშირში უცხოვრები მშრომელი ქალი.

ჩვენში ნახავთ ქალს თემსაბჭოს თავმჯდომარედ, ან მაზრის, აღმასკომის თავმჯდომარედ, რომელიმე სახალხო კომისარიატის უფროსად. არსად, არც ერთ ქვეყანაში ამის მსგავსი რამ არ არის. მრავალ ქვეყნებში ქალებს არა აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ, მაგალითად, საკანონმდებლო დაწესებულების არჩევაში. ზოგიერთ ქვეყნებში ქალებს აქვთ საარჩევნო უფლება, მაგრამ ქალი შეზღუდულია, ის უნდა იყოს განათლებული ან მაღალი წოდების წარმომადგენელი და სხვა. ამრიგად, სხვა ქვეყნებში ქალი უფლებრივად შეზღუდულია. გარდა ამისა, ისინი ეკონომიურადაც უმწეო მდგომარეობაში არიან.

ებლა კი თქვენი საქმე თქვენზევეა დამოკიდებული. უნდა გამოიყენოთ ის უფლებები, რომელსაც ანიჭებს ქალს საბჭოთა ხელისუფლება.

დ ე ლ ე გ ა ტ ი ა დ გ ი ლ ი დ ა ნ

მე უნდა გთხოვოთ, რომ ძალიან გაჭირვებული მდგომარეობა გვაქვს, ყველა დედები ატირებული არიან იქისათვის, რომ სურმანიძე ასლან ექვსი წელიწადია მოშორებული არის ჩვენს ოჯახს. გთხოვთ, რომ გაუშვათ ჩემი შვილი.

პ ა ს უ ხ ი

კარგი, ამ საქმეს შემდეგ გავარჩევთ.

მ ე ო რ ე დ ე ლ ე გ ა ტ ი

ჩვენ ვცხოვრობთ სოფ. ძენითში (ქობულეთის მაზრა) ღარიბები ვართ, სოფელში ჩვენ არა გვაქვს გზები და კოოპერატივი. მივალთ კოოპერა-

ტივში და გვაძლიერენ სამ მეტრო ფართალს. ეს ჩვენ არ გვეყოფა. ჩვენ ვართ ოჯახში ათი სული და, თუმათი რომ შევიტანო კოოპერატივში, შემოსავალი არ გვაქვს ამდენი. უნდა დაუკლოთ ფასებს, უნდა მოგვცეთ ტანისამოსი.

კ ა ს უ ხ ი

კარგი, კარგი, მივიღებთ მხედველობაში.

დ ე ლ ე ბ ა ტ ი ა დ გ ი ლ ი დ ა ნ

მე ვარ ხულოს მახრიდან. მე უნდა გითხრათ, რომ რაც მარცხი ძოხდა, მოხდა და ჩვენ ეხლა..

კ ა ს უ ხ ი

კარგი, კარგი, ეხლა ერთმა ამხანაგმა განაცხადა დატუსაღებულის განთავისუფლების შესახებ. ამ საქმეს მე განვიხილავ, მაგრამ უნდა გითხრათ სრულიად გულახდილად: ვინც საბჭოთა ხელისუფლებას ეღობება წინ (ხმა: არ ვეღობებით), ვინც უშლის ხელს თქვენს განთავისუფლებას, თქვენს გამოფხიზლებას, ვისაც უნდა, რომ კიდევ იყოს ჩადრი და სხვა დამამცირებელი ჩვეულებანი, მას თავზე ხელს არ მოუხვამს ჩვენი ხელისუფლება.

კ ი თ ხ ვ ა

არის თუ არა მოსალოდნელი ომი?

კ ა ს უ ხ ი

მე მოგახსენეთ, რომ საბჭოთა მთავრობა ყოველივე საშუალებას ხპარობს თავიდან აიცილოს ომი, არამც თუ თავის ქვეყნებში, არამედ საზოგადოდ მოსპოს ომიანობა... ჩვენი წარმომადგენელი სხვა სახელმწიფოებს აძლიერენ წინადადებას, რომ მოსპონ ჯარები, მაგრამ ისინი ამაზე არ თანხმდებიან; მათ უნდათ, რომ ჩვენს ქვეყანაში მოისპოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება. რასაკვირველია, ენზადებიან ომისათვის, აღიდეგენ ჯარებს, აძლიერებენ შეიარაღებას. აშკარაა, რომ ომი მოსალოდნელია. ჩვენც, რასაკვირველია მზად უნდა ვიყოთ. ვინიცობაა თავზე დაგვესხან, ღირსეული პასუხი უნდა გავსცეთ. სანამ ბურჟუაზიული ქვეყნები იქნება, რა თქმა უნდა ომიც იქნება.

დელეგატი აღვილიდან

მე მაქვს პატარა სიტყვა სათქმელი: ჩვენ ჩადრს ვიხდით, მაგრამ არაფერი გვაქვს კოოპერატივში ჩასაცემელი. გამოგზავნეთ ჩასაცემელი, რომ ჩადრეს თუ ვიხდით, კოსტიუმები ჩავიცვათ.

კ ა ს უ ხ ი

კარგი, კარგო, ყოჩაღ!

ქ ი თ ხ ვ ა

ჩვენ რომ ცულ მდგომარეობაში ვართ, ეს თქვენც იცით და ჩვენც ძალიან ბევრი ვართ ქერივ-ობოლი, ლარიბი, გაჭირვებული. მოვითხოვთ მთავრობისაგან დახმარებას.

კ ა ს უ ხ ი

რაც და შეგვიძლია, დაგეხმარებით სხვადასხვ. ორგანოებრს საშუალებით.

თავმჯდომარე: ამხანაგებო, ცოტა დაწყნარდით: თქვენ რა გნებაეთ? (მიმართავს ერთ ერთ ფეხზე ამდგარ დელეგატს) აქ ამოდით და სთქვიით.

ადგილიდან: საავადუყოფოში არ არის ადგილები, ავადმყოფი სახლში გვიწევს.

თავმჯდომარე: სიტყვა აქვს ამხ. მ. სურმანიძეს.

მ მ მ ა თ ი

ამხ. მ. სურმანიძე

ამხანაგებო, თქვენ აქ მოისმინეთ მოხსენება ამხ. ფილიპესი. ჩვენ კეოძო საკითხებზე არ უნდა ვილაპარაკოთ, მაგრამ მე მინდა შევეხო ზოგიერთ შეკითხვებს.

აქ იყო შეკითხვა, — ჩადრის მოხსნა ნებით არის, თუ ძალდატანებით? ჩვენ შეგვეძლო დეკრეტი ძალით მოგვესპო ჩადრის ტარება. თქვენი იცით, რომ ჩვენ დავხურეთ მედრესები. საამისო დეკრეტი იყო გამოსული. ეს საქმე გათავებულია. ვინც უნდა იყოს წინააღმდეგი, სულ ერთია, — დადგენილება არ შეიცვლება. რაც შეეხება ჩადრის მოხდას — თქვენ იმისათვის ხართ მოწვეული, რომ იმსჯელოთ.

მე ვფიქრობ, რომ თქვენ მოითხოვთ ამის შესახებ გამოცემული იქნეს დეკრეტი. 1929 წელში აჭარისტანში არც ერთი ქალი არ უნდა იყოს ჩადრდახურული; აჭარისტანის ხელისუფლებამ აქამდის ვერ შეძლო სხვადასხვა მიზეზების გამო ამ მუშაობის ჩატარება. ეხლა მოწვეულია ყრილობა; გამოსვლა და ლაპარაკი იმის შესახებ, ნებ-თ არის ჩადრის მოხდა თუ ძალით, ეს ზედმეტია. აუცილებლად უნდა იყოს გატარებული საყოველთაო სწავლა, მედრესები დაკეტული უნდა იქნეს და ჩადრი არავის არ უნდა ეხუროს.

თავმჯდომარე: ამხ ნაგებო, იმ დღეეგატებს, რომლებმაც ვერ მოასწრეს გამოსვლა და შეკითხვების მიცემა, სხვა მოხსენების დროს შეუძლიანთ ე .

ადგილიდან: სიტყვის ნება მომეციოთ.

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა ამხ. **მენაბდეს.**

ამხ. მენაბდე

ჩადრი ჩვენ ავიხადეთ, მაგრამ სასურველია გამოცემული იყოს კანონი ამის შესახებ: ძირს ჩადრი! (მქუხარე ტაში).

თავმჯდომარე: ამხ. ფილიპე მახარაძეს აქვს სიტყვა (ტაში).

ამხ. ფ. მახარაძის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო, როგორც ამხ თავმჯდომარემ მოგახსენათ, აქ კიდევ იქნება რამოდენიმე მოხსენება და ყველა თქვენთაგანს შეუძლია კიდევ გამოსთქვას თავისი აზრი. ეხლა კი იმ მოხსენების შეახებ, რომელიც ჩემს მიერ იყო გაკეთებული. მე მინდა დავაბოლოო ჩემი სიტყვა.

თქვენ მოისმინეთ მოხსენება და რამოდენიმე ქალმა შემოიტანა შეკითხვებიც. ბევრი შეკითხვა კერძო ხასიათის იყო. მაგალითად, აქ სთქვეს დატუსაღებულის შესახებ, კვირიგ-ობლებზე, გაკვირვებაზე და სხვა.

ამხანაგ სურძანიძემ თქვენ განგიზარტათ ამ კრებაზე, რომ ასეთი შეკითხვების გამოკვევა და მათზე პასუხის გაცემა ყრილობაზე შეუძლებელია, ვინაიდან პირადად მე, ან სხვა ჩამოსულ ამხანაგებმა არ იციან რომელ სოფელზეა ლაპარაკი, რა პირობებია ამ სოფელში და სხვა. ყოველივე ამის მოგვარება უნდა შეინდოს ადგილობრივ თემსაბჭოს, ან და აჭარისტანის ხელისუფლებას; არის თემსაბჭო, არის სამაზრო კომიტეტი, არის აჭარისტანის აღმასრულებელი კომიტეტი და სხვა ორგანოები. ესენი მოავგარებენ თქვენს ჭირ-ვარამს.

აქ ძალიან სერიოზული საკითხები იყო წამოყენებული. მაგალითად, რა მდგომარეობა არის უცხოეთში, როგორ მუშაობენ იქ კომუნისტები, როგორი უფლება აქვთ ქალებს სხვა ქვეყნებში, როგორ

ცხოვრობენ ქალები იქ და სხვ. ზოგიერთ შეკითხვებზე მე მოგეცით პასუხი. ყველა ამ საკითხების ამოწურვას ჩვენ ყრილობაზე ვერ შევსძლებთ, ვინაიდან ჩვენი ყრილობა იმისათვის არის მოწვეული, რომ მიეცეს აჭარელ და თურქ ქალებს განათლება, რომ დაიწყონ მათ ახალი ცხოვრება. მთავარი საკითხი კი ამ ყრილობაზე არის ჩადრის საკითხი. ჩვენ მოვისმინეთ ამის შესახებ ქალების აზრი. ჩვენც ჩვენი აზრი გვაქვს ამ საგანზე. რასაკვირველია, ჩადრის მოხსნა ადვილი საქმე არ არის, ვინაიდან ჩვეულებასთან გვაქვს საქმე. ნათქვამია: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. თურქი და აჭარელი ქალები დადიან ჩადრში გახვეული, პირ-აფარებული. ყველა დაეჩვია ამას, ვითომ ასე უნდა იყოს, ვითომ ეს „კანონია“, ვითომ ეს ალახს დაუწესებია. ეს დაუწესებელი არის თვით ხალხისაგან, ე. ი. მდიდრებისაგან, რომ მათ მშრომელი ხალხი უფრო მეტად დაჩაგრონ, უფრო მეტად სწოვონ სისხლი, დაუჩლუნგონ მათ გონება და დაუბრმავონ თვალები. ერთი სიტყვით, ქუჩაში ქალი არ უნდა გამოჩნდეს, ქალი უნდა იყოს მონა. რომელი ღმერთების გამოგონებაა ასეთი რა დაპამცირებელი. განა ეს არის სამართლიანობა? ეს უსაძართლობა არის. ესაა ჩავკრის მომასწავებელი და სხვა არაფერი.

მართალია, მე მწამს, რომ თქვენ, როდესაც აიხდით ჩადრს და დაიწყებთ ქუჩაში სიარულს, უგუნური ხალხი დაგცინებთ, შეიძლება ბავშვები გამოვიდნენ და დაგცინონ, შეიძლება ხანში შესულ ხალხმაც გაბედოს დაცინვა, მაგრამ ამისათვის არის ხელისუფლება. ხელისუფლება ხუძრობა რომ არ არის. რისთვის არიან სხვადასხვა ორგანოებში მომუშავე ქალები? ისინი არიან იმისათვის, რომ დაიცვან თქვენი უფლება, რომ არავინ გაბედოს თქვენთვის შეურაცყოფის ძოყენება. თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ხელისუფლება ამ მხრივ დაგეხმარებათ. უნდა იყოთ მტკიცენი და პირი არ შეშალოთ. არ შეიძლება რომ არ შეგხვდეთ ბევრი დაბრკოლება, უგუნური ხალხი, უეჭველად, დაცინვას კი არა უარესსაც ჩაიდენს. თქვენ პასუხისგებაში უნდა მისცეთ ასეთი პირები. ყველა ვალდებულია გაატაროს ცხოვრებაში ასეთი დადგენილება.

რაც შეეხება იმას, რომ საჭიროა ყურადღება მივაქციოთ თქვენს მომარაგებას საქონლით, ფართლის მოწოდებას ჩაცმა-დახურვისათვის, — ეს მესმის და მართალიც არის. ჩვენ ვლებულობთ ღონისძიებებს, რომ მართლაც ასეთი საშუალებები მოგეცეთ მომავალში.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს პირველი ნაბიჯია. პირველი ნაბიჯის გადადგმა ყოველთვის ძნელია, მაგრამ პირველ ნაბიჯს მეორე ნაბიჯიც უნდა მოჰყვეს.

თქვენ უკვე შეუდექით ამ საქმეს. უკან დახევა აღარ შეიძლება. შიდიხართ და უნდა წახვიდეთ კიდევ ამ გზით. ეს ახალი ცხოვრების თავისუფალი ცხოვრების გზა არის. გისურვებთ ამ გზაზე წარმატებით და მტკიცე სვლას (ტაში).

დეღეგატი აღვილიდა:

ამხანაგებო, გაუმარჯოს ფილიპე მახარაძეს! ძირს ჩადრი (ტაში).

თავმჯდომარე: ამხანაგებო, შეკითხვები თუ გაქვთ ვინმეს, წინათაც ვითხარით და ეხლაც ვიმეორებ, რომ სალამოზე იქნება სხვადასხვა მოხსენებები და მაშინ შემოიტანეთ. ამხანაგებო, კიდევ არიან ჩამოსულები, რომლებსაც უნდათ მიესალმონ ჩვენს ყრილობას. ქუთაისიდან არის ჩამოსული დეღეგაცია. სიტყვა ეკუთვნის ამხ ცაგარელს (ტაში).

მისალმებანი ყრილობას

ამხ. ცაგარელი

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ ქუთაისის მუშა და მშრომელ ქალების სახელით მხურვალეთ მივესალმო აჭარელ და თურქ ქალთა პირველ ყრილობას. დღეს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანია მიმდინარეობს. ესაა საბჭოთა არჩევნები. ამავე დროს ჩვენ ვართ უდიდეს მოვლენის მოწმე. ჩვენ ვხედავთ აჭარელ და თურქ ქალთა პირველ ყრილობას. ეს არის იშვიათი მიღწევა ქალის განთავისუფლების დარგში. კომუნისტური პარტია მტკიცედ ატარებს მშრომელ ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ ღონისძიებებს. ჩვენ ვხედავთ, რომ მშრომელი ხალხი ხელისუფლებას გამოყავს სიბნელიდან. ამის დამამტკიცებელი არის თუნდაც ის, რომ მე მუშა ქალი ვდგევარ თქვენს წინაშე და ვხედავ ჯერ არ ნახულ სურათს. მე წავიკითხე ცნობა თქვენი ყრილობის შესახებ, მაგრამ არ მჯეროდა, რომ ყოველივე ეს მართალი იყო. ეხლა კი ამას საკუთარი თვალებით ვხედავ.

ქუთაისის მშრომელ ქალთა სახელით ვისურვებ თქვენი ყრილობის მუშაობის წარმატებით წინსვლას.

აჭარელი ქალი დაძინებული იყო. დღეს ვხედავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი გამოიყვანა განათლების გზაზე. არც ერთ წარსულ მთავრობას არ მიუქცევია ქალებისათვის ასეთი დიდი ყურადღება. ჩვენ ასეთი მდგომარეობა უნდა გამოვიყენოთ. არ უნდა ვიტიროთ ჩადრის დაწვისათვის. ეს არ არის თქვენი დაწვა, როგორც წუხელ, როცა ჩადრი იწვებოდა, სთქვა ხულოს მაზრიდან ერთმა ქალმა: ჩადრი დაწვეს და ბოლოს ჩვენც დაგვწვავნო. ეს არის მონობის დაწვა (**ხმა:** არ გვითქვამს).

იმედია, აჭარისტანის მამაკაცები დედაკაცებთან ერთად ხელს შეუწყობენ ქალთა განთავისუფლებას. აჭარელ ქალმა უნდა სთქვას: არ არის საჭირო ჩადრი, საჭიროა კულტურული დონის ამაღლება, სწავლა-განათლება, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვ. მაშასადამე, გაუმარჯოს თქვენს

დღევანდელ ყრილობას, იმ ყრილობას, რომელიც არ გაგონილა აქამდე. გაუმარჯოს თქვენს სიმტკიცეს საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად! (ტაში).

თავმჯდომარე:—მისასალმებელი სიტყვა ეკუთვნის ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის წარმომადგენელს აშხ. თოიძეს..

ა მ ხ. თ ო ი ძ ე

ამხანაგებო, ა. კ. სახალხო ვაჭრობის ბათომის განყოფილების თანამშრომლების სახელით მივესალმები სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა პირველ ყრილობას. დღეს საძირკველი ჩაეყარა დაჩაგრულ ქალთა განთავისუფლებას. დღემდე აჭარისტანის ყველა ქალები სიბნელეში იყვნენ. მათ არ იცოდნენ, თუ რა ხდებოდა ქვეყნად. ჩვენმა ხელისუფლებამ უთხრა მათ: სიბნელეში ხართ, გამოდით სიბნელიდან, დაადექით სწორ გზასო! ჩვენი თავმოყრა მოხდა კომუნისტური პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით. ჩადრი და სხვა ასეთები ისტორიას ჩაბარდება. იმედი მაქვს, რომ მომავალში თქვენ ჩვენთან ერთად მიიღებთ სოციალისტურ მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას.

გაუმარჯოს დღევანდელ ყრილობას! გაუმარჯოს აჭარელ ქალთა განთავისუფლებას! (ტაში).

თავმჯდომარე: ალის კიდევ ერთი ამხანაგი. სიტყვა ეძლევა მისალმებისათვის მბეჭდავთა კავშირის წარმომადგენელს აშხ. ფალიაშვილს.

აშხ. ფ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მივესალმო სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა პირველ ყრილობას—მბეჭდავთა კავშირის სახელით და მიუძღვნა მას მცირე საჩუქარი ალბომი. (კითხულობს ალბომის შინაარსს):

სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა პირველ ყრილობას.

აჭარისტანის მბეჭდავი ქალები და მამაკაცები აღფრთოვანებით ვეგებებით იმ ბრძოლას, რომელიც ამჟამად სწარმოებს ძველი ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ. მთელს ჩვენს ენერჯიას მოვახმართ აჭარელ და თურქ ქალთა განთავისუფლების საქმეს.

დღევანდელი ყრილობა სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს გულში ქალთა უუფლებობას და უკულტურობას, ის გამოიყვანს მშრომელ აჭარელ ქალებს სოციალისტურ აღმშენებლობის ფართო გზაზე.

გაუმარჯოს თავისუფალ აჭარელ და თურქ ქალებს!

გაუმარჯოს საყოველთაო სავალდებულო სწავლებას საბჭოთა სკოლაში! ძირს მედრესე—მექთებე!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას—მშრომელთა მასების ხელმძღვანელს და ორგანიზატორს!

თავმჯდომარე: წამხანაგებო, დღეს უფრო ადრე ვხურავთ ყრილობას. უსათუოდ საღამოს 5 საათზე გაიხსნება სხდომა. საჭირო არის, რომ ყველა 5 საათზე გამოცხადდეს. არ დაიგვიანოთ.

სხდომა იხურება დღის 1 საათზე.

მესამე სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. ფ. მახარაძე

თავმჯდომარე: ამხანაგებო, სრულიად საქართველოს აქარელ და თურქ ქალთა ყრილობის მესამე სხდომას გახსნილად ვაცხადებ (ტაში). ამხანაგებო, ქალთა მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. ვარო ჯაფარიძე. (ტაში).

მუშა და გლეხ ქალთა მდგომარეობა საქართველოში

ამხ. ვ. ჯაფარიძის მოხსენება

ამხანაგებო, სანამ ჩემი მოხსენების ძირითად საკითხებს შევეხებოდე, შე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო იმ მდგომარეობაზე, რომელშიაც იმყოფებოდა ქალი ოქტომბრის რევოლიუციამდე.

ქალის მდგომარეობა ძველ, მეფის რუსეთში იყო განსაკუთრებით ცუდი და აუტანელი. ფართე გაააჩანი ჰქონდა მხეცურ ინსტიტუტებს. შეუზღუდველი იყო მამაკაცის უფლება ქალზე. ყოველივე ამის გამო ის მიძიმე უღელი, რომელიც სტანჯავდა მთელ მშრომელ ხალხს, ქალისათვის კიდევ უფრო აუტანელი ხდებოდა. მეფის კანონები შეთანხმებული იყო ბიბლიურ კანონებთან. ეს კანონები ყოველთვის იყო მამაკაცების მხარეზე. მე აქ მოვიყვან რამოდენიმე მუხლს მეფის კანონებიდან, რომელნიც ნათლად ახასიათებენ ქალთა იმდროინდელ მდგომარეობას. აი, მაგალითად, რას ვკითხულობთ ჩვენ იქ:

„ცოლი ვალდებულია დაემორჩილოს თავის ქმარს, როგორც ოჯახის უფროსს, უყვარდეს იგი, ექცეოდეს შესაფერი მოკრძალებით და იჩენდეს შორჩილებას, ცდილობდეს მის პატივისცემას, როგორც დიასახლისი“.

„ცოლი ვალდებულია დაემორჩილოს თავის ქმრის ნებისყოფას“.

ქმრის გადასახლების, სამსახურში შესვლის, ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შემთხვევაში, ცოლი ვალდებულია ქპარს ვაჟ ყვეს თან“.

ეს ამონაწერები ნათლად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ქალი იყო ქმრის და, საერთოდ, მამაკაცის უსიტყვო კუთვნილება. ის იყო ქმრის მონა, რომელსაც არ ჰქონდა თავისი „მე“.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ქალს არ ჰქონდა არავითარი უფლებები მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. როდესაც ქმრის მხეცურ მოქმედების გამო ქალის მდგომარეობა ოჯახში აუტანელი ხდებოდა, ის ვერსად პოულობდა მოსარჩლეს, დამცველს, საშუალო საუკუნის კანონები იყო გამეფებული ქალისათვის ოჯახში და საზოგადოებაში. ვინც გაბედავდა წასვლას ქმრისაგან, რა მდგომარეობასაც არ უნდა გამოეწვია ეს წასვლა, მას იძულებით აბრუნებდნენ ქართან. თუ ქალი რუმად წავიდოდა, მას დააბატონებდნენ და ისე მოუყვანდნენ ქპარს.

გაბატონებულ კლასებს, კერძოდ თავადებს და მემამულეებს დაწესებული ჰქონდათ ყოველგვარ ადაჩიანობას მოკლებული უხნეო ჩვეულება, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ახლად დაქორწინებულ გლეხს პირველი ღაპით თავისი ცოლი უნდა დაეთმო ბატონისათვის. ეს საზიზღარო ჩვეულება ცნობილია „პირველი ღამის უფლების“ სახელწოდებით:

აიღეთ ჯერ კიდევ გადაუგდებელი ჩვეულება, რომელსაც ადგილი აქვს სპარსეთში. მამაკაცს რომ ჰკითხო იქ, რამდენი შვილი გაყავსო, ის ჯერ დაფიქრდება და შემდეგ აცხადებს — ამდენიო. ქალიშვილს ის არ სთვლის შვილად. აქედან ნათლად სჩანს, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება იქ ქალი.

მშრომელი ქალი იტანჯებოდა, გმინავდა ორ უღელ ქვეშ. ამხანაგებო, სხვანაირად არც იქნებოდა, ვინაიდან მეფურ ხელისუფლების კლასიური ბუნება, რასაკვირველია, თავის დაღს ასვამდა მთელ კანონმდებლობას. ამ კანონებს ემყარებოდნენ მემამულეები და ჩინოვნიკები, რადგან დამორჩილებულ, დამონაგებულ და შიშისთან გასწორებულ ქალში ისინი ხედავდნენ ერთ-ერთ სიმკაცრეს თავის ბატონობისათვის.

ოქტომბრის რევოლუციამ ერთი დაკვრით სანაგვე ყუთში გადააყარა მეფის ყველა კანონები და ყოველგვარ ჩაგვრასთან ერთად მოსპო სამარცხვინო ჩაგვრა და უთანასწორობა ორ სქეს შორის, რომელიც დაკანონებული იყო საუკუნეებ თ. „საბჭოთა ხელისუფლებას ქვა ქვაზე არ დაუტოვებია ის კანონები, რომლებიც სჩაგრავენ და ამონაგებდნენ ქალს“, — ამბობდა ვლადიმერ ილიჩ ლენინი. ჩვენი კანონებით ყველა მშრომელს როგორც მამაკაცს, ისე ქალს უფლება აქვს აირჩიოს და იქნეს მრჩეული საბჭოებში, პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოებში გახსნილი აქვთ კარები ყველა მშრომელთ, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა. მოქალაქეთა უფლება საბჭოთა ქვეყანაში განისახლდრება არა იმით, თუ

რომელ სქესს ეკუთვნის ესა თუ ის მოქალაქე, არამედ ამ მოქალაქის კლასიური მდგომარეობით.

„პოლიტიკაში მონაწილეობის მიღებისათვის ძველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში საჭირო იყო განსაკუთრებული მომზადება. ამიტომ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში მოწინივე კაპიტალისტურ ქვეყნებშია ც კი ძლიერ სუსტი იყო. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ პოლიტიკა, ესე იგი ქვეყნის მართვა-გამგეობა გავხადოთ ხელმისაწვდომი თვითეულ მშრომელი ქალისათვის, — ამბობდა ლენინი მოსკოვის მუშა ქალთა კონფერენციაზე 1918 წელს.

თავისთავად ცხადია, ამხანაგებო, რომ ქალის უფლებრივი გათანაბლწორება მამაკაცთან არ იყო ჩვენთვის თვითმიზანი, არამედ ის იყო პირველი ნაბიჯი ყველა მშრომელ ქალთა სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმისათვის. ამავ კონფერენციაზე ლენინი ამბობდა: „ხელისუფლებამ მოსპო კერძო საკუთრება მიწაზე და თითქმის მთლიანად ქარხნებზე და ფაბრიკებზე. საბჭოთა ხელისუფლება მიიღტვია იქითკენ, რომ მშრომლებმა, არა მარტო პარტიულებმა, არამედ უპარტიოებმაც, არა მარტო მამაკაცებმა, არამედ ქალებმაც მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის სამეურნეო მშენებლობაში. ეს საქმე, დაწყებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ, წავაწინ მხოლოდ მაშინ, როდესაც ასეულ ქალების მაგიერ მთელ რუსეთში ა საქმეში მონაწილეობას მიიღებენ მილიონები და მილიონები ქალები. მაშინ საქმე სოციალისტურ მშენებლობისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ. განმტკიცებული იქნება. მაშინ მშრომელი დაამტკიცებენ, რომ მათ შეუძლიათ იცხოვრონ და იმუშავონ მემამულეებსა და კაპიტალისტების გარეშე. მაშინ, რუსეთში სოციალისტური მშენებლობა განმტკიცებული იქნება იმდენად, რომ ვერავითარი გარეშე და შინაური მტრები ვენ იქნებიან საშიში რესპუბლიკისათვის“.

აი, ამხანაგებო, რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ლენინი მშრომელ ქალთა მონაწილეობას საბჭოთა აღმშენებლობაში.

როგორც ვიცით, საბჭოთა ხელისუფლებამ მუშის მთავრობისაგან მემკვიდრეობით მიიღო უმეცრებითა და უცოდინარობით მოცული ქვეყანა. მშრომელი მასები და, განსაკუთრებით, ქალები, ძლიერ ჩამორჩენილნი იყვნენ კულტურულად. ამიტომ წამოიჭრა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე საკითხი იძის შესახებ, რომ აუცილებელია განსაკუთრებული მუშაობა ქალთა შორის. ამიტომ შეიქმნა პარტიულ, ორგანოებთან ქალთა შორის მომუშავე სპეციალური განყოფილებები, რომლებიც მიზნად ისახავენ მუშა და გოგბ ქალთა კულტურულ დონის ამაღლებას, მათ ჩაბმას სამეურნეო მშენებლობაში და ძველი ყოფა-ცხოვრების მძიმე მდგომარეობიდან განთავისუფლებას. ყველა ეს ამოცანები, რომელნიც სდგანან უშუალოდ ქალთა განყოფილებების წინაშე, რა თქმა უნდა, არ გამოხატავენ რაიმე სპეციალურ „ქალურს“, არამედ არიან ნა-

წილი იმ საერთო ამოცანისა, რომელნიც სდგანან პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე და ხელს უწყობენ, საერთოთ, მშრომელთა მასების და, მათ შორის, ქალთა ძასების ჩაბმას ჩვენი აღმშენებლობის ყველა დარგში.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა .

ამხანაგებო, გადავდივარ რა ჩემი მოხსენების ძირითად საკითხებზე, უნდა გითხრათ, რომ მუშებმა და გლეხებმა ჩვენი ქვეყანა ისედაც ლაბი და ჩამორჩენილი ჩაიბარეს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გამოსტაცეს ის ხელიდან მყველფელებს სრულიად განადგურებული და დანგრეული. ოთხი წლის იმპერიალისტურმა ომმა ქვეყანა დაღუპვის კარს მიიყვანა, მაგრამ ამას თან დაერთო სამი წლის სამოქალაქო ომი, ომი ყველაზე უფრო საშინელი და გამანადგურებელი. თუ რაიმე გადაურჩა იმპერიალისტურ ომს, ის თითქმის მთლიანად სამოქალაქო ომის გრიგალში შთაინთქა. კერძოდ საარქტივლოში, ძართალია სამოქალაქო ომი იმდენად განმანადგურებელი არ ყოფილა, მაგრამ რაც იმპერიალისტურ ომს გადაურჩა, ის მენშევიკების ბატონობის დროს განადგურდა და განიავდა. რის განადგურებაც ვერ მოასწრეს მშრომელი ხალხის გამცემლებმა მენშევიკებმა, ის თან წაიღეს საზღვარგარედ. არ დასტოვეს გაუძარცველი არავინ და არაფერი, არ დაინდვეს ისტორიული სამუხეუმო განძებიც კი.

საქართველო, მიუხედავად მისი ბუნებრივი სიმდიდრისა არასოდეს არ წარმოადგენდა ძლიერ სამრეწველო ქვეყანას. მრეწველობის განვითარებას აქ მუდამ ხელს უშლიდა მეფის რეჟიმის კოლონიალური პოლიტიკა. ეს იყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს მრეწველობა რჩებოდა განუვითარებელი, და ბუნებრივი სიმდიდრე—დაუმუშავებელი. მაგრამ, ამხანაგებო, მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, მუშურ-გლეხური ხელისუფლება სამოქალაქო ომის შეწყვეტის დღიდანვე შეუდგა ქვეყნის სამეურნეო მშენებლობას, შეუდგა ძველი ფაბრიკა—ქარხნების აღდგენას და, სადაც ასეთი არ იყო,—ახლის შექმნას.

ამხანაგებო, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის დედა აზრი იმაზე მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება დაუახლოვოთ მრეწველობის ერთეულები ნედლ მასალას. ეს ერთი მხრივ. მხოლოდ მეორეს მხრივ, საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს განავითაროს მრეწველობა ეროვნულ უმცირესობათა კუთხეებში და ამით აღზარდოს ადგილობრივი მუშათა კლასი ამიტომ არის, რომ ყოველ წელს მატულობს ფაბრიკა-ქარხნები საქართველოში.

აშენებულა და შენდება მთელი რიგი ახალი ფაბრიკა-ქარხნები უკვე დამთავრებულა აშენება აპრემუმის ძაფსახვევ ქარხნების: ოზურ

გეთში, სამტრედიისში, ხონში და თელავში. დასრულებულია თბილისის აბრეშუმის საქსოვი ქარხანა, მზათა „მკერავის“ 2 სამკერვალო ფაბრიკა თბილისში, მარგლისის გრებილ ავეჯეულობის ქარხანა, ბორჯომის სატყე-ჩე ქარხანა, თბილისის მუღღს ქარხანა, კასპის ცემენტის ქარხანა, ბარის ქარხანა ქუთაისში, გორის საკონსერვო ქარხანა, აგურის და კრაპის ქარხნები ნორიოში, ასეთივე ქარხანა შორაპნის მახრაში, ხილის სახმობი ქარხნები შინდისში და ახალციხეში, ტყავ-ტრესტის ქარხანა თბილისში, ზუგდიდის და ოზურგეთის ხილის ქარხნები და სხვა.

ამხანაგებო, აქ კიდევ შეიძლება მთელ რიგ ფაბრიკების და ქარხნების ჩაპოთვლა. მაგრამ მე არ შევაჩერებ ამაზედ თქვენს ყურადღებას.

ქ ე შ ა ს ქ ლ ი ს ზ რ დ ა

ცხადრა, ამხანაგებო, საქართველოს მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდება მრეწველობაში ჩაბმული მუშა ხელიც. თუ ჩვენს მრეწველობაში 1927 წელს ჩაბმული მუშა ხელი უდრიდა 22.197 კაცს, 1928 წელში პირველ აპრილს ეს რიცხვი ავიდა 25.000-მდე.

ამასთანავე ერთად იზრდება აგოეთვე მუშა ქალთა რიცხვიც. თუ საქართველოს მრეწველობაში 1927 წელში ჩაბმული იყო 3.384 ქალი, 1928 წელს უკვე მათი რიცხვი აღწევს 6.089-მდე.

ამ მოკლე ხანში ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება, ვინაიდან— როგორც ზეპოთ იყო ნათქვამი, მალე დაიწყებს მუშაობას ქუთაისის ძაფსახვევი ქარხანა, სადაც ქალთა შრომა იქნება გამოყენებული. აგრეთვე გაფართოვდება სამტრედიისა და ხონის ძაფსახვევი ქარხნები, სადაც მომატებული იქნება 32 ძაფსახვევი ტაშტი. ზუგდიდში ახლო მომავალში გაიხსნება ახალი ძაფსახვევი ქარხანა. აველა ზემოჩამოთვლილ ახალ წამოწყებებში უმთავრესად ჩაებმება მუშა ხელი ქალებისაგან.

ზ რ ო ფ კ ა ვ შ ი რ ე ბ ი

იზრდება, საერთოდ, ორგანიზაციულად დარაზმულ მუშების რიცხვიც. საქართველოს პროფკავშირებში გაერთიანებულ მშრომელების რაოდენობა 1927 წლის 1 აპრილისათვის უდრიდა 160.245 კაცს. 1928 წელში 1 აპრილისათვის კი ეს რიცხვი გაიზარდა 180.451-მდე, ე. ი. 12,6 პროცენტით. აქედან პროფკავშირებში გაერთიანებულ ქალთა რიცხვი 1927 წლის 1 აპრილს უდრიდა 22.434 კაცს და 1928 წლის 1 აპრილს კი—36.440 კაცს. ამრიგად პროფესიონალურად დარაზმულ ქალთა რიცხვი საქართველოში ერთი წლის განმავლობაში 12,4 პროც. გაიზარდა.

ამიერ-კავკასიაში 1926 წელს დაქირავებულ შრომას ეწეოდა 333.716 კაცი, მათ შორის 49.972 ქალი, ანუ 15,1 პროცენტი. 1928 წელში ამიერ-კავკასიაში დაქირავებულ შრომას ეწეოდა 376.490 კაცი, მათ შორის 59.463 ქალი, ანუ 15,8 პროცენტი.

მთელ საბჭოთა კავშ. პროფკავშირებში გაერთიანებულია 2.569.000 ქალი, რაც შეადგენს პროფკავშირში დარაზხულ მასების 26,1 პროცენტს.

საზღვარგარედ კი, ისეთ ინდუსტრიალურად განვითარებულ სახელმწიფოში, როგორც არის ინგლისი, დაქირავებულ შრომას ეწევა 500.000 ქალი. ამათგან პროფკავშირებში გაერთიანებულია მხოლოდ 300.000 ქალი.

თუ ავიღებთ წარმოებაში ჩაბმულ ქალების ნაციონალურ შემადგენლობას, უნდა ვთქვათ, რომ აქ ყველაფერი თავის რიგზე არ არის. საქართველოში წარმოებაში ჩაბმულ 36.400 ქალიდან ქართველები არის 17.000 კაცი, სომხები—4.900 კ., რუსები—9.600 კ., თურქი ქალები 168 კ.; ეს ცნობები იქას მოწმობს, რომ წარმოებაში სათანადოთ არ არიან ჩაბმულნი ნაცუმცირესობანი, როგორც არის აქარელი და თურქი ქალები, ებრაელები, აფხაზი ქალები და სხვანი.

ავიღოთ თუნდაც ჩაის პლანტაციები აჭარისტაში, სადაც უქთავრესად გამოყენებულია ქალის შრომა. იქ მუშაობს ათასამდე ქალი. მათ შორის კი არც ერთი აქარელი ქალი არ მოიპოვება. ასეთივე სურათია აფხაზეთში, სადაც თამბაქოს წარმოებაში ჩაბმულია 6.000 მეტი ქალი, მათ შორის კი არც ერთი აფხაზი ქალი არ არის.

ის გარემოება, რომ ჩვენს მრეწველობაში საერთოდ ცოტაა ნაცუმცირესობათა ქალები, აიხსნება იმით, რომ ჩვენი წარმოება ვითარდება და ეწყობა ტენიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, რაც ასედაც უნდა იყოს. ამიტომ ჩვენი წარმოებისათვის საჭიროა კვალიფიკაციური მუშახელი, ქალთა მასა კი საერთოდ, წარმოადგენს არაკვალიფიციურ მუშახელს, მით უმეტეს, ნაცუმცირესობათა ქალთა მასები.

მეორეს მხრზე კი შრომელ ქალთა წარმოებაში ჩაბმას ხელს უშლის ყოფა-ცხოვრების ის ძველი, დახვსებული, ყოველგვარ წინსვლის და განვითარების შემბორაკივი ნაშთები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სულთამხუთავად ევლინება შრომელ ქალს. მავნე ზნე-ჩვეულებათა მიხედვით, წარმოებაში ქალის ჩაბმა არის სირცხვილი და დაუსმელებელი რამ. ყოველივე ეს ძთელ რიგ ორგანიზაციების წინაშე, როგორც არის შრომის და განათლების სახალხო კომისარიატი, მუშა და გლეხ ქალთა განყ. და სხვანი აყენებს საკითხს ქალთა მასის კვალიფიციურად მომზადების შესახებ. ამით წარმოებაში ქალის ჩაბმის მეტი საშუალება მოგვეცემა.

შ რ ო მ ი ს დ ა ც ვ ა

საკიროა ყრილობამ თავისი ყურადღება შეაჩეროს აგრეთვე ქალთა შრომის დაცვის პირობებზე საბჭოთა კავშირში. ყველასათვის (კნობილია, ამხანაგებო, რომ სოციალდევების კანონების თანახმად, თუ ავადმყოფობა 6 თვეზე მეტი არ გაგრძელდა, მუშა-მოსამსახურეებს ენახებათ განკურნე ბამდე ადგილები. ამავე დროს მათ ეძლევა სრული ხელფასი და უფასო წამლობა. ასობით მუშა-მოსამსახურე ქალები იგზავნება ჯანმრთელობის აღსადგენად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კურორტებზე. ორსულობის დროს ძუძა ქალს ეძლევა შვებულება ოთხი თვის ვადით ხელფასის სრული შენახვით. მუშა ქალს ეძლევა აგრეთვე ერთდროული დახმარება მშობიარობის გამო და რძის ფული ცხრა თვის განმავლობაში.

აქ, ამხანაგებო შეიძლება ძთელი რიგი კანონების დასახელება, რომელნიც ნათლად ახაიათებენ შრომის დაცვის პირობებს საბჭოთა კავშირში, მაგრამ თქვენ ამ საკითხს ასე თუ ისე იცნობთ. ამიტომ შე მინდა ორიოდე სიტყვით შევეცხო შრომის დაცვის პირობებს ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

გერმანიაში ქალები მუშაობენ კვირაში 60 საათიდან 90 საათამდე, ეს იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირში უკვე შეიღი საათის სამუშაო დღეზე გადავიდვართ. გერმანიაში არსებობს კანონი, რომელიც იძლევა სამთვიურ შვებულებას ორსულობის დროს, მაგრამ ამავე კანონით ამ თვეების ხელფასი არ ეძლევა შვებულებაში წასულ ქალებს.

ამავე კანონით აკრძალულია ორსულობის გამო შვებულების მოთხოვა. შეიძლება შვებულების მოთხოვა რაიმე სხვა მოტივით, მხოლოდ არა ორსულობის მიზეზით. ამაზე უკეთესი მდგომარეობა არაა სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ზოგიერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში კიდევ უფრო შევიწროებულია მშრომელი ქალი.

ამგვარად, ამხანაგებო, თქვენ ნათლად ხედავთ, როგორ იცავს ქალთა შრომას საბჭოთა კანონები და როგოო უნუგეშო. მდგომარეობაში არიან ამ მხრივ საზღვარგარეთის მუშა ქალები.

ხ ე ლ ფ ა ს ი

თუ ავიღებთ, ამხანაგებო, ხელფასის ზრდას, ამ მხრივაც ჩვენ გვაქვს ზოგიერთი მიღწევები. ქალთა საშუალო ხელფასი 1926 წელს თვეში უდრიდა 35 მან. 75 კაპ., 1927 წელს კი — 40 მან. 80 კაპ. ზრდა, მაშალადამე, არის 14,1 პროცენტით. თუთუნის წარმოებაში 1926 წელს ქალთა საშუალო ხელფასი თვეში უდრიდა 47 მან. 69 კაპ., 1927 წელს — 59 მან. 75 კაპ., ზრდა არის — 25,3 პროცენტით. ტყავეულობის წარმოებაში

1927 წელს ქალთა საშუალო ხელფასი თვეში უდრიდა 42 მან. 16 კაპ., 27 წელს კი—69 მან. ზრდა უდრის 63,7 პროცენტს.

თუ ჩვენ გადავხედავთ ქალთა ხელფასის განვითარებას საზღვარ გარეთის სახელმწიფოებში, დავინახავთ სულ სხვა სურათს. გერმანიაში, მაგალითად, საერთო სიძვირის ზრდასთან ერთად კვალიფიციური მუშა ქალი კვირაში ღებულობს 17—16 მარკას—(მარკა უდრის 37—40 კაპ.), რაც შეადგენს კვირაში დაახლოებით 5 მან. 60 კაპ., თვეში კი დაახლოებით 22 მანეთს. ბერლინში, რევოლუციების ფაბრიკაში, მუშა ქალი ღებულობს კვირაში 2 მარკას, ე. ი. 80 კაპეიკამდე, მკერავი ქალი 12 პერანგის შეკერვაში ღებულობს 55 კაპ., თითო პალტოს შეკერვაში კი—60 კაპ.

მდგომარეობა მუშა ქალებისა კაპიტალისტურ ქვეყნებში უარესდება იმით, რომ იქ ძალაშია პრინციპი, — არა თანასწორი ხელფასი—თანასწორ მუშაობისათვის. ქალი ხშირად ასრულებს იმავე სამუშაოს, რომელსაც მამაკაცი, ზოგჯერ ქალის შრომა უფრო ნაყოფიერიც არის, ვიდრე მამაკაცის. მიუხედავად ამისა, ხელფასი ქალს ყოველთვის მამაკაცზე ნაკლები აქვს. თუ, ვთქვათ, რომელიმე სამუშაოს შესასრულებლად მამაკაცს ეძლევა ერთი მანეთი, ამავე სამუშაოს შესრულებისათვის ქალი მიიღებს 77 კაპეიკს, ან 73 კ. და ასე.

საბჭოთა კავშირში კი, ამხანაგებო, თანასწორი სამუშაოსათვის თანასწორი ხელფასი არსებობს,—სულ ერთია ვინ შეასრულებს მას, ქალი თუ ქაცი.

მაგრამ, თუ ავიღებთ ქალთა მასის საშუალო ხელფასს და შევადარებთ მას მამაკაცების საშუალო ხელფასს, დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელი, ე. ი. მამაკაცთა საშუალო ხელფასი გაცილებით მაღლა სდგას, რაც აიხსნება იმით, რომ ქალთა შრომა ჯერ ჯერობით დაბალი კვალიფიკაციის არის, ეს ჩვენს წინაშე ერთხელ კიდევ აყენებს საკითხს ქალთა კვალიფიკაციის აწევის შესახებ.

ამხანაგებო, მთელ რიგ მიღწევებთან ერთად სოციალისტურ მშენებლობაში ჩვენ გვაქვს ნაკლოვანებანიც, ჩვენ წინ გველობება მრავალი დაბრკოლებები, რომელნიც ადვილად იქნება დაძლეული, როდესაც აიწვევს ქალთა მასის კულტურულ—პოლიტიკური დონე.

სასოფლო მეურნეობა

ოქტომბრის რევოლუციის ერთ ერთ ძირითად მონაბოვარს წარმოადგენს მიწის ნაციონალიზაცია. მიწა ჩამოერთვა მემამულეებს და საერთოთ, არამშრომელებს. მიწა დაურიგდა მათ, ვისთვისაც ის აუცილებლობას წარმოადგენდა, ე. ი. ბოგანო, ღარიბ და საშუალო გლეხობას. ოქტომბრის რევოლუციამდე რუსეთში იყო 15 მილიონამდე კერძო,



სულთს მუზის დემონსტრაცია

ინდივიდუალური მეურნეობა. რევოლიუციის შედეგად ჩვენ მივიღეთ არა ნაკლებ 24 მილიონი ინდივიდუალური მეურნეობა. გვაქვს ჩვენ კოლექტიური მეურნეობანიც.

საქართველოში ამჟამად არსებობს 594 კოლექტივი, რომლებშიაც გაერთიანებულია 12.012 მეურნეობა.

კოლმეურნეობაში შეკავშირებულია 446 ანუ 3,7 პროცენტი ისეთ გლეხურ მეურნეობისა, რომელსაც ქალები მეთაურობენ. ასეთ მეურნეობათა რიცხვი კი საქართველოში 26.097 შეადგენს. გლეხი ქალები კოლექტივებში არიან ჩაბმულნი, უმთავრესად, როგორც ოჯახის წევრები. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ ჯერობით ქალთა მონაწილეობა სასოფლო სამეურნო კოლექტივებში სუსტია.

ქ ა ლ ი კ ო ო პ ე რ ა ც ი ა შ ი

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ქალთა გაერთიანებას სხვადასხვა სახის კოოპერაციაში. კოოპერაცია, როგორც ვიცით, არის გზა სოციალიზმისაკენ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.

დიდი მნიშვნელობა აქვს ქალთა გაერთიანებას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში. ეს ის ორგანიზაციაა, რომელთანაც მეტად ახლო უნდა იდგეს გლეხ ქალთა მასები. სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია უნაწილებს გლეხკაცობას მათთვის საჭირო თავსება-იარაღებს, დახმარებას უწევს მათ სესხით, სათესლე მასალით და სხვა. ამავე დროს ის არის გლეხის ნაწარმოების გამსაღებელი. ამ სახის კოოპერაციაში გლეხ ქალთა ჩაბმის საქმე დამაკმაყოფილებელ დონეზე არ სდგას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მმართველობის ორგანოებში ქალთა მონაწილეობა სუსტია. სას.-სამ. კოოპერაციის 33 გამგეობაში იყო სულ 13 გლეხი ქალი, რაც შეადგენს გამგეობის წევრთა საერთო რიცხვის 4,4 პროცენტს. სარევიზიო კომისიებში იყო 7 ქალი, რაც უდრის 3,3 პროცენტს, საბჭოებში—52 ქალი, რაც შეადგენს 8,1 პროცენტს. ეს სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი.

საწარმო-სარეწაო კოოპერაცია.

ქალთა კოოპერაციაში გაერთიანების მხრივ პირველ ადგილზე სდგას საწარმო-სარეწაო კოოპერაცია. სარეწაო კოოპერაციაში სულ გაერთიანებულია 7 609 კაცი, აქედან 1.407 ქალი, რაც შეადგენს წევრთა საერთო რიცხვის 18,62 პროცენტს.

მაგრამ, ამხანაგებო, ეს სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი, თუ მივიღებთ მხედველობაში სარეწაო კოოპერაციის საერთო პროგრესს და იმ როლს, რომელსაც ის თამაშობს ქალთა ყოფა-ცხოვრების გარდაქმნაში.

ამიტომ, სარეწაო კოოპერაციისა და ჩვენს წინაშე ისმება საკითხი შინამრეწველ ქალთა კოოპერაციაში მთლიანად გაერთიანების შესახებ. საჭიროა ისეთი არტელების შექმნა, რომელშიაც უპეტეს ნაწილად გამოყენებული იქნება ქალთა შრომა, როგორც მაგალითად, არის ხალიჩების და ნაბღების წარმოება, შალეულობის ქსოვა და სხვ.

საწარმოო-სარეწაო კოოპერაციის გამგეობათა და სარევიზიო კომისიების წევრთა მთელ რიცხვში, რომელიც უდრის 1.492 კაცს, მხოლოდ 80 ქალია, რაც შეადგენს 5,3 პროცენტს. არტელების თავმჯდომარეებად და ხელმძღვანელებად მთელ საქართველოში მხოლოდ 13 ქალია. ასეთი მდგომარეობა გვავალებს, რომ ყოველი ღონე ვინმართ შინამრეწველ ქალთა გასაერთიანებლად სარეწაო კოოპერაციაში, და ამით ხელი შეუწყობს მათი პროდუქციის რიცხვობრივად და ხარისხობრივად გაუმჯობესებას, გასაღებას და სხვა.

ს ა მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ლ ო კ ო ო პ ე რ ა ც ი ა .

როგორც ვიცით, სამომხმარებლო კოოპერაცია ყველაზე უფრო გავრცელებული კოოპერატიული გაერთიანებაა. სამომხმარებლო კოოპერაციაში გაერთიანებულ ქალთა პროცენტი უდრის 10-ს. ასეთი მცირე პროცენტი ერთის მხრივ იმიტაც აიხსნება, რომ კოოპერატივების წევრად ოჯახიდან შედის ერთი კაცი, და ეს ერთი უფრო ხშირად არის მამაკაცი.

საბჭოთა კავშირის მუშათა კოოპერატივებში 1926 წელში გაერთიანებული იყო 1.332.000 ქალი, ანუ წევრთა საერთო რიცხვის 25,6 პროცენტი.

აქტიურ კოოპერატიულ მუშაობაში, — სადუქნო კომისიებში, ჩამბულია 193 ქალი, რაც შეადგენს 45 პროცენტს. სადუქნო კომისიების მუშაობაში ყველაზე უფრო აქტიურია ქალები. სადუქნო კომისიების 40 თავმჯდომარეთაგან 7 ქალია. კოოპერაციის 351 რწმუნებულთაგან 69 ქალია.

სამომხმარებლო კოოპერაციას, რომელიც მოწოდებულია სოფლის და ქალაქის შორის კავშირი გააბას, რომელიც ყოველგვარ შუაპავლობის გარეშე პირდაპირ უნდა აწვდიდეს მომხმარებლებს საჭირო საგნებს, ასეთ კოოპერაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის დარგში. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ამ სახის კოოპერაციაში გლეხ ქალების და საერთოდ, მშრომელ ქალების გაერთიანება ძლიერ სუსტია.

ლ ა რ ი ბ თ ა უ ო ნ დ ი .

თუ ავიღებთ ღარიბთა ფონდის განაწილების საქმეს, დავინახავთ, რომ აქ ადგილი აქვს ზოგიერთ დაუდევრობას. კოოპერატიული ორგანიზაციები ხშირად დანიშნულებისამებრ არ იყენებენ ამ ფონდს. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილებზე სრულიად სხვა რაიმეს ახმარებენ მას, ან დახელუხლებლად აქვთ ის რამდენიმე წლების განმავლობაში.

ეს ფონდი უნდა გამოყენებულ იქნას უღარიბეს ქალთა კოოპერაციაში ჩასაბმელადაც. უკანასკნელ ხანებში ამას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. საერთო ფონდიდან ღარიბ ქალთათვის ყოფენ 15 პროცენტს. ზოგიერთ მაზრაში ეს პროცენტი გაკილებით უფრო დიდია. მაგალითად, თელავის მაზრაში გამოყოფილია 50 პროცენტი, გორის—30 პროცენტი, ახალციხის—30 პროცენტი და ქუთაისის—25 პროცენტი.

გლეხი ქალი დიდ როლს თამაშობს სასოფლო მეურნეობაში. ხშირად ის გაცილებით მეტ შრომას ეწევა, ვიდრე მამაკაცი (ოსეთი, აჭარისტანი და სხვა). ქალის შრომა გამოყენებულია მებაღეობაში, მებოსტნეობაში, მეფრინველეობაში, მერძეობაში და მემინდვრეობაში. მიუხედავად ამისა, ქალის როლი სოფლის მეურნეობაში სრულებით არ შეეფერება იმ მდგომარეობას, რომელიც ჩვენ გვაქვს ქალთა ჩაბმის მხრივ სხვადასხვა ორგანიზაციებში, კერძოდ კოოპერაციაში. ეს გარემოება მთელ რიგ სათანადო ორგანიზაციებისა და, განსაკუთრებით ჩვენს წინაშე, სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს ამ ხაკლის გამოსწორებას. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ თვითონ მშრომელ ქალთა მასები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივ მუშაობაში.

მ ა ჩ ი უ რ ი მ უ შ ა ო ბ ა

ამხანაგებო, გადავდივარ მასიურ მუშაობის საკითხებზე, ყოველგვარი პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური მუშაობა წარმოუდგენელია მუშა და გლეხ ქალთა მასების აქტიურ მონაწილეობის გარეშე. არ შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე, ჩვენი წარმოების რაციონალიზაციაზე, ჩვენი სოფლის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის შესახებ და კოლექტივიზაციის განვითარებაზე, თუ მთელ მშრომელ მასებთან ერთად აქტიურობას არ გამოიჩინენ მუშა და გლეხი ქალებიც.

სადლევატო კრებები.

მუშა და გლეს ქალთა შორის მასიურ მუშაობის ძირითად ფორმას წარმოადგენენ სადლევატო კრებები; რომლებმაც უნდა მოგვეცნენ არა მარტო პირველდაწყებით პოლიტიკური ცოდნით შეიარაღებული მშრომელი ქალი, არამედ უნდა მოამზადონ ქალი პარტიულ, საბჭოთა და კო-ოპერატიულ ორგანიზაციებში პრაქტიკულ მუშაობისათვისაც.

სადლევატო კრებები არ არის პოლიტსკოლა. ეს არის პრაქტიკული ცოდნის მიმცემი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

თეორიის დაკავშირებამ პრაქტიკასთან, თვით დლევატო ქალთა ყოველდღიურ მუშაობამ სხვადასხვა ორგანიზაციებში, უნდა მოამზადოს მშრომელი ქალი, როგორც საზოგადოებრივი მუშაკი.

მაგრამ, ამხანაგებო, არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სადლევატო კრებები მთლიანად აღწვევენ ამ მიზანს, რომ ისინი სათანადოთ ამზადებენ მშრომელ ქალებს. ამის მიზეზი მრავალია. ერთის მხრივ სუსტი მომუშავეების (ხელმძღვანელების) გამოყოფა, მეორეს მხრივ, პრაქტიკულ საკითხების სუსტად დაკავშირება თეორეტიულ საკითხებთან, მესამეს მხრივ, დლევატო ქალების სუსტი პრაქტიკული მუშაობა სხვადასხვა ორგანიზაციებში. აი, იმის მიზეზები, თუ რატომ ვერ შევქმენით ჩვენ დღემდე სადლევატო კრებებიდან ნამდვილი საზოგადოებრივი ერთეულები, ვერ მოვამზადეთ სათანადო რეზერვი დლევატოთა აქტივიდან, რომ მოსახერხებელი ყოფილიყო მათი მასიური დაწინაურება სხვადასხვა სამუშაოებზე.

მიუხედავად ამისა, ამხანაგებო, ამ დარგში ჩვენ გვაქვს ბევრი მიღწევები, როგორც ქალთა მასების ფართოთ ჩაბმის მხრივ სადლევატო კრებებში, აგრეთვე ამ ორგანიზაციის მუშაობის შინაარსის გაუმჯობესების მხრივ.

თუ 1924-25 წ. საქართველოში იყო, 5,015 დლევატო ქალი, უკვე 1925-26 წელს საქართველოს სადლევატო კრებებში გაერთიანებული არის 9.679 ქალი, ხოლო ამიერ-კავკასიის სადლევატო კრებებში 21.428 ქალი; 1926-27 წელს საქართველოში — 10.196 ქალი, ამიერ-კავკასიაში — 23.751 ქალი; 1928-29 წელს კი საქართველოს სადლევატო კრებებში აფხაზეთსა და შორაპნის მაზრის გამოკლებით, იყო 11.425 ქალი.

თუ ავიღებთ მთელ საბჭოთა კავშირს, დაეინახავთ, რომ დლევატო ქალთა რიცხვი 1927-28 წელს იქ უდრიდა 620.000 კაცს.

აირივად, ამხანაგებო, როგორც ხედავთ, წლიდან წლამდე სადლევატო კრებებში ებმება მშრომელ ქალთა მასების ახალი ფენები.

სოც. დემოკრატიული მხრივ 1927-28 წ. სადლევატო კრებები წარმოადგენდნენ შემდეგ სურათს: მუშა ქალები—998, ლარიბი ქალები—4.672, მოჯამაგირენი—153, საშუალონი—1.264, დიასახლისი ქალი—1.872, მოსამსახურენი—4, დახარჩენნი—100.

როგორი მდგომარეობა გვექონდა ამავე 1927-28 წ. განხვეობაში სადღეღვატო კრების ნაციონალური შემადგენლობის მხრივ? აქ ასეთი სურათი იყო: ქართველი—8, სომეხი—858, რუსი—550, თურქი—124, აპარელი—34, აფხაზები—195, ოსი—260.

სადღეღვატო კრებების პრაქტიკულ საკითხების პროგრამულ საკითხებთან დაკავშირებაშიაც გვაქვს მიღწევები: 1926-27 წ. ყველა დღეღვატ ქალების 30,1 პროცენტი ჩაბმული იყო პრაქტიკულ მუშაობაში, 1927-28 წელს კი ეს პროცენტი უდრის 41-ს. ჩვენი მორიგი ამოცანაა ყველა იმ ნაკლოვანებათა გამოსწორება, რომელნიც გვაქვს სადღეღვატო კრებების მუშაობის დარგში, რომ სადღეღვატო კრებების მუშაობაში ჩაბმული ქალთა მასები სათანადოდ იქნან მომზადებული პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

ს ა ბ ზ ო მ ბ ი

არანაკლებ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მშრომელ ქალთა მასიური ჩაბმა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოებში—საბჭოებში. როგორც იცით, ამხანაგებო, ჩვენი კონსტიტუციით ყველა მშრომელს უფლება აქვს არჩეულ იქნეს საბჭოში და აირჩიოს სხვა. ეს უფლება ერთნაირად აქვს მინიჭებული ყველა მშრომელს, განურჩევლად სქესისა.

თუ ამ მხრივ საზღვარგარეთის სახელმწიფოებს შევადარებთ ჩვენს სახელმწიფოს, დავინახავთ სრულიად სხვა სურათს.

ინგლისში, რომელთაც აბაყოფს თავისი „თავისუფლებით“, ქალებისათვის არსებობს ცენზი წლოვანობის მიხედვით. იქ მამაკაცს ეძლევა საარჩევნო უფლება 21 წლიდან, ქალს კი მხოლოდ 30 წლიდან. გამონაკლისს შეადგენენ ბურჟუა ქალები, რომელთაც უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული. ამრიგად უფლებრივი შეზღუდვა დაწესებულია მხოლოდ მუშა ქალებისათვის, რომელთა რიცხვი ინგლისის მრეწველობაში უდრის ინგლისის მუშათა კლასის საერთო რიცხვის 28 პროცენტს.

ჩვენთვის ესაა ნათელია, რომ მშრომელი ქალი საბჭოთა კავშირში სრულიად თავისუფალია. აქ ის სარგებლობს ყოველგვარი უფლებებით, საზღვარგარეთ კი სხვა მდგომარეობაა.

ამხანაგებო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქალი სრულიად თავისუფალია და მას შეუძლია მიიღოს აქტიური მონაწილეობა არჩევნებში, ქალები მაინც სათანადოდ არ სარგებლობენ ამ უფლებებით. მათი მონაწილეობა არჩევნებში ბევრ შემთხვევაში სუსტია. ძაგალითად, თუ ავიღებთ საბჭოთა უკანასკნელ არჩევნებს, დავინახავთ, რომ ქალთა მონაწილეობა უდრიადა 37 პროცენტს, ე. ი. ყოველ 100 ქალში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 37-მა. ეს არ არის დამაკმაყოფილებელი. რაც შეეხება აპარის-

ტანს, აქ ქალთა მონაწილეობა წარსულ არჩევნებში უდრიდა მხოლოდ 13 პროცენტს.

მე თქვეს ყურადღებას არ შევაჩერებ მთელ რიგ სხვა საკითხებზე, რომლებიც აგრეთვე დაკავშირებულია საბჭოთა არჩევნებთან. ასეთია, მაგალითად, დეპუტატ ქალთა პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმა, მათი მუშაობის ნაყოფიერება და სხვა, ვინაიდან თქვენ ამ საკითხზე მოისმენთ სპეციალურ მოხსენებას.

კულტურული რევოლუცია

ამხანაგებო, მთელი რიგი ამოცანებისა, რომელნიც სდგას ჩვენს წინაშე ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებით, მეტად მძიმე გადასაჭრელი იქნება, თუ ჩვენ არ გვეყოლება მომზადებული ძალების საკმაო კადრი.

კულტურული რევოლუციის საკითხს კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა და აქცევს. მე-15 პარტყრილობაზე კი ეს საკითხი სპეციალურად იქნა განხილული. ამ ყრილობაზე ამხანაგ რიკოვმა ასე დაახასიათა კულტურის მნიშვნელობა: „კულტურა ჩვენი განვითარების ეხლანდელ ეტაპისათვის, ჩვენი სამეურნეო მშენებლობისათვის არის იგივე, რაც ომიანობისათვის იარაღი-“ო.

კულტურული რევოლუცია გულისხმობს ადამიანთა მასის გარდაქმნას, იდეოლოგიურად გადამუშავებას. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ქალთა მასის შესახებ, რომელიც უფრო ჩამორჩენილია კულტურულად და პოლიტიკურად.

საქართველო წარმოადგენს ძრავალ ხალხებით დასახლებულ ქვეყანას, სადაც 30 პროცენტზე მეტს წარმოადგენენ ეროვნული უმცირესობანი. საქართველოში ლაპარაკობენ 37 სხვადასხვა ენაზე. სხვადასხვა კუთხეებს ახასიათებს სხვადასხვა ეკონომიური და კულტურული თავისებურებანი. ყოფა-ცხოვრების ნაშთებიც სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარია. ამ ნაშთებთან ბრძოლა და კულტურულ რევოლუციის გატარება ძლიერ ძნელია.

ჩვენი უკულტურობის პირველი მიზეზებელია ჩადრი, რომელიც ყოველგვარ განვითარების ხელის შეშლელია. ჩადრს თავისუფალ აჭარელ ქალმა უნდა გამოუცხადოს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ქალთა ყიდვა-გაყიდვას, ეგრედ წოდებულ ყალიძს, მრავალცოლიანობას, მცირეწლოვანთა გათხოვებას, სისხლის აღებას, რელიგიურ ფანატიზმს, მშობიარეთა ბოსელში დამწყვდევას და სხვა. ყოველივე ზემოდ ჩამოთვლილ სი-

მახინჯეებს ებრძვის საბჭოთა კანონები, მაგრამ ეს საკითხი დამატებით იქნა განხილული ცაკის სესიის ძიერ, როდემაც გამოსცა ცალკე კანონი. ამ კანონის თანახმად დაისჯება ყველა ის პირი, რომელიც ასრულებს ან ხელს შეუწყობს ზემოჩამოთვლილ მავნე ჩვეულებებს. მაგრამ, ამხანაგებო, უნდა ვსთქვა, რომ ჩვენი სასამართლოს ორგანოები ამ კანონს ვერ ანხორციელებენ სრულად და სათანადო სიმტკიცით. ადგილებზე ამ მხრივ ბევრ გაუგებრობას აქვს ადგილი. სამწუხაროდ, ჩვენ აქ გულახდილად უნდა ვალიაროთ, რომ თუ საბჭოთა ხელისუფლების კანონები, რომლებიც იცავენ ქალს ძვილი ყოფა-ცხოვრების ნაშთების სიმძიმისგან, მთლიანად არ ტარდება ცხოვრებაში, ამაში ჩვენ თვითონ ვართ დანაშაუნი. ჩვენ ხშირად ვმალავთ ყოფა-ცხოვრების იმ სიმახინჯეს, რომელსაც ადგილი აქვს სხვადასხვა კუთხეებში.

კულტურული რევოლუცია უპირველეს ყოვლისა ჩვენს წინაშე აყენებს მოზრდილ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის საკვებით მოსპობის საკითხს.

სტატისტიკური ცნობები ამის შესახებ შემდეგ სურათს გვიხატავს: პირველი ადგილი წერა-კითხვის მცოდნეობის მხრივ მაზრებს შორის უჭირავს: გურიას, სადაც წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი უდრის 50 პროცენტს, წერა-კითხვის მცოდნე ქალების რიცხვი კი—47,6 პროც.; მეორე—რაჭას—48,1 პროც., ქალები—47,5 პროც.; მესამე—თელავის მაზრას—39,4 პროც., ქალები 37,1 პროც., ნაცუმციკრიგსობათა მაზრებში: პირველი ადგილი უჭირავს ახალციხის მაზრას—19,6 პროც., ქალები 7 პროც., მეორე აჭარისტანს—9,2 პროც., ქალები—3,9 პროცენტი.

წერა-კითხვის უცოდინართა დიდ პროცენტს შეადგენს ქალთა მასა. ასე არის უმთავრესად იქ, სადაც ქალები ყოფა-ცხოვრების თავისებურ პირობების გამო არ მიდიან სალიკვიდაციო სკოლებში. საბჭოთა ხელისუფლება იღებს რა მხედველობაში ამას, ავალებს ორგანიზაციას ადგილობრივად ქალთათვის შექმნან ცალკე სალიკვიდაციო სკოლები. სალიკვიდაციო სკოლებში უნდა იქნას ისეთი პირობები, რომ მშრომელ ქალს გაუადვილდეს წერა-კითხვის შესწავლა. მაგრამ ეს ზომები არ არის საკმარისი. თუ მშრომელი ქალი თვით არ იქნება დაინტერესებული გათვითცნობიერებით, მარტო მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებანი სათანადო ნაყოფს ვერ გამოიღებენ.

უდიდესი ყურადღება ექცევა აგრეთვე, საერთოდ, განათლების დარგს, სკოლების რიცხვის ზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას. ქალთა რიცხვი სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებში ძალიან მცირეა. ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მხოლოდ ჭრა-კერვის, ხელსაქმის და ქსოვის სკოლებში.

ქალთა რიცხვი სასწავლებლებში ასეთ სურათს იძლევა. აქ მოყვანილი ცნობები შეეხება 1927—28 სამოსწავლო წელს. ამ წლის განმავლობაში სწავლობდა:

სოცალზრდის სასწავლებლებში:

	სკოლებ. რიცხვი	მოსწავლეები			მათ შორის ქალთა პროცენტი
		მაშაკაც.	ქალები	სულ	
საქართველოში და ავტ. რეს-პუბლიკებში	2.509	168.893	115.486	284.379	40,8
აქედან აკარისტანში	126	7.471	3.786	11.257	33,6

პროფტეხნიკურ სკოლებში:

	სკოლებ. რიცხვი	მოსწავლეთა რაოდენობა			მათ შორის ქალთა პროცენტი
		მაშაკაც.	ქალები	სულ	
საქართველოში და ავტ. რეს-პუბლიკებში	188	8.062	9.341	7.403	52,5
აქედან აკარისტანში	17	145	383	1.028	37,3

1926—27 სამოსწავლო წელში გლეხურ ახალგაზრდობის 61 სკოლაში სწავლობდა 2.964 მოწაფე, მათ შორის ქალები იყო 888, ე. ი. 35,5 პროცენტი. ამავე წელს სხვადასხვა კურსებზე, რომელთა რიცხვიც უდრის 27-ს, სწავლობდა 3.574 მოწაფე, მათ შორის ქალები იყო 1.772, ე. ი. 49,6 პროცენტი.

სახელაწიფო უნივერსიტეტში მოსწავლეთა რიცხვი უდრიდა 5.363, მათ შორის ქალები იყო 1.219, ე. ი. 22,7 პროცენტი.

ლენინის სახელობის პოლიტეხნიკუმში სწავლობდა 2.126 კაცი, მათ შორის ქალები იყო 365, ე. ი. 17 პროცენტი. სახ. კონსერვატორიაში იყო 307 მოსწავლე, მათ შორის ქალები—153, ე. ი. 50,4 პროცენტი.

სახ. სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა 191 კაცი, მათ შორის ქალები 67, ე. ი. 39 პროცენტი.

პროფსკოლებში ირი ხებოდა 45.558 კაცი, მათ შორის ქალი 9.987, ე. ი. 21,9 პროცენტი.

სულ 1926/27 წელში ყველა სასწავლებლებში ირიცებოდა 334.332 კაცი, მათ შორის ქალები იყო 112.725, ე. ი. 33,7 პროცენტი

ი. აშხანაგებო, ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ყველა სასწავლებლებში, პირველდაწყებითიდან უმაღლეს სასწავლებლამდე, ქალთა რიცხვი საკმაო პროცენტს შეადგენს, მაგრამ აქ ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება

იმას, რომ საშუალო სასწავლებლებში ძალიან ნაკლებია აჭარელი და თურქი გოგონების რიცხვი. რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, იქ მათი რიცხვი სულ ცოტაა. ამიტომ ერთხელ კიდევ ისმება საკითხი იმის შესახებ, რომ მანვე ზნე-ჩვეულებას, რომელიც წინ ეღობება აჭარელ და თურქ ქალთა განვითარებას, სასტიკი ომი გამოუცხადოთ.

გ ა ლ ა მ ზ ა ლ ე ბ ა

დიდი წინშენელობა აქვს ქალთა ჩაბმისათვის საზოგადო მუშაობაში მათ შესაფერისად მომზადებას. ამ მიზნით უკანასკნელ წელს გადამზადებულ იქნა სხვადასხვა ცენტრალურ კურსებზე ორასამდე ქალი.

ამას გარდა გახსნილ იქნა კურსები ეროვნულ უმცირესობათათვის აპარისტანში, აფხაზეთში, ოსეთში, ბორჩალოში და ახალციხეში. ამ მოკლე ხანში ასეთივე კურსები კიდევ გაიხსნება ზემოდ ჩამოთვლილ ოლქებსა და მაზრებში. იხსნება აგრეთვე ცენტრალური კურსები, განსაკუთრებით, თურქი ქალებისათვის თბილისში და სხვა.

ამრიგად, ყოველ წლობით იზრდება ქალების კვალიფიკაცია

ს ა მ კ ი თ ხ ვ ე ლ ო ბ ა

არა ნაკლებ საყურადღებოა ქალთა მონაწილეობა სამკითხველოების მუშაობაში. სამკითხველო თავის ირგვლივ იკრებს ყველა ადგილობრივ კულტურულ ძალებს და მათი საშუალებით აწარმოებს მუშაობას. ძაგრამ ქალთა მონაწილეობა ამ კულტურულ ძალთა შორის მეტად სუსტია. ჯერ კიდევ ვერ შეესძლიათ სამკითხველოების მუშაობაში ქალთა აქტივის სათანადოდ ჩაბმა. ძველი ყოფა-ცხოვრების პირობების გამო, ქალები ხშირად არ მიდიან საერთო სამკითხველოში. სადაც ეს ასეა, იქ გლეხ ქალთათვის იხსნება სპეციალური გლეხ-ქალთა კუთხეები. სამკითხველოების რიცხვი საქართველოში უდრის 73-ს, ქალთა კუთხეების კი—37-ს.

როგორც ვიკით, კულტურული მუშაობა მოსახლეობაში სწარმოებს აგრეთვე კლუბების საშუალებით. მუშათა კლუბები, შედარებით, ქალთა საკმაო მასას აერთიანებენ.

ქალთა პროცენტი კლუბის წევრთა შორის 1926 წელში უდრიდა 21-ს, 1928 წელში კი—24-ს; კლუბებთან არსებულ სხვადასხვა წრეებში ჩაბმული იყო 1926 წელში ქალთა 20,1 პროცენტი, 1928 წელში კი—30,7 პროცენტი.

გარდა საერთო კლუბებისა, არსებობს აგრეთვე განსაკუთრებული ქალთა კლუბები. ესენი შექმნილია იქ, სადაც ქალები ჯერ კიდევ ეწევიან კარჩაკეტილ ცხოვრებას და საერთო კლუბებში არ მიდიან. უქთავრესად, ამხანაგებო, ამ კლუბების დანიშნულებას წარმოადგენს—გამოიყვანოს ქა-

ლი კარჩაკეტილ მდგომარეობიდან, ჩაბას ის საერთო საზოგადოებრივ საქმიანობაში. ასეთი კლუბები არსებობს აჭარისტანში—აჭარელ ქალები-სათვის და ერთიკ თბილისში—თურქ ქალთათვის.

ჩვენი ყრილობა იმის თავდებია, რომ არც ერთი აჭარელი და თურქი ქალი არ დარჩება ჩადრში, რომ აჭარელ და თურქ ქალებისათვის სრულიად სათაკილო არ იქნება მონაწილეობის მიღება საერთო საქმიანობაში და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა.

ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი დაწესებულებანი.

საბჭოთა ხელისუფლებამ დღიდან სახელმწიფო სადავის ხელში აღებინა, საჭიროდ სცნო ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ მთელ რიგ დაწესებულებათა შექმნა. ეს დაწესებულებანი მეოჯახე დედა ქალს განტვირთავს შინაურ შრომიდან და საშუალებას მისცემს მას მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში. ასეთი დაწესებულებებია, როგორც იცით, საბავშვო ბაღები, საბავშვო სახლები, დედათა და ბავშთა დაცვის საკონსულტაციო ბუროები და საბავშვო ბაგები. ამ დაწესებულებათა რიცხვი საქართველოში ასეთია: ბავშთა ბაღები გვაქვს 62, რომლებშიაც ჩაბმულია 2.580 გოგონა, ე. ი. 60 პროცენტი. ბავშთა სახლები და კერები—49, რომლებშიაც ირიცხება 1.179 ბავში, ამათ შორის გოგონები 80 პროცენტს შეადგენენ. დედათა და ბავშთა კონსულტაცია გვაქვს მოწყობილი 31 ადგილას. ბავშთა მოედნების რიცხვი უდრის 18-ს და ბავშთა ბაგების რიცხვი 12-ს.

იმ მოთხოვნილებებთან შედარებით, რომელსაც ჩვენი პირობები გვიყენებენ, ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებათა რიცხვი წარმოადგენს ზღვაში წვეთს, მაგრამ მე უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენი ხელისუფლება მეტად ახალი ხელისუფლებაა, ქვეყანა ღარიბია და ამიტომ სახელმწიფოებრივ საშუალებანი შეზღუდულია. არ შეიძლება, რომ მშრომელებმა გულხელი დაიკრიფონ და შეაჩერდნენ მხოლოდ იმას, რასაც ხელისუფლება გაიღებს ქალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. საჭიროა მშრომელთა თვითმოქმედების გაცხოველება, საქმის გაფართოება, გაუმჯობესება ჩვენივე ხელებით, ჩვენივე საშუალებებით.

ქ ა ლ თ ა დ ა წ ი ნ ა უ რ ე ბ ა

პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს ქალთა დაწინაურებას, მათ ჩაბმას სხვადასხვა საზოგადოებრივ სახელმწიფოებრივ სამუშაოში. ამ რვა წლის განმავლობაში ჩვენ შევქმელით მშრო-

მელთა ქალებიდან ისეთი აქტივი მოგვემზადებია, რომელიც დღეს მთელ რიგ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არის. მაგრამ, თუ ჩვენ დღეს გვყავს თითო-ოროლა პარტიკომიტეტის მდივანი, პროკურორი, მოსამართლე ქალები და სხვა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქალთა დაწინაურება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ლენინი, როგორც იცით, ამბობდა, რომ მზარეულ ქალს უნდა შეეძლოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაო. ეს გულისხმობს ქალთა მასების უაღრესად განვითარებას პოლიტიკურად და კულტურულად.

დასკვნა

მე ვათავებ ჩემს მოხსენებას, თქვენ ნათლად ხედავთ, რომ ქალთა გათვითცნობიერებაა წინ ელოდება ძრავალი მანეი ზნი-ჩვეულება, როგორიც არის მცირეწლოვანთა გათხოვება, მრავალცოლიანობა, ქალთა ყიდვა-გაყიდვა, მედრესე, მექთებე, ქალის დამონავეებისა და დამცირების გამოხატველი ჩადრი და სხვა.

ჩვენი ყრილობა არის იმის მაჩვენებელი, რომ ყველა ამ ძველ დახავსებულ ზნი-ჩვეულებას აჭარებმა და თურქ ქალმა უკვე გამოუტყადა სამკედრო სასიცოცხლო ომი, რომ მანაც შესძლოს აქტიური მონაწილეობის მიღება იმ დიდ მუშაობაში, რომელიც ჩვენში სწარმოებს.

ამხანაგებო, ამ ბრძოლაში თქვენ მარტო არა ხართ. გუშინ თქვენ შილიეთ საჩუქრად თბილისის მშრომელ ქალებისაგან წითელი დროშა, რომელიც შეღებოლია ჩვენი შვილების, ძეგობრების, ამხანაგების და დების სისხლით, იმისათვის, რომ მათ გაენთავისუფლებიათ ყველა დაჩაგრული და დამონავებული. თბილისის მუშებმა გამოვიწოდათ ძმური კავშირი სხელი, თბილისის პროლეტარიატი მოგიწოდებთ თქვენ გასწიოთ მათთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული წინ—ახალ გამარჯვებებისაკენ.

თუ ვინმე გაბედავს და წინ გადაგველობება, მას დაუნდობლად გადავლახავთ. ბოლშევიკებმა და საბჭოთა ხელისუფლებამ არ იციან უკან დახვევა ბრძოლაში. მე დარწმუნებული ვარ, ამხანაგებო, რომ ეს წითელი დროშა, რომელიც არის თავისუფლების ემბლემა, იფრიალებს არა მარტო აქ—აჭარელ და თურქ ქალთა განსათავისუფლებლად, არაჟედ იმ ქვეყნებშიაც, სადაც მთელ მშრომელ კაცობრიობასთან ერთად ქალები დამატებით მრავალ ჩაგვრას განიცდიან და შრომის მიძიმე უღელს ატარებენ.

გაუმარჯოს განთავისუფლებულ აჭარელ და თურქ ქალს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას! (მქუხარე ტაში).

თავმჯდომარე: მოხსენებისათვის სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ალ. ფანცხავას.

კველი ყოფა-ცხოვრების ნაშთები და მათთან ბრძოლა

ამხ. ა. ფანცხავას მოხსენება

ქალის დამონახევის წაწმობა

ახანაგებო, შესაძლებელია ზოგიერთს ეგონოს, რომ ქალთა უთანასწორობას და მის დამონახებას მამაკაცის მიერ ადგილი აქვს მხოლოდ საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში, როგორცაა აჭარისტანი, აფხაზეთი, ახალციხე, საქართველოს სხვა მაზრები და ჩვენი მოკავშირე რესპუბლიკები—აზერბეიჯანი, სომხეთი და სხვა. ან შეიძლება ვისმე ეგონოს, რომ სხვა სახელმწიფოებში ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა წასულში და დღეს ქალი იქ სრულიად თავისუფალია. ეს ასე არ არის. ქალის დამონახება თან სდევს კაცობრიობის განვითარების ისტორიას პირველ ოჯახის შექმნის დროიდან. როდესაც პირველყოფილი ადამიანი იმდენად განვითარდა, რომ მან შესძლო ბუნების სიმდიდრის უფრო მეტად გამოყენება, საჭირო შეიქნა ოჯახის მოწყობა, ვინაიდან ნაშრომის დაგროვებას, ერთხელ მის მიერ შექმნილ და გაკეთებულ საგნებსა და იარაღებს შენახვა და მოვლა სჭირდებოდა. ამ დროიდან აღმოცენდა ოჯახის შექმნის საჭიროება. ოჯახმა კი თავის განვითარებისათვის შოითხოვა. უფასო მუშა ხელი და საკუთრების დარაჯი, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებია მამაკაცის მიერ ოჯახში შემოტანილ დოვლათისათვის.

ამგვარად ქალის მონური მდგომარეობა კერძო საკუთრების ნიადაგზე აღმოცენდა.

დროთა განმავლობაში კაცობრობა განვითარდა და გამრავლდა. ოჯახები გაიზარდნენ ტომებათ და შემდეგ სახელმწიფოებად. ტომებსა და სახელმწიფოებს შორის ხდებოდა ქიშპობა და ომიანობა. ამ პერიოდში წარმოიშვა მონობა, ე. ი. ისეთი მოვლენა, როცა ერთი ტომის ხალხი იმორჩილებს მეორე ტომის ხალხს, მოყავს ის ტყვედ და ტყვეებს ხან ხოცავს, ხან მუშა ხელად იყენებს, ან კიდევ სცვლის და ჰყიდის, როგორც საქონელს შეძლებულ პირებზე, რომლებიც მონებს თავის ხალხის ღირბ ელემენტებთან ერთად სრულიად უფასოდ იყენებდნენ მუშა ხელად.

კაცობრიობის განვითარების ამ ხანაში, ქალის მდგომარეობა, როგორც კაცის მიერ დამონახებულისა, უფრო უარესდებოდა, თორემ ვაუჭობდესბა მას არ ემჩნეოდა.

ქალი კაპიტალისტურ ხანაში

ფეოდალურ ხანაში მთელი რიგი სახელმწიფოები იმდენად განვითარდნენ, რომ ადაძიანს არ აკმაყოფილებდა არც რაოდენობით და არც ღირსებით ხელით ნაკეთები საქონელი იარაღები. კაცობრიობამ ჯერ სრულიად მარტივ და შემდეგ უფრო რთული მანქანების საშუალებით დაიწყო მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის მასიურად დამზადება. ამ ხანას ეწოდება კაპიტალისტური ეპოქა, რომელსაც ახასიათებს მრეწველობა-ვაჭრობის განვითარება, შეჯიბრება კარგ და იაფ საქონლის დამზადების ნიადაგზე ბაზრების მოსაპოვებლად.

შეჯიბრებამ წამოაყენა იაფ მუშა ხელის საკითხი. ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეებმა და მათი ინტერესების დასაცავად მოწყობილ სახელმწიფომ მუშა ქალი აქაც მამაკაცთან შედარებით უფრო ცუდ პირობებში ჩააყენა. იყო და არის მთელი ოიგი კაპიტალისტური ქვეყნები, სადაც მუშა-ქალის სამუშაო დღე უფრო ხანგრძლივია, ვიდრე მამაკაცის, ხელფასი კი ნაკლები. ამრიგად, კაპიტალისტი გაცილებით უფრო უსინდისოტეპყრობა ქალს და მას, მამაკაცთან შედარებით, უარეს პირობებში აყენებს.

გარდა ამისა, კაპიტალისტი პოლიტიკურადაც იყენებს დაქირავებულ კაცისა და ქალის მდგომარეობის სხვადასხვაობას. მაგალითად, თუ საკითხი ეხება შრომის პირობების ან ხელფასის ნიადაგზე გაფიცვი, გამოცხადებას, მთლიანი ფრონტი მშრომელებისა ხშირად გარღვიულია, ვინაიდან მუშა-მამაკაცი, თუმცა საშინელ პირობებშია იგი, მაგრამ მხარს არ უჭერს იმ მოთხოვნებებს, რომელსაც მუშა ქალები უყენებენ ქარხნის მეპატრონეებს. ან და პირიქით: მუშა ქალები აო უჭერენ მხარს მუშა მამაკაცების მოთხოვნებებს იმ მოსაზრებით, რომ ვითომდა ისინი (მამაკაცები) ისედაც კარგ პირობებში იმყოფებიან. ასეთ თალღითურ პოლიტიკით მექარხნე უფრო ადვილად ბატონობს მუშათა კლასზე.

ბურჟუაზიული სახელმწიფო კაცის და ქალის უთანასწორობაში მხარს უჭერს კაპიტალისტს და მთელი კანონმდებლობა აშენებულია კაპიტალისტის ინტერესების დაცვასთან ერთად კაცისა და ქალის უთანასწორობაზე. ქალს წარმეული აქვს მთელი რიგი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი უფლება-მოვალეობანი, როგორცაა საარჩევნო ხმა, მთელ რიგ-სახელმწიფოებრივ თანამდებობათა დაკავება, სწავლა-განათლების მიღების შეზღუდვა და სხვა.

ამგვარად, აშკარაა, რომ კერძო საკუთრების აღმოცენების ნიადაგზე დაიწყო დამონაგება ქალის, დამონაგება და უსინდისო ყვლეფა მემამულეებისა და მექარხნეების მიერ ღარიბ-ღატაკ მოსახლეობისა და, განსაკუთრებით, ქალისა.

ეს უთანასწორობა და უსამართლობა ნაცვლად იმისა, რომ მის მოსასობად გამოეკებნათ საშუალებანი, მთელ რიგ ფეოდალურ-ბურჟუაზი-

ული მეცნიერების მიერ თავიანთ თხზულებებში, ნაწარმოებებში, რელიგიურ მოძღვრებაში, ლეგენდებში და ზღაპრებში ჩამოყალიბებულია, როგორც თავისთავად წარმოშობილი და სავალდებულო მოვლენა კაცობრიობის არსებობისათვის, ე. ი. ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ და რელიგიურ მოძღვრებამ დაადასტურა და დაამოწმა ფეოდალურ და ბურჟუაზიულ კლასების უფრო ადვილად გასაბატონებლად ის მდგომარეობა, რომელიც შექმნილი იყო ყვლეფისა და კერძო საკუთრების ნიადაგზე ფეოდალების და კაპიტალისტების ინტერესების დასაცავად. მშრომელ ხალხს, ნაცვლად საშუალებების გამონახვისა ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, ეუბნებოდნენ, რომ ის, ვინც აქ გაჭირვებულია, სიამოვნებას ნახავს ვითომდა არსებულ სამოთხეში, რომ მარცხენა ყბაზე თუ შემოგკრან, მარჯვენა უჩვენო, ე. ი. კაპიტალისტს და ფეოდალს არ აუხმედრდო, ჩალი მაცდური და ბინძური არსებობს, ის კაცის გვერდიდან არის გაკეთებული და სხვა.

მართალია, ყვლეფისა და უთანასწორობის ნიადაგზე გამწარებული ხალხი ძალიან ხშირად ახდენდა აჯანყებებს, ადგილი ჰქონდა რევოლიუციონურ მოძრაობას, მაგრამ ბრძოლის საწარმოებლად სწორი გზების გამოუნახველობის, ძირითად მიზეზების გამოურკვევლობის და კლასობრივ ინტერესების შეუგნებლობის გამო; რევოლიუციონური აფეთქებანი, დიდი ბრძოლები, ხშირად მინც კერძო მესაკუთრეებისა და გაბატონებულ კლასების სასარგებლოდ თავდებოდა და ეს უკანასკნელ ათეულ წლებში ხდებოდა იმიტომ, რომ მუშათა კლასს ხელს უშლიან კაპიტალისტებთან ბრძოლაში თავისი მუხანათური პოლიტიკით სოციალისტური პარტიები (მენშევიკები, ესერები, მუშათა პარტია და სხვ.).

ქალის განთავისუფლება მუშათა კლასის გამარჯვების საკითხია

მშრომელთა ყვლეფა და უთანასწორობა არ მოიპოვა მანამ, სანამ ერთი მხრით, საწარმოო იარაღების მქონე, ხოლო, მეორე მხრით, ქირით მომუშავენი არსებობენ; ე. ი. სანამ არსებობს კერძო საკუთრების უფლება და სანამ კაცობრიობა არ გადავა სოციალისტურ წესწყობილებაზე. სოციალისტური წესწყობილება კი ნიშნავს ისეთ წესწყობილებას, როცა მიწა, ფაბრიკა-ქარხნები და მათი პროდუქცია განსაზოგადოებულია, როცა შრომას ეწევა ყველა—ნიჭისა და შესაძლებლობის მიხედვით და ყველა უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის დოვლათით.

ვინაიდან ჩემი მოხსენების თემა ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთებთან ბრძოლა ქალთა განთავისუფლებისათვის; მე სხვა საკითხზე არ შევჩერდები, პირდაპირ გადავალ აღნიშნულ საკითხის გაუქმებაზე.

ქალთა განთავისუფლების საქმეს მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მაშინ, როცა ქალი მასიურად ჩაება საქარხნო წარმოებაში. და ეს იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობაში ჩაბმული ქალი, ამ მეურნეობის თავისებური ხასიათის გამო, იმდენად ჩამორჩენილი იყო, რომ მას უჭირდა ენერგიულად ბრძოლა არსებულ რეჟიმის წინააღმდეგ. ქალმა მაშინ შეიგნო გარკვეულად მონობისაგან თავის დაღწევის აუცილებლობა, როდესაც მან ქალაქში, ქარხნებში დაიწყო მუშაობა, ამოუდგა გვერდში ფიზიკურად და პოლიტიკურად უფრო ძლიერ მუშა მამაკაცს და, როდესაც იგი გაიზარდა კულტურულად და პოლიტიკურად, ქალმა უკეთ შეიგნო თავის ყვლეფის მიზეზები, თავისი კლასობრივი ინტერესები და საშუალებები კაპიტალისტების ბატონობისაგან თავის დასაღწევად.

ქალთა განთავისუფლების აუცილებლობის შესახებ ლენინმა 1917 წელში სთქვა: ქალის უშუალოდ ჩაუბმელად არა თუ საერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ მუდმივ საყოველთაო საზოგადოებრივ მუშაობაშიც ზედმეტია ლაპარაკი არა მარტო სოციალიზმზე, არამედ სრულ და მკვიდრ დემოკრატიაზე.

1919 წელში კი ლენინი ამბობდა: შეუძლებელია ნამდვილი თავისუფლება მანამ, სანამ ქალი არ არის თავისუფალი მამაკაცის სასარგებლოდ დაწესებულ უპირატესობიდან, სანამ არ არის თავისუფლება მუშისათვის კაპიტალის ბატონობისაგან, თავისუფლება მშრომელ გლეხობისათვის კაპიტალისტის, მემამულის და ვაჭრის ბატონობისაგან.

ამრიგად, ლენინი ამბობს, რომ ქალის უშუალოდ ჩაუბმელად საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ზედმეტია ლაპარაკი დემოკრატიაზედაც. ლენინი ამბობს, რომ ქალი არ იქნება თავისუფალი მანამ, სანამ მუშა და გლეხი არ განთავისუფლდება კაპიტალისტის, მემამულის, ვაჭრის ბატონობისაგან, სანამ ქალი თავისუფალი არ არის მამაკაცისათვის დაწესებულ უპირატესობისაგან.

სწორედ ამიტომ, ყველა საბჭოთა რესპუბლიკებისა და მათ შორის საქართველოს და აჭარისტანის კანონმდებლობამ მოსპო ყოველგვარი უთანასწორობა, რომელიც კაცსა და ქალს შორის არსებობდა. თქვენ ისიც იცით, რომ საქართველოს ყველა კუთხეში ადგილი ჰქონდა მემამულეების ბატონობას, ქალაქებში ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეთა და მსხვილ ვაჭრების მბრძანებლობას. ყველა ესენი უსინდისოდ სჩაგრავენენ და ყვლეფდნენ თავიანთ ვაჟიდრებისათვის მუშებსა და გლეხებს და მშრომელ ქალებს. ესლა ეს ასე არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თქვენთაგანი ჯერ კიდევ ჩადრში დადის, თქვენ მაინც იცით, რომ ესლა არ არსებობენ ჩვენში მემამულეები, ვაჭრები და კერძო მექარხნეები, რომელთა ქონებაც სახელმწიფომ თავის საკუთრებათ გამოაცხადა. ეს ქონება ხმარდება ჩვენი რესპუბლიკების მშრომელ მსახურის კეთილდღეობას.

მიუხედავად იმისა, რომ მარქსისა და ლენინის მოძღვრების მიხედვით, ე. ი. კლასთა ბრძოლის წარმოების ნიადაგზე, კომპარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო მშრომელთა სრული განთავისუფლება და ჩვენ მივდივართ სოციალიზმისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით ქალი გათანასწორებულია მამაკაცთან, მოსპობილია კერძო საკუთრება, მდიდრებს არა აქვს საშუალება ყვლიფონ არც კაცი და არც ქალი, მიუხედავად ყოველივე ამისა, როცა ჩვენს სინამდვილეს ჩაუყვირდებით, დაინახავთ, რომ ქალი საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში მაინც არ არის გათანასწორებული კაცთან, კაცი მაინც ბატონობს მასზე.

საჭიროა გამოინახოს ღონისძიებანი ასეთი მდგომარეობის შესაცვლელათ. ამ მიზნით უნდა გადაეხედოთ, თუ როგორია ჩვენი სინამდვილე და რა უწყობს ხელს ქალის დამონებას.

ეაფა—(ქსაფრების საკითხები

აჭარისტანში, ბორჩალოში, ახალციხეში, კახეთში, გურიის ზოგიერთ სოფლებში და სხვაგან ადგილი აქვს საზიზღარ მანე მოვლენებს, რომელთა აღმოფხვრა აუცილებელია ქალთა სრულ და ფაქტიურ გათანასწორებისათვის მამაკაცთან.

მრავალცოლიანობა

მანე მოვლენებიდან პირველად შეეჩერდეთ გათხოვების—(შეუღლების) და მრავალცოლიანობის საკითხზე. არიან ისეთი მამაკაცები, რომლებსაც ყავთ სამი-ოთხი ცოლი. რა ნიადაგზე არის აღმოცენებული მრავალცოლიანობა?

ოჯახს ყოველთვის სჭირდებოდა უფასო მუშა-ხელი. იყო დრო, როდესაც შეიძლებოდა უფასო მუშა ხელის შოვნა. ამისათვის ყიდულობდნენ მონებს. ყველას მონების ყიდვის და შოვნის საშუალება არ ჰქონდა. კერძო მეურნეობის განვითარებისა და ოჯახის გაძაგრება-გაადიდრებისათვის ოჯახში ერთი უფასო მუშა-ხელი (ცოლი) ყოველთვის საკმარისი არ იყო. აქედან ჩისახა მრავალცოლიანობა.

ბევრი მრავალცოლიანობის წარმოშობას რელიგიას ან განსაკუთრებულ კლიმატიურ პირობებს აწერს, მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მრავალცოლიანობა წარმოშობილია უფასო მუშა-ხელის შოვნის, ოჯახში სიმდიდრის დაგროვების, მამაკაცის მიერ ქალის დამონავების საფუძველზე. რელიგიამ კი მხოლოდ დაამოწმა ეს მდგომარეობა ძლიერ და სასარგებლოდ.

ჩვენს პირობებში ეს დაუშვებელი მოვლენაა. წარმოიდგინეთ იმ ქალების მდგომარეობა, რომლებიც სამი ან ოთხია ოჯახში. არ შეიძლება,

რომ ამ უკითხვევაში ქალებს შორის არ იყოს განსხვავება ქპრის დამოკიდებულების მხრივ. ქმარს ერთი ცოლი უფრო მოსწონს, ვიდრე მეორე, რომელიმე მათგანს უფრო ეალერსება, უკეთ აცევეს და სხვა. ამ ნიადაგზე ადგილი აქვს მთელ რიგ დამცირებას, უთანასწორობას, დაცინვას. საბჭოთა კანონი ამბობს, რომ, რადგან ქალი კაცთან თანასწორია, რადგან ქალის თავმოყვარეობა ისეთივეა, როგორც კაცის, ქალის პიროვნებაც ისე უნდა იყოს დაცული, როგორც კაცის. არც ერთ კაცს ნება არა აქვს იყოლიოს ერთ ცოლზე მეტი. ჩვენი მიზანია, რომ მრავალცოლიანობა, როგორც უთანასწორობისა და მონაობის ნიადაგზე აღმოცეაებული სიმბინჯი, საბოლოოდ მოისპოს.

ქალის ყიდვა-გაყიდვა

მეორე სამარცხვინო მოვლენა ჩვენს პირობებში არის ქალის ყიდვა-გაყიდვა. წინათ, ომიანობის დროს, როდესაც სარდალი ომს ძოვებდა, ტყვეებს მონებად ხდიდა და მათ ყიდდა როგორც პირუტყვსა და საქონელს. მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობა განვითარდა, მონობის ნიადაგზე აღმოცეხებული ადამიანის ყიდვა-გაყიდვის ადათი და სამარცხვინო მოვლენა, რომელსაც ესლა ძალიან იშვიათად აქვს ადგილი სადმე, აჭარის ტანში და საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში მაინც არსებობს ქალის მიმართ. ქალს ყიდიან როგორც პირუტყვს. ქალს უყუებენ, როგორც საქონელს.

მშობლები საკუთარ ქალიშვილს ყიდიან. ეს ასე ხდება: კაცი, მაგალითად, ეუბნება ქალიშვილის მშობლებს: მე თქვენ გაძღვეთ ათას მანეთს და მომყიდეთ ქალიშვილი. ეს იმ დროს, როდესაც ქალიშვილს არც კი უნახავს მისი თომავალი საქმრო, შეიძლება არც კი უნდა გათხოვება, მაგთუ მშობლები შუთანხმდნენ საქმროს ფასში, ქალიშვილის სურვილებს ანგარიშს არ უწევენ, ისე როგორც საქონელს, რომელსაც გაყიდვისას არ ეკითხებიან—სურს თუ არა თავის პატრონისაგან წასვლა. ამ სამარცხვინო მოვლენით ქალი გათახასწორებულია პირუტყვის მდგომარეობასთან. ამ უმზგავსოებას ბოლო უნდა მოედოს.

მცირეწლოვანთა შეუღლება

სიმბინჯეა აკვანში ბავ'ვის დანიშვნა და მცირეწლოვანთა შეუღლება. ბავ'ვი ჯერ ერთი წლისაც არ არის, ჯერ არავინ იცის როგორი გაიზრდება და რა სურვილები ექნება აის, მშობლი კი ეუბნება მეზობელს, რომ ჩემი ბავ'ვი, როცა ის სრულწლოვანი იქნება, ცოლად უნდა გაყვეს შენს ვაჟსო, ან და ქმარი უნდა იქნეს შენი ქალისაო. ასეთ შეუთხვევებში ხშირად დედ-მამის განზრახვას შეადგენს რაიმე სარგებლობის თვალსაზ-

რისით დაუნათესავდეს ეკონომიურად უფრო ძლიერს და გავლენიან კაცს. მცირეწლოვანთა დანიშვნას, უმთავრესად, ასეთი ნიადაგი აქვს. მშობლები მცირეწლოვან შვილების მაგიერად ლაპარაკობენ და ითვისებენ იმ უფლებას, რომელიც ეკუთვნის ბავშვებს, როგორც მომავალ მოქალაქეებს.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ასაკში შესვლის შემდეგ ბავშვობაში დანიშნულს არ მოსწონს დედ-მამის მიერ გარიგებული საქმრო ან საცოლო, შეიძლება ეზიზღება კიდევც ის, მაგრამ მშობლების პირობა ძალაში რჩება და ახალგაზრდები ერთმანეთს უკავშირდებიან.

არის შემთხვევები, როდესაც ქალი ან ვაჟი გამბედაობას იჩენს და უარს ამბობს ასეთ იძულებით დანიშვნა-გათხოვებაზე. ამ ნიადაგზე ხშირად ხდება სისხლის აღება. ორივე მხარე ამაში ხელაღს ოჯახის დაწუნებას და შეურაცყოფას. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ რას ნიშნავს სისხლის აღება და რა დიდი მსხვერპლი მოაქვს მას. ხშირია შემთხვევა, როდესაც ოჯახის ბურჯი, ან უდანაშაულო ნათესავი ხდება მსხვერპლი ამ ნიადაგზე აღმოცენებულ შურისძიებისა. მთელი ოჯახი წიოკდება.

არის შემთხვევები, როცა 8—9 წლის გოგონას ნიშნავს 40—50 წლის კაცი. მშობლები ეკვრებიან მამაკაცს პირობით, რომ სამი-ოთხი წლის შემდეგ მათი მცირეწლოვანი ქალი გახდება ამ კაცის ცოლი. ან და არის შემთხვევა, როდესაც 10—11 წლის გოგონას პირდაპირ ატანებენ სახლში მომავალ საქმროს, ვითომდა იმ პირობით, რომ, ქალის ჰასაკში მოსვლამდე, ის თავს შეიკავებს სქესობრივ კავშირიდან, მაგრამ თავის შეკავებას ადგილი არა აქვს და გოგონას აუპატიურებენ. ამ ნიადაგზე ხდება ქალის ნორმალური განვითარების შეფერხება, წამება, ჩავკრა და მონობა. აქაც ქალისადმი მოპყრობა ისეთია, როგორც პირუტყვისადმი, რადგან მის ძომავალ სურვილებს ანგარიშს არ უწყევენ.

ამ ნიადაგზე ოჯახში ხშირად ხდება ჩხუბი, ცრემლის ღვრა და სხვა, ვინაიდან ასაკში მოსულ ქალს, უმეტეს შემთხვევაში არ აკმაყოფილებს მშობლების არჩევანი, და წლოვანებათა განსხვავების ან სხვა მიზეზების გამო ის ვერ ეგუება ქმარს. ზოგიერთი გაბედულები გარბიან ოჯახიდან, ამ შემთხვევაშიაც იწყება სისხლის აღება და სხვა უბედურება.

საბჭოთა კანონმდებლობა ამბობს, რომ გათხოვება და ცოლის შერთვა უნდა ხდებოდეს ნებაყოფლობით. ვაჟი უნდა იყოს არა ნაკლები 18 წლისა და ქალი 16 წლისა.

6 ი ქ ა ლ ი

შემდეგ, არის ეგრედ წოდებული ნიქალი, ე. ი. ვალდებულება, როდესაც მამაკაცმა, თუ ის ცოლს გაუშვებს, უნდა გადაიხადოს გაშვებულ ქალის სასარგებლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული გადასახადი. ეს ხელს უწყობს მდიდრებს, რომლებსაც ამათ საშუალება აქვთ შეერთონ ის

ქალი, რომელიც მათ მოსწონთ. ამ შემთხვევაში დაჩაგრული არიან ღარიბები. არის მაგალითები, როდესაც მშობლები მოითხოვენ, რომ, მათი ქალიშვილის გაშვებისას, ქმარმა გადაიხადოს 2.000, 1.000 ან 500 მანეთი. ვის შეუძლია ამის გადახდა? ამის გადახდა შეუძლია მდიდარს, ვაჭარს, კულაკს. ამის გადახდა არ შეუძლია მუშას და გლეხს, ვინაიდან ამოდენა ფულის გაღებით მათი ოჯახი სრულიად ნადგურდება. ამ რიგად ეს ჩვეულება ქმნის ისეთ მდგომარეობას, როდესაც ღარიბ კაცს ცოლის შერთვის საშუალება ესპობა.

საბჭოთა კანონმდებლობა ამბობს, რომ მამაკაცი იხდის ფულს იმ შემთხვევაში, თუ ქალს მისგან შვილი ყავს და, თუ გაყრისას, შვილი დედასთან დარჩება. თვით ქალს კი, თუ მას შრომის უნარი აქვს, ქმრისგან წასვლისას არავითარი სასყიდელი არ ეძლევა.

ნიქალი უნდა იქნას აღმოფხვრილი, ვინაიდან ის დედაკაცს და მამაკაცს უშლის თავისუფალ შეუღლებას. ნიქალი უნდა იქნეს აღმოფხვრილი, როგორც ჩვეულება, რომელიც ბევრი ფულის პატრონს უპირატესობას ანიჭებს და ხელს უშლის თავისუფალ შეუღლებას; ნიქალის შიშით მამაკაცი ვერ უშვებს ქალს, თუ ეს მას საჭიროდ მიაჩნია. ამიტომ სცემს ცოლს, აშინებს მას და სხვა, რომ ამით აიძულოს ქალი თავისივე სურვილით გაშორდეს ქმარს და ამით აიცილინოს ნიქალის გადახდა.

ქალის მოტაცება

ქალის მოტაცების შემთხვევებიც ხშირია. კაცი იტაცებს ქალს, რომელსაც მომტაცებელი არც კი უნახავს. მაგალითად, კაცმა შეამჩნია გზაზე მიმავალი ქალი, რომელიც მოეწონა. არ ეკითხება ქალს უნდა თუ არა მასთან ცხოვრება, არც კი ეცნობა მას, ხვდება გზაზე, ან მიუხტება სახლში, გაიტაცებს ტყეში და ახდის ნამუსს, ე. ი. ფაქტიურად ქორწინდება მასთან და ამით იძულებულს ხდის ქალს გაყვეს მას ცოლად. და ეს იმიტომ, რომ ჩვენში ასეთი ადათია: გაუთხოვრად მამაკაცთან ნამყოფი ქალი-შვილი, ნამუსახილიც რომ არ იყოს, „გაბაბეულია“ საზოგადოებაში. საბჭოთა ხელისუფლება ებრძვის ამ მახინჯ მოვლენას.

მ შ ი თ ვ ი

არის შემთხვევა, როდესაც ქალი უნდა გაყვეს ამა თუ იმ კაცს, მაგრამ შესაძლებელია თვითონ ან მისი მშობლები ვერ შეუთანხმდნენ კაცს მშობლებზე (ფულზე, ნივთებზე და სხვ.), რომელიც ქალმა უნდა მიიტანოს საქმროს სახლში. ამ ნიადაგზე ხშირად იშლება შეუღლება. ხშირად მშვითვის გულისთვის კაცი ცოლად ირთავს ქალს, რომელიც მას არ მოსწონს, არ უყვარს, შეიძლება ეზარება კიდევ. ასეთი კაცი მშვითვისათვის ყიდის

თავის თავს, ე. ი. თვითონ ხდის თავის თავს საქონლად, რომელსაც ყიდულობენ ფულად. მზვითვის რაოდენობის ნიადაგზე მშობლები შლიან შეუღლებას, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც ვაჟსა და ქალს შეუღლება სურთ, აქ მშობლების მიერ აღგილი აქვს ახალგაზრდათა უფლებების მითვისებას.

მზითვი ხელს უწყობს მთელ რიგ უბედურ ოჯახების შექმნას, სადაც ხშირად ცემა-ტყეპისა და ტირილის მეტს ვერაფერს ნახავთ. მზითვი იგივე ყიდვა-გაყიდვაა, ოღონდ სიტყვა მზითვი სმენისათვის უფრო ნაკლებად საჩოთიროა.

ე ქ ი მ ბ ა უ მ ბ ა

ექიმბაშობას ეწევიან სხვადასხვა საეკეო პირები. შეეჩერდები მოლებისა და ხოჯების ექიმბაშობაზე, რადგან იგი უფრო საყურადღებო მოვლენაა აჭარის და თურქ მოსახლეობას შორის.

მოსახლეობაში გავრცელებულია სხვადასხვაგვარი ავადმყოფობა. სპეციალურ გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ სხვა ავადმყოფობასთან ერთად ჩვენს მოსახლეობაში აღგილი აქვს, როგორც კაცების ისე ქალების ვენერიულად დაავადებას, რომლის ყველაზე საშიშელი სახეა სიფილისი. მოსახლეობაში ასეთი ტრადიციაა, რომ ჩადრდახურულ ქალს არ შეუძლია ეჩვენოს მამაკაცს, თუ გინდ ექიმიც იყვეს იგი, გარდა ქმრისა და ხოჯისა, ე. ი. ქალებს უფლება აქვთ საექიმოდ ეჩვენონ მხოლოდ ხოჯებს და მოლებს და არა ნამდვილ ექიმებს, რომლებიც მეცნიერულად წამლობენ ავადმყოფებს. ქალმა იცის, რომ ქმარს, როგორც უცოდინარს, — ექიმობა არ შეუძლია, ხოჯას კი ის სთვლის მცოდნე ადამიანად, რომელმაც სხვა რაჟებთან ერთად ექიმობაც იცის.

სიფილისი ისეთი სენია, რომელიც ცოცხლად აღბობს ადამიანს, აცილებს ძას ცხვირს, აცვენს კბილებს და ს.ვ. ასეთი სენით შეპყრობილს მაინც არ უნდა ეჩვენოს ნამდვილ ექიმს. იგი მიდის ხოჯასთან. ხოჯას აქვს დაწერილი ქალაღდის ფურცელი არაბული ასოებით (ნუსხა). ამ ფურცელს ავადმყოფს ხან გულზე ჩამოკიდებს, ხან შუბლზე მიაკრავს, ხშირად თილისმას ან სიმს აბაჟს კისერზე. ავლებს ბალანების და აგურის ნარეცხ წყალს, ახტუნებს გახურებულ რკინის რგოლში, ულოცავს და სხვა. ჩვენ გვაქვს შემთხვევები, მაგალითად ხულოს მაზრაში, როდესაც ხოჯის ან მოლის წაძლობით ადამიანი იხრწნება, ლეება, კვდება კიდევ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხოჯა მაინც განაგრძობს წაძლობას და ადამიანი ვერ ხვდება, რომ ამ უბედურ სენისაგან და სხვა ავადმყოფობისაგან ხოჯას წამლებს არ შეუძლია მისი დახსნა. ასეთ „წამლობას“ აწარმოებენ მოლები და ხოჯები.

ასევე იქცევიან სხვა ექიმბაშებიც, რომლებიც მოსახლეობას აჯერებენ, რომ შელოცვით და თილისმით შეიძლება ადამიანის მორჩენა. საგულისხმოა ერთი რამ: როდესაც მოლა და ხოჯა ხდება ავად, ისინი სამკურნალოდ სხვა ხოჯებს არ მიმართავენ, არამედ სარგებლობენ ექიმებით და აფთიაქებით, მიდიან სამკურნალო წყლებზე, წყალტუბოში და ბორჯომში, საპაეროდ აბასთუმანში და სხვაგან. ამრიგად, როდესაც ხოჯა ხდება ავად, იგი მიმართავს ექიმს, ხოლო, როცა სხვა არის ავად, ხოჯა ამტკიცებს, რომ ღმერთი იწყენს ექიმთან წამლობასო. თავიანთი ჯიბის საჩუქრებითა და სასყიდლით გასასქელებლად ხოჯები და მოლები ავადმყოფებს ხოცავენ. საბჭოთა კანონმდებლობა სდევნის და კრძალავს ექიმბაშობას საჭიროა მოსახლეობამ შეიგნოს ექიმების და აფთიაქების საშუალებით მკურნალობის სარგებლობა და ხელი შეუწყოს მთავრობას ექიმბაშობის მოსპობაში.

დღეობები და დღესასწაულები

სამარცხვინო მოვლენა არის აგრეთვე სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულების გამართვა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი დღესასწაულები არის საქართველოს ყველა კუთხეში, მაგრამ, რადგან დღევანდელი ყრილობა აპარელ და თურქ ქალთა ყრილობაა, მე შევიჩრდები იმ მაგალითებზე, რომელიც შეეხება აპარისტანის და თურქულ კუთხეებს.

ბორჩალოს ჩაზრაში მორწმუნეთა შორის არის ასეთი ჩვეულება. იქ ერთერთ წმინდანის პატივსაცემად ყოველწლიურად იმართება დღესასწაული. ამ დღესასწაულზე აუარება ხალხი იყრის თავს. ცეკვა-თამაში გრძელდება საშინელ მოქანცვამდე. თამაშობის გათავების შემდეგ დარბაზს აბნელებენ და დამსწრეთა შორის იწყება საერთო სქესობრივი დაკავშირება, რაც ავრცელებს ყოველგვარ სნეულებას და იწვევს სისხლის არევას, ვინაიდან ბნელში ერთმანეთს ვერ არჩევენ და ზშირად ნათესავი ნათესავთან იჭერს კავშირს.

აღის აგრეთვე ძველი რელიგიური დღესასწაული შახსეი-ვახსეი. ამ დღეს მორწმუნენი თავებს ისერავენ და იჩეხენ... ამ დღესასწაულში მონაწილენი ხშირად სამუდამოდ ისახიჩრებენ თავს და სისხლის დაკარგვით იმოკლებენ სიცოცხლეს. ხშირად კვდებიან კიდევ მიღებულ ჭრილობებისაგან. ბევრი ისეთი სახის სისაძაგლე არსებობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რომელიც აღმოცენებულია უკულტურობასა და რელიგიურ რწმენაზე. საბჭოთა კანონმდებლობა ამ სიზახინჯეს სასტიკად ებრძვის. იგი დაინტერესებულია მთელი მოსახლეობის ფიზიკურ ჯანმრთელობით და არავის მისცემს ნებას უგუნურ მოსაზრების გამო მოსახლეობა გარყენას და დაასნეულოს.

კულტურული რეკოლიუცია და ქალთა განთავისუფლება

ჩ ა ლ რ ი

დრო რომ საშუალებას გვაძლევდეს, შეიძლება, შევჩერებულიყავით მთელ რიგ საძაგელ და მახინჯ მოვლენებზე, რომლებიც აღმოცენებულია მოსახლეობის უკულტურობის ნიადაგზე, მაჰმადიანობის, ქრისტიანობის და სხვა რელიგიურ რწმენის ნიადაგზე... მაგრამ ჯერ-ჯერობით საკმარისად მივიჩნობთ ქორწინების, ექიმაზობის და სხვა რელიგიურ დღესასწაულის საკითხები და შევჩერდეთ იმაზე, თუ რა გზით შეიძლება გამოსვლა ამ მდგომარეობიდან იმისათვის, რომ ხალხი გამოვიდეს ბნელეთიდან და გადაეჩვიოს ველურ და მონური დროის ადათებს, საჭიროა მოსახლეობის კულტურულ-პოლიტიკურ ღონის აწევა და წერა-კითხვის ცოდნის შეტანა ხალხში. ყველაფერი ეს შეეხება ორივე სქესის მოსახლეობას. დღევანდელ პირობებში კი ეს თითქმის შეუძლებელი ხდება აპარელ და თურქ ქალთა მიმართ. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ამ შეუძლებლობისა არის ჩადრი.

ჩადრი დაახურეს ქალს, რათა არ ენახა იგი მამაკაცს და არ გამხდარიყო ცდუნების საგნათ. მაგრამ ეს იყო ძველად, წარსულში. აპარელ და თურქ ქალს ამ წარსულ დროს სამარცხვინო ხაზითდან თავი ვერ დაულწევია. იგი დღესაც ჩადრით დადის.

ჩვენ ვამბობთ, რომ სანამ აპარელი, თურქ და სხვა ეროვნების ქალი ჩადრდახურულია, სანამ მათ საშუალება არ აქვს თავიანთ თვალთ შეხედონ ცხოვრებას, გამოვიდნენ საზოგადოებაში, დაესწრონ საერთო კრებებს, იარონ კინო-თეატრში, მონაწილეობა მიიღონ საბჭოების, კოოპერაციის და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში, შეხედონ მას, რაც საბჭოთა რესპუბლიკების ძუშათა კლასმა ძოიპოვა, სანამ ეს ასეა—ქალთა ამ მასებს საშუალება არ ექნება თავი დააღწიონ იმ უბედურებას, რომელიც ძველ ადათებზე, კერძო საკუთრების პრინციპზე და რელიგიურ ნიადაგზე არის აღმოცენებული. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: ვინაიდან ჩადრი არის ქალთა დაჩაგვრისა და დამონაგების გამოხატულება, ქალმა უნდა შეგნოს ჩადრის ახლის აუცილებლობა, რათა ის გახდეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის გამოსადეგი დედა. ჩვენ ვამბობთ: ძირს ჩადრი, ის უნდა მოვიშოროთ, ქალმა ახილული თვალთ უნდა შეხედოს ცხოვრებას, უნდა მიიღოს მონაწილეობა ჩვენს მუშაობაში და აღმშენებლობაში და ხელი შეუწყოს ქალთა მასების წინ წაწევას.

მ ე ლ რ ე ს ე

მეორე ხელისშემშლელი მომენტი კულტურული რეკოლიუციის განვითარებაში არის ეგრედ წოდებული მედრესე-მექთებე, მუსულმანური სასუ-

ლიერო სკოლა: ჩვენ გვინტერესებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის საიმედოდ და სოციალისტურ აღმშენებლობისათვის გამოსადეგ მუშაკის მომზადება. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ბავში უნდა სწავლობდეს სკოლაში, ჩვენ ვგულისხმობთ საბჭოთა სკოლას. გლახობას ნაწილობრივ შეგნებული აქვს ბავშვის სწავლის საჭიროება, ოღონდ, საუბედუროთ, ბევრ მათგანს ჰგონია, რომ, თუ მან შვილი მიაბარა მედრესში, სადაც მასწავლებლობს ხოჯა და მოლა, მისი შვილი სწავლისა და განათლების ნიადაგზე არის შემდგარი. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა ხდება ამ მედრესე-მექთებებში, და რას ასწავლის ხოჯა:

6—7 წლის ბავშს აბარებენ მედრესში 5—6 წლის ვადით. აქ მას მოუტანებენ ყურანს და სხვა სალოცავ წიგნებს, რომლებიც დაწერილია არაბული ასოებით და რომელთა წაკითხვა-შესწავლა ძალიან განათლებულ ხალხსაც ეძნელება. მით უმეტეს ძნელია ეს ბავშებისათვის. ბავშებს ამ ნიადაგზე გონება უჩლუნგდებათ და ესპობათ სასარგებლო ცოდნის მიღების საშუალება სხვა სკოლებშიაც. ხშირად მედრესეს მასწავლებელი არის უგნური მოლა ან ხოჯა, რომელმაც თვითონაც არ იცის ის, რაც არაბულ წიგნშია დაწერილი.

ამავარად მედრესე არის ისეთი დაწესებულება, სადაც უგნურ, კულტურულად ჩამორჩენილ ხოჯებსა და მოლებს ზოუყრიათ თავი და წერაკითხვას ასწავლიან ბავშებს არაბულ ასოებით, ასწავლიან ბავშებს ი ენაზე, რომელიც თვითონაც არ გაეგებათ, უჩლუნგებენ მათ გონებას რამოდენიმე წლის განმავლობაში და უსპობენ საჭირო ცოდნის მიღების საშუალებას სხვა სასწავლებლებშიაც. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს შემდეგი: მე პირადათ არა ერთხელ გამიგონია, რომ აჭარელი ახალგაზრდობა გონებრივად მოდუნებულია. თუ შეხვალთ ბათუმის ტენიკუმში და ნახავთ ბავშებს, რომლებიც მედრესებში სწავლით არ არიან დაჩლუნგებულნი, დარწმუნდებით, რომ ისინი ყველაფერში საკმარის ნიჭს იჩენენ. თუ ავიღებთ აჭარელ ახალგაზრდობას სოფლად, რომელსაც მედრესში 3—5 წელი უსწავლია, ეს ახალგაზრდობა უნიჭოს შთაბეჭდილებას სტოვებს. ბუნებით ეს ხალხი ნიჭიერია, მაგრამ სასულიერო სკოლა ჰკლავს აჭარელ ახალგაზრდობაში ყოველგვარ ძვირფასს. ბავშების დასახსნელად გამოთავყვანებისაგან, კულტურულ და საქმის მკოდნე საბჭოთა მოქალაქეების მოსამზადებლად ჩვენ აჭარისტანში ფაქტიურად დავკეტეთ ყველა მედრესე-მექთებები, ავკრძალეთ კანონით მათი არსებობა, და, ნაცვლად ამისა, შემოვიღეთ საყოველთაო სავალდებულო სწავლება, როგორც ვაჟებისა, ისე გოგონებისათვის. ამის გატარება მშობლებისათვის სავალდებულოა.

ხოჯა-მოლების გარეყვნილება.

ყოველი მშრომელი მოქალაქე ვალდებულია ხელი შეუწყოს საბჭოთა ხელისუფლებას ბავშების ასეთი წესით აღზრდისა და ნოსახლეობის მოლა-

ხოჯების ექიმბაშობიდან, მაენე გავლენიდან განთავისუფლების საქმეში, ყველა იმის შემდეგ, რაც აქ იყო აღნიშნული, აშკარად უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლება მოლესა და ხოჯებს ვერ მისცემს ბავშვების აღზრდის უფლებას. შეიძლება ვინაჲ გვემდურის მედრესების დახურვისათვის. ჩვენ ვაცხადებთ, რომ მედრესე გარდა იმისა, რომ აჩლუნგებდა ბავშვის გონებას, იყო გარყვნილების ბუდე, ვინაიდან ზნეობრივად დაცემული და გათახსირებული მოლა-ხოჯები ბავშვებს ფიზიკურად რყვნიდნენ.

თქვენ, ალბად ჩემზე უფრო ხშირად გინახავთ, შეიძლება გაზეთებშიაც წაგიკითხავთ, რომ ბევრი ხოჯა ცხოვრობდა 6—7—8 წლის გოგონებთან, რომლებიც მათ ყავთ მიბარებული სასწავლად მედრესში, ცხოვრობდა ისე, როგორც ჰასაკში შესულ ქალებთან. ხოჯები რყვნიდნენ ბავშვებს. კიდევ უარესი: არის შემთხვევები, როდესაც ხოჯები მედრესში მოსიარულე მცირეწლოვან ვაჟებთანაც იჭერენ არაბუნებრივ კავშირს. არერთი მასწავლებელი ხოჯა და მოლა შეუსწრიათ პირუტყვზე სქესობრივ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ძალიან ხშირად ეს მოლენი და ხოჯები, რომლებიც ყოველგვარ ავადმყოფობის წამლობას იჩემებენ და ქალებს ეუბნებიან, რომ ქმრისა და ჩემს მეტმა არაგინ განაწოსო, ოჯახებში სიარულს იწყებენ ქალებთან სქესობრივი კავშირის დასაკავებლად და გარყვნილების შეტანით არიგ-დარეგას იწყებენ ოჯახში. ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთ პირებს, ე.-ი. მოლებს და ხოჯებს ბავშვთა აღზრდის საქმეს ვერ მივანდობთ. ბავშვთა აღზრდა უშუალოდ სახელმწიფოს უფლებას შეადგენს და მშობლების უგუნურების გაპო და მოლა-ხოჯების ინტერესებისათვის ბავშვთა გარყვნის ხებას ვერავის მივცემთ.

მოსახლეობას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ 5—8 წლის განმავლობაში საბჭოთა სკოლა გაზრდის მათ შვილებს და დაუბრუნებს მშობლებს ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობის, ელსადგურების, ხიდების და გზების აღმშენებლობის მკოდხევათ და, საზოგადოთ, საბჭოთა დაწესებულებებში გამოსადეგ მუშაკებად.

მოლას მიჩნეული აქვს მეჩეთი (ჯამე). ჩვენ ჯამეს არ ვკეტავთ. მოლაჲ და ძორწმუნებმა იარონ ჯამეში მანაჲ, სანამ ჩვენ არ შევსძლებთ ჩვენს საქმიანობით ავტაცია-პროპაგანდით მოსახლეობის დაჯერებას, რომ ჯამე, მოლა და ხოჯა სრულიად ზედმეტი ბარგია, რომ არავითარი ღმერთები და ცოდვა-მადლი, არავითარი ღვთის კანონები არ არსებობს. ჩვენ არ ვკეტავთ ჯამეს მხოლოდ ერთის პირობით, რომ ჯამე მოლამ, ხოჯამ და ძორწმუნებმა არ გადააქციონ ანტი-საბჭოთა პროპაგანდის ბუდე, როგორც ამას ზოგიერთ შემთხვევაში ეხლა აქვს ადგილი. მოლას, ხოჯას და ძორწმუნეს, რომელიც ჯამეს გამოიყენებენ ანტისაბჭოთა მუშაობისათვის და საზოგადოებაში პროვოკაციის გავრცელებისათვის, სასტიკი ჰასუხი მოეთხოვება.

ვინ იცავს ძველ ადათ-ჩვეულებებს.

მე თქვენი ყურადღება მივაქციე ზოგიერთ მანვან ადათებს. მათ აღმოსაფხვრელად ერთ-ერთ აუცილებელ პირობად აღვნიშნე ჩადრის ახლა და მედრისე-მეჭთებეზის დახურვა. ესლა საჭიროდ მიმაჩნია შეეჩრდე იმ საკითხზე, თუ მოსახლეობის რომელი ფენა უფრო მეტად იცავს ძველ დახანსებულ ადათებს და ხელს უწყობს ჩადრის ტარებას, მედრისე-მეჭთებების არსებობას.

სოფლის მდიდარი მცხოვრები ხშირად აღებ-მიცემობის ნიადაგზე მჭიდროდ უკავშირდება ქალაქს. მართალია ის ქალაქში არ ცხოვრობს, მაგრამ ხშირად დადის იქ სხვადასხვა საქმეებისათვის, და ბავშვებსაც აბარებს ქალაქის სასწავლებლებლებში. ის გარკომება, რომ მდიდარი მეტკავშირის იჭერს ქალაქთან და ბავშვებსაც ქალაქში აძლევს განათლებას, ძალა-უნებურად მოქმედობს ამ ოჯახის და მისი წევრების ყოფა-ცხოვრებაზე. ქალაქში ის ეცნობა კულტურულ ყოფა-ცხოვრებას, ეჩვევა ავადმჯირფის იქითან წამლობის აუცილებლობას, ახალ საზოგადოებრივ ცხოვრებას და სხვ. ყველა ამით ის ითვისებს იმ ზნე-ჩვეულებებს, რომლებიც ახასიათებს თანამედროვე ადამიანს და უკან სტოვებს ძველ ადათებს და ტრადიციებს. იგივე მდიდარი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ სტოვებს ძველი ცხოვრების ადათებს, ხდის თავის ცოლს ჩადრს, არ აძლევს ბავშვს მედრისეში, არ იჩეხავს თავს რელიგიურ დღესასწაულების დროს, იგივე მდიდარი ხშირად არწმუნებს და აჯერებს ჩამორჩენილ, ღარიბ და საშუალო გლეხობას, რომ ყოველთავე სოფლის ადათები ვითომდა ღვთისაგან არის დაწესებული და მათთვის თავის დანებება არ შეიძლება. ამით ის ხელს უშლის ღარიბ და საშუალო გლეხობის ბნელეთიდან გამოსვლას. რამდენადაც შეუვნებელი რჩება მის გარშემო მყოფი მოსახლეობა, იმდენად უფრო ადვილად ატყუილებს, ყვლევს და იმონებს იგი მას.

ჩვენთვის სრულიად გასაგებია, რომ მთელ რიგ ზოჩებს, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებს, ხოჯა-მოლოები და შეძლებული ელემენტები წინააღმდეგობას უწყვენ, ვინაიდან ისინი თავიანთ გავლენას, მშრომელი ხალხის მოტყუილების და გარყენის საშუალებას კარგავენ. ამიტომ საჭიროა ღარიბი და საშუალო გლეხობა, მათი ცოლები და ოჯახის წევრები უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობის გარშემო და რაც შეიძლება მალე გაინთავისუფლონ თავი ჩადრისა და ძველ ყოფა-ცხოვრების ნაშთებიდან და გარყ ნილებიდან, როჩლებიც მოლებსა და ხოჯებს შეაქვთ მოსახლეობაში და დაეხმარონ საბჭოთა ხელისუფლებას მშრომელი მასების ყოველი ჯურის მტრების გამოსაშკარავებლად და დასასჯელად.

ქალის მონაწილეობა აღმშენებლობაში

აქამდე ჩვენ ვჩერდებოდით იმ მომენტზე, რომლებიც საშუალებას მისცემენ ქალს თავი გაინთავისუფლოს მამაკაცის უშუალო ბატონობისაგან და მავნე ზნე-ჩვეულების გავლენისაგან. მე მგონია ყველასათვის საინტერესოა ისიც, თუ რა გზით უნდა იმოქმედოს უკვე განთავისუფლებულ აჭარელ და თურქ ქალმა საბჭოთა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აღმშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად და რა ხმარებას გაუწევს ეს ამაში პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

კოლექტიური მუშაობანი

სოფლად ქალი უნდა ეცადოს, რომ კერძო მეურნეობა, მეზობელ მეურნეობებთან შეერთებით, რაც შეიძლება მალე გადაყვანილ იქნას კოლექტიურ ნიადაგზე. კოლექტიური წესით მეურნეობის წარმოება ქალს უფრო მეტ საშუალებას მისცემს კარჩაკეტილობიდან თავი დააღწიოს და მონაწილეობა მიიღოს კოლექტივის გამგეობაში, სარევიზიო კომისიაში. კოლექტივი დაახლოვებს ქალს სხვადასხვა კოოპერატიულ და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაობასთან კრედიტების, სათესლე მასალების და მანქანა-იარაღების შოვნის ნიადაგზე. პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ უწყობს ხელს კოლმეურნეობაში გაერთიანებულ მშრომელთა ეკონომიურ ღონის აწევას.

ქ ა ლ ი წ ა რ მ ო მ ბ ა შ ი

არის შემთხვევა, როდესაც ქალი, ოჯახის სიღარიბის გამო, ზედმეტ მჭამელად ითვლება. ამიტომ ღარიბმა და საშუალო ოჯახის ქალმა უნდა გაბედოს ფაბრიკა-ქარხნებში და სახელოსნოებში გასვლა. ჩვენი პროფკავშირები, შრომის სახალხო კომისარიატი და ყველა სხვა დაწესებულებები აჭარელ და თურქ ქალს განსაკუთრებით შეუწყობენ ხელს, რომ მოაწყონ ის მუშად ან მოსამსახურედ ჩვენს წარმოება-დაწესებულებაში და შეისწავლოს რაიმე ხელობა. წარმოება-დაწესებულებაში ჩაბმით მას საშუალებ მიეცემა მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა, მუშათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების საქმიანობაში.

კ ო ო პ ე რ ა ც ი ა

აქ ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენების გარშემო ზოგიერთ თქვენთაგანმა შემოიტანა შეკითხვები სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ. მოსაწონია, რომ აქ დამსწრე ქალებს კოოპერაციის მუშა-

ობა აინტერესებს, და ამიტომაც შეეჩერდები ამ საკითხზეც. ჩვენში არასებობენ როგორცსამომხმარებლო, ისე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციები. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ქალების რაც შეიძლება მეტი რაოდენობა გახდეს კოოპერატიული ორგანიზაციების წევრი და ამით მათ მიიღონ კოოპერაციის მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეების გაცნობის საშუალება, არჩეული იქნენ გამგეობებსა და სარევიზიო კომისიებში, ე. ი. გახდნენ კოოპერატიული მუშაობის უშუალო მონაწილენი და ხელმძღვანელნი, რომ თვითონვე გაიგონ კოოპერაციის დანაკლისების მიზეზები და გამოასწორონ იგი.

ქალთა უფლების დაცვა

ამ საშუალებების გარდა, არის მთელი რიგი სახელმწიფო და საზოგადოებრივ მუშაობისა, რომელიც ქალს შესაძლებლობას აძლევს გახდეს ჩვენი საზოგადოების და სახელმწიფო საქმიანობის აქტიური მონაწილე. მაგრამ უდროობის გამო, მე ამ საკითხზე არ შეეჩერდები. ალბად სხვა კრებებზე, ან სხვა მოხსენების დროს საშუალება მოგეცემათ გაეცნოთ ამ საკითხს. არ შეეჩერდები არც ქალის მონაწილეობაზე საბჭოებში, ვინაიდან აწის შესახებ ყრილობას მოხსენებას გაუკეთებს ამხ. ი. ვარძიელი. მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ ქალის დახმარება, ყველა იმ ზომების გასატარებლად, რომლებიც მიმართულია ქალის განთავისუფლებისა და ძველი ყოფა-ცხოვრებისაგან თავის დაღწევისაკენ, საჭიროა თვით ქალთა მისების აქტიური დახმარება. ქალებმა ყურადღება უნდა მიაქციონ რევოლიუციონურ კანონმდებლობის ცხოვრებაში გატარებას. ჩვენი კანონები კრძალავს იმ სიმახინჯეებს, რომლებზედაც მე გელაპარაკეთ. რევოლიუციონურ კანონმდებლობის დამცველი და გამტარებელი უმთავრესად არის იუსტიციის სახალხო კომისარიატი და მისი ორგანოები—სასამართლოები და პროკურორები. ამ კომისარიატმა მთელი თავისი აპარატი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა იმ პირების სასტიკად დასჯას, რომლებიც ჩვენს კანონებს არღვევენ, როგორც საერთოთ, ისე ქალთა განთავისუფლების საქმეში.

შემჩნეული იყო, რომ ჩვენი სასამართლოს ორგანოები საჭირო სისასტიკეს და სიმტკიცეს ამ საქმეში ვერ იჩენდნენ. ჩვენ ამ გარემოებას ყურადღება მივაქციეთ. ეს მდგომარეობა შედარებით გამოსწორებულია. მაგრამ ადგილებზე სასამართლოების და იუსტიციის კომისარიატის წარმატებით მუშაობისათვის საჭიროა, რომ ქალებმა წარ დამალონ არც ერთი შემთხვევა, მამაკაცის მიერ ქალის გალახვის, მრავალკოლიანობის, ქალის მოტაცების, მცირეწლოვანთა გათხოვების, ქალის ყიდვა-გაყიდვის, ექიმბაზობის, მოლა-ხოჯების და კულაკების აგრესაციის და სხვა ამის მზგავსი შემთხვევები. ასეთი უზგავსოებანი თამამად და თავის დროზე უნდა აღ-

ნობონ აღმასკომებს, მილიციას, თვით სასამართლოებს და პროკურორებს, რომ რევოლუციონურ კანონმდებლობის გამტარებლებს საშუალება მიეცეთ უფრო ძეგად დაიცენ თქვენი ინტერესები.

ჩემ მიერ მითითებული სხვადასხვა საშუალებები არის ის ძირითადი გზები, რომლებიც ხელს უწყობენ ქალის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, კულტურულ-პოლიტიკურ დონის აწევას, ქალის ინტერესების დაცვას, განთავისუფლებას მკაცრის და ძველი ყოფა-ცხოვრების ბატონობისაგან, ქალის ჩაბმას საბჭოთა ყოველდღიურ სახელმწიფო და საზოგადოებრივ მუშაობაში სოციალისტურ აღმშენებლობის უფრო ჩქარი ტემპით საწარმოებლად.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას.

გაუმარჯოს სოციალისტურ აღმშენებლობას!

გაუმარჯოს კულტურულ რევოლუციას და საყოველთაო სავალდებულო სწავლას.

ძირს ჩადრი!

ძირს მედრესე-მეჭეთებე და ექიმბაშობა!

გაუმარჯოს ქალთა განთავისუფლებას და სრულიად საქართველოში აჭარელ და თურქ ქალთა პირველ ყრილობას! (ხანგრძლივი ტაში).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: ამხანაგებო, ეხლა გადათარგმნიან მოხსენებებს თურქულად (მოხსენებები ითარგმნება თურქულად).

ქრილობის მის ლმეხანი

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: ამხანაგებო, შემოსული არის წინადადება, რომ ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნოს შემდეგ ორგანოებს: კომინტერნის ქალთა საერთაშორისო სამდივნოს, აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას, შუა აზიის პარტიულ საოლქო კომიტეტს, ა.-კავკ. პარტიულ საოლქო კომიტეტს, საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას, საქართველოს ცეკას, აჭარისტანის საოლქო კომიტეტს და აჭარისტანის ცეკს. ვინ არის მომხრე, რომ მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნოს ჩამოთვლილ ორგანოებს (მისასალმებელ დეპეშების ტექსტი იხილეთ წიგნის ბოლოში).

ამხანაგებო, სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა პირველი ყრილობის მესამე სხდომას დახურულად ვაცხადებ.

სხდომა იხურება საღამოს რვა საათზე.

მეოთხე სკოლა

თავმჯდომარეობის აქტ. ბოლქვაძე

(აჭარელი ქალი)

კამათი ამხ. ვ. ჯაფარიძის და ა. ფანცხავას მოხსენებათა გარშემო

თავმჯდომარე: ამხანაგებო, მეოთხე სკოლას გახსნილად ვაცხადებ (ტაში).

იწყება კამათი ამხ. ვ. ჯაფარიძის და ა. ფანცხავას მოხსენებათა გარშემო. სიტყვა ეკუთვნის ამხ. ანანიძეს.

ამხ. ანანიძე

(აჭარელი ქალი)

ამხანაგებო, აჭარელ და თურქ ქალებო, გაუმარჯოს საბჭოთა ხელია სუფლებას და კომუნისტურ პარტიას, რომლებმაც ჩვენ გაგვანთავისუფლა. გლოცავენ ჩადრის ახსნას. გაუმარჯოს მუშათა კლასს და ოქტომბრის რევოლუციას, რომელმაც გაგვანთავისუფლა ჩადრისაგან... ძირს ჩადრი, ძირს მედრესე. (ტაში).

ამხ. ხოზრევანიძე

ამხანაგებო, მე შინა შევებო მხოლოდ რამოდენიმე საკითხს, რომ არ დავალლო თქვენი ყურადღება. აგერ 6—7 თვეა, რაც დაიწყო აჭარის-ტანში მოძრაობა ჩადრის წინააღმდეგ. ლოზუნგი ჩადრის წინააღმდეგ გადამოსროლილ იქნა 1928 წელში. უნდა ვთქვა, რომ ჩვენ შევავიანეთ. ეს უნდა მომხდარიყო 1924—25 წელში და დღეს თითქმის არც ერთი აჭარელი ქალი, აჭარელი დედა ჩადრში არ იქნებოდა.

დღეს იწყება ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა. ეს მოძრაობა დაიწყო ხულოს მაზრაში. აქ 160 აჭარელ ქალმა დემონსტრაციულად გადაყარა ჩადრები. აი ამ დღიდან ეყრება საფუძველი იმ დიდ მუშაობას, რომელიც დღეს ღებულობს მასიურ ზასიათს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვაჭარმოვებთ დაუღალავ მუშაობას, რათა ყველა აჭარელ ქალს აეხადო ჩადრი. ხულოს მაზრაში საკითხი დაუკავშირეთ საბჭოთა არჩევნებს. არჩევნების დაწყების ერთი კვირის შემდეგ ხულოს მაზრის ქალებმა მდინარე სხალთის წყალში გადაყარეს ჩადრები. ყველა სოფლებიდან შემოდიოდა განცხადება, რომ ჩადრის მოხდა საზეიმოდ მოწყობილიყო. საამისო ნადაგი ენლა უკვე მზადაა.

აჭარელ დედამ, აჭარელ მშრომელ ქალმა შეიტყო, რომ ჩადრი არის ზონობის ნაშთი. აჭარელ ქალს სჭირდება განთავისუფლება ამ ზონობისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არის თითო ოროლა ჯიუტი ელემენტი, რომელსაც არ უნდა მოიხსნას ჩადრი. მათ ეშინიათ ქმრების, ნათესავების და სხვა ბნელი პირების. ამისათვის სჭიროა სათანადო დეკრეტის გამოშვება. ყველა, ვინც ხელს უშლის აჭარელ ქალის განთავისუფლებას, სასტიკად უნდა დაისაჯოს. საქართველოს და აჭარისტანის სხვადასხვა კუთხის ქალებმა თქვენ გამოგაგზავნათ დელეგატებათ და პირდაპირ, მოუბრუნებლად უნდა ილაპარაკოთ ის, რაც დაგავალათ ხალხმა (ტაში). ამ დეკრეტის გამოცემა საშუალებას მოგვცემს ავლაგმოთ ისეთი ელემენტები, რომლებიც წინ ელობებიან ჩადრის ახლას და ძველი ადათების გამაგრებას უწყობენ ხელს.

აჭარელმა ქალმა იცის, რომ სხვა კუთხის ქალები, ჩაბმული არიან საბჭოთა აღმშენებლობის მუშაობაში. ავიღოთ საქართველო, აზერბეიჯანი, სომხეთი. იქ შეხედებით სასამართლოს თავმჯდომარე ქალს, იქ არის ქალი განათლების კომისარი, ქალი აღმასკომის თავმჯდომარე და სხვა. აჭარელ ქალს კი არ შეუძლია იყოს მოსამართლე ან აღმასკომის თავმჯდომარე. რადგან ჩადრი და ხოჯა-მოლოები წინ ელობებიან მას. ეს შეიგნო აჭარელ ქალმა და დღეს უნდა დაკმოს მან ყველაფერი მისი შემზღუდავი.

ხულოს მაზრის თემებში 5 თებერვალს გაიმართა მიტინგები და დღეს აქ 170 დელეგატი ქალი გამოგზავნილი. თქვენ ესწრებოდით ამ მიტინგებზე, ხულოს ქალები, რა გითხრათ ხალხმა? იქ იყო ვაშა, ტაში, დემონსტრაციები დროშებით, იქ თქვენ დაგავალეს, რომ მოსთხოვოთ მთავრობას, გააშუშვას დეკრეტი ისეთი პირების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიან ჩადრის ახლას. ასე არ იყო, ხულოს ქალებო? (ტაში).

(ხმები ადგილიდან: ასე იყო, ასე იყო! ვაშა, ურა).

ეს დაგავალა თქვენ ხულოს უღარიბეს გლეხობამ და უნდა ვსთქვათ..
(ხმა ადგილიდან: ძირს ჩადრი: ძირს მედრესე! გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას! ტაში).

ამხანაგებო, მთელი ნაზრის ქალების სურვილია, რომ დაგმობილ იქნეს ჩადრი. იმ დროს, როდესაც ქალებმა ჩადრი ასობით გადაყარეს, გამოდიან ბნელი ელემენტები და პროგოკაციას ეწევიან ჩვენს წინააღმდეგ. ესენი არიან მოღებები, ხოჯები, კულაკები და საზოგადოდ ყველა ანტი-საბჭოთა ელემენტები.

როდესაც აჭარელი ქალი გათვითცნობიერდება, ის უკვე აღარ იქნება ამ შავი ძალების გავლენის ქვეშ.

გაუმარჯოს რევოლუციას, გაგინარჯოთ თქვენც, იყავით მეღვრად აჭარელ და თურქ ქალთა განთავისუფლების საღარაჯოზე (ტაში, სცენაზე ამოდიან ქალები და ყრიან ძირს ჩადრს).

ხულოს მაზრის დელეგატებს ავალბდნენ შუამდგომლობას მთავრობის წინაშე, რომ ჩადრის ახლანდელ შენეშლელ პირობების წინააღმდეგ მიიღოს მან ენერგული ზომები. აჭარელი ქალი დღეს დაადა განვითარების და აყვავების გზას.

წინად გავრცელებული იყო სასულე-ერო სასწავლებლები, მედრესები, როპელნიც გარყვნილების ბუდეს წარმოადგინდნენ. კომუნისტურმა პარტიამ მიაქცია ამას ყურადღება და დახურა ისინი. ყველა უღარიბესი გლეხი ამას დიდი კმაყოფილებით შეხვდა. (ხმა ადგილიდან: ძირს მედრესები!). მას შემდეგ, რაც მედრესები დაიხურა, არ გასულა ათი დღეც კი და დიფყო ანტისაბჭოთა ელემენტების ჩურჩული, მაგრამ მათ სისინს გასავალი აღარ აქვს. დღეს აჭარელ ხალხს დიდი სურვილი აქვს მიიღოს სწავლა-განათლება საბჭოთა სკოლებში, გახდეს ფერშლები, ექიმები, ინჟინერები, აგრონომები და სხვა. აჭარელი მშრომელები მტკიცედ სდგანან კომპარტიის გვერდით.

უკვე შემოღებულია სავალდებულო სწავლა. აჭარელი ბავშვები ათასობით სწავლობენ საბჭოთა სკოლებში. ჩვენ წინ მივდივართ და უფრო ჩქარა ვივლიდით, 1924 წელში რომ მოგვეხდინა მედრესების ლიკვიდაცია.

ამ ყრილობაზე თუ 400-500 ქალია, როდესაც ისინი დაბრუნდებიან სახლში, ქალთა უფრო მეტ რიცხვს წამოიყვანებენ შემდეგ ყრილობისათვის. მე ვუსურვებ აჭარელ ქალებს, რომ მეღვრად იმუშაონ და მტკიცედ იარონ კომპარტიის მიერ ნაჩვენები გზით.

ძირს ჩადრი! ძირს მედრესე! გაუმარჯოს აჭარელ ქალის თავისუფლებას (ტაში, ადგილიდან: ვაშა!).

ამხ. ბერიძე

ამხანაგებო, ჩვენ ვხედავთ რა მდგომარეობა გვაქვს დღეს აქ ჩვენ ვხედავთ რა შედეგი გამოიღო ამ მოკლე ხნის მუშაობამ. ჩვენ წინად გვეუბნე-

ბოდნენ შემამულეები და ხოჯები, არ შეიძლება ქართველთან და სომეხთან და სხვა ერებთან ყოფნაო. ვითოჲ ეს ცუდ რამეს მოასწავებდა ჩვენთვის. არაფერი ასეთი არ მომხდარა. ჩვენ ღლეს ყველანი ერთად ვართ და გარდა სიამოვნებისა და საერთო აღტაცებისა არაფერს ვგრძნობთ.

რა გააკეთა ჩადრმა და ხოჯებმა? ჩადრი არის სიბნელის ნიშანი. ჩადრი არის დაჩაგრვის ნიშანი. ღლეს განათლების ხანაა. კომუნისტური პარტია ყოველ მხრივ ხელს უწყობს ყველა მშრომელებისა და დაჩაგრულთა განთავისუფლებას. თქვენ დაინახეთ რაწაირად შეიცვალა ამ მოკლე ხნის განმავლობაში ბათომი, რა სწრაფი ნაბიჯით მიდის ის წინ აღორძინების გზით. თქვენ ხედავთ, რომ ეს არის საისტორიო ყრილობა. აქ არის აქარელი ქალები, რომელნიც პირველად გამოდიან საზოგადო ასპარეზზე. აქ თავმოყრილ ქალთა ხელმძღვანელობითვე უნდა გავატაროთ ცხოვრებაში ყველა ის დადგენილება, რომელსაც ჩვენი ყრილობა გამოცნანს.

ნეტაი რა, იტყვიან ის ამხანაგები, რომლებიც ყრილობაზე გამოგზავრების წინ სხვა თვალთა მოგჩერებოდნენ თქვენ? თქვენ უნდა გასწიოთ აგიტაცია და თქვენი დახმარებით უნდა გავანთავისუფლოთ აქარელი და თურქი ქალები. ამხანაგებო, მოგიწოდებთ, რომ სოფელში დაბრუნებისას გააჩაღოთ მუშაობა ჩამორჩენილ ქალთა შორის ჩადრის წინააღმდეგ. ჩადრი უკუგდებულ უნდა იქნეს.

გაუმარჯოს განთავისუფლებულ-აქარელ ქალებს! ძირს ჩადრი! (ტაში). (საერთო რეპლიკები: ძირს ჩადრი! ხანგრძლივი ტაში. დღევანდ ქალებს მოაქვთ ჩადრები და ჰყრიან მათ სცენაზე).

ამხ. ზეკია გოგიტიძე.

ამხანაგებო, მე მიწადა ორიოდ სიტყვით შევეცხო ჩემს წარსულს. აქარელი ქალები დამონებული იყვნენ ხოჯებისაგან იმ დროს, როდესაც სხვა ქალები მამაკაცებთან ერთად მუშაობდნენ. აქარელ ქალებს საშუალება არ ჰქონდათ გამოსულიყვნენ საზოგადოებაში. მაგრამ დადგა დრო, როცა აქარელი ქალებით გავექეილა მთელი დაბაზი, სადაც სდგას ჩადრის უკუგდების საკითხი. საბჭოთა ხელისუფლება ზრუნავს ქალებზე, სურს ისინი სწორუფლებიანი გახადოს, სურს საეხებით გაათანასწოროს მამაკაცთან. ამ დროს ევროპაში ქალები მამაკაცებს სათანაშოთ და თავიანთ ყინის მოსაკლავათ ყავთ. ჩვენში ქალი ჩაბმულია საერთო აღმშენებლობაში და საზოგადოებრივ მუშაობაში.

ამხანაგებო, მე როგორც აქარელი გოგონა ვსწავლობდი რამოდენიმე ხანი მედრესეში და მექთებეში. ჩემი გონება და ტვინი დახშული იყო. ვერაფერს ვსწავლობდი. მახსოვს, როდესაც ხოჯამ მომატანინა თხილის ჯოხი და ხელზე დამარტყა. მე მგონია, რომ ეს ჭრილობა ჯერ კიდევ დიდ ხანს არ განიკურნება. ღლეს მედრესების ნაცვლად გაიხსნა საბჭოთა სკო-



დეღობათების ჯგუფი

ლები, მე უკვე იქ ვსწავლობ. 1926 წლიდან მე ვარ კომკავშირელი, ვმუშაობ შეძლებისდაგვარად.

ძირს ჩადრი, ძირს მედრესის სკოლები! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელმაც მოსპო სრულიად მედრესეები და მექთებები. (მხურვალე ტაში).

ამხ. კალანდაძე

ამხანაგებო, ჩვენ ვატარებთ საბჭოთა არჩევნებს ქალებთან ერთად. არჩევნების დროს იყო თქმული, რომ ქალები მიჰყავთ ბათომში და უნდა გადასცვალონ რუსის ქალებზეო. (ხმები: მართალია, მართალი, ზოჯები ასე გვაშინებდნენ). თქვენ თვითონ დარწმუნებული ხართ, რომ ამის მსგავსი აქ არაფერი არის. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყოველდღიური ზრუნვა იმაში მდგომარეობს, რომ აჭარელი ქალი განთავისუფლდეს. წინა დღეებში არ გვქონდა საშუალება, რომ აჭარისტანის დედა-ქალაქში—ბათომში თავი მოგვეყარა და საერთო ქირ-ვარამზე გველაპარაკნა. დღეს თქვენ ხედავთ, რომ ეს ფაქტია.

ჩვენ არ გვქონდა საშუალება მოგვესმინა ის მოხსენებები, რომელიც გააკეთა საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხანაგ ფილიპე მახარაძემ და პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ფანცხავამ. ჩადრი ხელს უშლის ქალთა წინსვლას. ჩვენ თავისუფლებისათვის ვიბრძოდით და თქვენი მონაწილეობით მივალწიეთ იმ დიდ გამარჯვებას, რომლის ნაყოფიც არის დღევანდელი ყრილობა. როდესაც დაბრუნდებით თქვენ თქვენს სახლებში, ჩვენი პირადი თხოვნა იქნება თვითუღმა გამოიყვანოთ თავისუფლების გზაზე რამოდენიმე ათეული ქალი მაინც.

აქედან დაბრუნებისას, უნდა ამოუდგეთ გვერდში ერთმანეთს და ხელი-ხელ ჩაკიდებული იაროთ ახალი გამარჯვების გზით თქვენ თვით უნდა გაანთავისუფლოთ თქვენი თავი ჩადრისაგან— (ტაში). თქვენი ზოგიერთი მეზობელი კულაკი, ხოჯა, მოლა, რომლებიც დადიან სოფლებში და სხვადასხვა ჭორებს ავრცელებენ თქვენს წინააღმდეგ, რომელნიც დამამცირებელ ლექსებსაც კი ვითხოვენ, სასტიკად დაისჯებიან.

ვაუბარჯოს კომუნისტურ პარტიას და მის ხელმძღვანელებს (ტაში).

ამხ. ღუმბაძე

ამხანაგებო, დღეს აჭარაში არის პოლიტიკური „ბაირამი“. მრავალი საუკუნოების განმავლობაში მშრომელი აჭარელი ქალები მონობის უღელ ქვეშ იყვნენ. დღევანდელმა ხელისუფლებამ დიდი ყურადღება მიაქცია ამას და განსაკუთრებული დახმარება გაუწია მშრომელ აჭარლებს.

როდესაც ჩვენს მაზრებში ვატარებდით დელეგატების არჩევნებს. ამხანაგი ქალები სასტიკად უარყოფდნენ ჩადრს. ისინი ოლაშქრებდნენ მოლებისა და ხოჯების წინააღმდეგ. ქობულეთის მაზრას უდიდესი მიღწევები აქვს ჩადრის ახდის მხრივ. საბჭოთა ხელისუფლებამ საძირკველი ჩაუყარა ახალ-ყოფა ცხოვრებას. (ორატორის ლაპარაკის დროს აჭარელ ქალებს გამოაქვთ ჩადრები და ძირს აფერთხებენ).

ამხანაგებო, დღეს აქ გამოსულ ამხანაგებმა ილაპარაკეს, რომ მატყუარა ხოჯები, მოლები და ეჭიშბაშები უნდა გაეანადგუროთო. ეს სრული ჭეშმარიტებაა. (ტაში). მე ვფიქრობ, რომ დღეს აჭარელ და თურქ ქალებმა მუშამდგომლობა უნდა აღძრან საქართველოს მთავრობის წინაშე, რათა გამოუშვან სათანადო დეკრეტი ჩადრის წინააღმდეგ. მე ვსთხოვ საქართველოს მთავრობას, რომ მან დაარსოს აჭარის ტანში ქალთა კომიტეტი — (ტაში).

გაუმარჯოს დღევანდელ უდიდეს გარდატეხას, უდიდეს კულტურულ რევოლუციას აჭარის ტანში. ძირს ჩადრი! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და გაგიმარჯოს თქვენც! (ტაში). ხმა ადგილიდან: ამხანაგებო, ქობულეთის დელეგატები ფიცს ვსდებთ, რომ არ იყოს დღეიდან ქობულეთში ჩადრი. ტაში. ვაშა).

ამხ. აცამბა აზიზი

მე მუსტაფა აცამბას შვილი ვარ. მას დიდი შრომა გაუწევია ფუხარა ხალხში. ის არის მედგარი რევოლუციონერი. მან დაარსა სოფ. ანგისაში სკოლა ფუხარა ხალხისათვის.

დღეს, რომ აჭარელ ქალებს არ მოეხადათ ჩადრი, ეს შეცდომა იქნებოდა. გაუმარჯოს იმ დღეს, როდესაც ჩვენმა ფუხარა ხალხმა აიხადა ჩადრი. გაუმარჯოს ქალთა წინსვლას და მათ კულტურულ მუშაობას. (ტაში. გამოდიან აჭარელი ქალები, იხდიან ჩადრს და სტოვებენ სცენაზე)

ამხ. ლატუნია ბერიძე

გაუმარჯოს ახალ მთავრობას! ძირს მედრესე, ძირს ჩადრი! გაუმარჯოს კომპარტიას! (ტაში).

ამხ. ჯულფა ქამადაძე

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს აჭარელ ქალების თავისუფლებას, ძირს ჩადრი, ძირს მედრესე! (ტაში).

ამხ. ლუქია ბოლქვაძე

გაუმარჯოს თავისუფალ აქარელ ქალს! გაუმარჯოს დელეგატ ქალებს. ძირს ჩადრი! (ტაში).

ამხ. გულშაი შანთაძე

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, ძირს ჩადრი, ძირს მედრესე, გაუმარჯოს აქარელ ქალებს! (ტაში).

ამხ. პატკუშე ქათამიძე

ამხანაგებო, გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას, გაუმარჯოს კომუნისტურ მთავრობას, რომელმაც ყველაფერი გაგვაგებინა და ახალი რამ მოგვცა.

ჩვენ მაღლობს უგზავნით ბოლშევიკების პარტიას, რომ ყველაფერი გაგვაგებინა და ჩამოგვაცილა ხოჯებს და მოლებს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას! ძირს ჩადრი! ძირს მედეჯე! (ტაში).

ამხ. სადრეკ გოჯივანიძე

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს რევოლიუციას! ძირს ჩადრი, ძირს მედრესე! (ტაში).

ამხ. სებე შანიძე

ძირს ჩადრი, ძირს მედრესე, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

ამხ. ზაქარაძე

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელმაც გაანთავისუფლა მშრომელი ქალი და განათლება შემოიტანა ჩვენში! (ტაში).

ამხ. აიშა მახარაძე

ამხანაგებო, ძირს მედრესე, ძირს ჩადრი, რომელმაც ჩვენ დაგვაზონავა. მოლები და ხოჯები ხელს უშლიდნენ ჩვენს განთავისუფლებას, ჩვენ ვიყავით მათ ხელში დამონავებული და ეხლა დროა ვიყოთ ჩვენ ისე თავისუფალი, როგორც ქართველი ქალი.

ჩვენ ესლა გავიგეთ, თუ რას ნიშნავს თავისუფლება, ჩვენ ესლა გავიგეთ, თუ როგორ ვიყავით დამონავებული.

ვე რმიხვალ ხოჯასთან, ან მოლასთან ისე, რომ ფული არ მისცე. ჩვენმა მთავრობამ დროზე გამოაცხადა მედრესების დაკეტვა, მოესპო უფლება მოლებსა და ხოჯებს.

რათ გვინდა, რომ ჩვენ ზედმეტი ფული დაეხარჯოთ და მოლებს გაუსქელოთ ჯიბეები? ჩვენ ყველანი თავისუფალნი ვართ.

მე გავიგე, თუ რას ნიშნავს ცხოვრება და თავისუფლება. (ტაში). სულ სამი წელიწადია, რაც მე ვიგრძენი ეს თავისუფლება და ესლა დავდივარ კოოპერატივში, კრებაზე და სხვაგან. (ტაში). წინათ, როდესაც ჩვენ გაჭირვებაგვქონდა, მოლასთან უნდა მივსულიყავით და ის გვეუბნებოდა: არ მოხვიდეთ ცარიელი ხელით, მოიყვანეთ ქათამი, მოიტანეთ ყველი, კვერცხი და სხვაო... მე თქვენ, ამხანაგო ქალებო, მოგიწოდებთ ისარგებლოთ თავისუფლებით, იართე წინ თავისუფალ გზაზე, გვერდი აუხვიეთ მატყუარა ხალხს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც მოგვანიჭა თავისუფლება!

ესლა ადვილად გამოვდივარ ყველგან და აღარ მეშინია შეზობლების, ხოჯების და მოლების დაცინვის (ტაში).

ხოჯები ჩვენ გვეუბნებოდნენ: ფეხი და ხელი დაიფარეთ, სხვებმა არ დაინახონო, მოლებს უნდოდათ, რომ ქალი ჩამორჩენილი ყოფილიყო და უფრო კარგად დაემონებია ის მათ.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას! ძირს მედრესე, ძირს ჩადრო! (ტაში).

ამხ. ზოიძე

ამხანაგებო, მე უნდა შევეხო ჩადროს საკითხს. ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ ჩვენი ხოჯები და მოლები ჩადროს ახდაზე. ხოჯები ძალიან დიდ ავტორიტეტს ეწვეიან ჩადროს სასარგებლოდ. ისინი ამბობენ, რომ ჩადროს ახდა დიდი ცოდვა არის, ქალი არ უნდა დაენახვოს სხვა მამაკაცსო.

აი, ავიღოთ ასეთი მაგალითი, მოლები ამბობენ, თუ ხოჯა მოკვდა, ის მიწაში არ ლეება. ის სწოტხეში მიდის. ეს არ არის მართალი.

ჩვენ ვიცით, რომ ხოჯებმა ძალიან ბევრი ქალები გახრწნეს. ხოჯები ლაპარაკობენ: თუ კაცი მადლს იზამს; სიკეთეს დასთესავს, სამოთხეში მას 70 ათასი ქალი ეყოლებო. ეს ყველაფერი, ამხანაგებო, ტყუილი არის. მოლები ლაპარაკობენ, რომ თუ კაცი სხვა ქალს შეხედავს, ეს დიდი ცოდვა არისო. ეს არ არის მართალი. აი, ავიღოთ ქობულეთის მაგალითი: აქ მედრესეში ქალები სწავლობდნენ და ხოჯებმა რამოდენიმე ქალი გახრწნეს.

განა შეიძლება ამის შემდეგ ხოჯის რაიმე იწამო? ქალმა აუცილებლად უნდა აიხადოს ჩადრი. ჩვენ ხოჯებს ვერ დაუჯერებთ.

თვით აჭარელმა ქალმა უნდა სთქვას: ძირს ჩადრი, ძირს ხოჯები და მოლები! (ტაში, საერთო ხმაურობა: ძირს ჩადრი!).

ამხანაგებო, აჭარელმა ქალებმა უნდა მოსთხოვოთ ბოლშევიკურ მთავრობას, რომ გამოაწმენას საერთო დეკრეტი ჩადრის ახდის შესახებ. (ტაში. ძირს ჩადრი!).

ამხანაგებო, დღევანდელი დღე არის ისტორიული, ეს ყრილობა უნდა ჩაითვალოს აჭარელ ქალებისათვის დღესასწაულად.

ამ ყრილობის შემდეგ მაინც დროა გამოიცეს დეკრეტი ჩადრის წინააღმდეგ.

ძირს ხოჯები და მოლები, რომლებიც არ აძლევენ ხალხს საშუალებას საერთო განვითარებისათვის.

გაუმარჯოს აჭარელ ქალთა პირველ ყრილობას. გაუმარჯოს საერთო ქალთა განთავისუფლებას. (ტაში, საერთო ხმაურობა: ძირს ჩადრი!).

ამხ. მერიემ ოქროპირიძე

ამხანაგებო, მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ აჭარელი ქალები ჩამორჩენილი არიანო. ეს არის გამოწვეული სხვადასხვა მიზეზებით. ჩადრი და მედრესები არ გვაძლევდნენ საშუალებას საერთო საქმიანობაში ჩაბმულიყავით. საბჭოთა ზელისუფლებამ გავგიყავა გზა, გავვისხნა მრავალი სკოლა. ჩვენ, ძველი ქალები, უსწავლელები ვართ. ამხანაგებო, რა თქმა უნდა, მედრესები უნდა შეიცვალოს შრომის სკოლებით. მედრესების მაგიერ უნდა გაიხსნას პროფსკოლები, სანამ ჩამორჩენილი აჭარელი ქალი შეიძენს ცოდნას და დადგება კულტურულ გზაზე.

ამხანაგებო, ჩვენში გავრცელებულია ორცოლიანობა. ამით ქალი დამცირებულია. არ არის დაცული ქალის უფლება. ამას უნდა მოეღოს ბოლო და უნდა მოგვეცეს საშუალება, რომ ჩვენც ვიქნეთ განთავისუფლებული მამაკაცთან ერთად, რომ ჩვენც ჩავებათ საზოგადოებრივ მუშაობაში.

გარდა ამისა, ჩვენში გავრცელებულია სისხლის აღება. ამის შესახებ მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები. ეს ანადგურებს გლეხის ოჯახს.

შემდეგ. ამხანაგებო, მე უნდა შევეხო აზარტულ თამაშობას. გლეხი ამით წადგურდება. ის სესხელობს ფულს, ყიდის აუცილებელ ნივთს, და კარტში აგებს ფულს. აზარტულ სათამაშოების წინააღმდეგ უნდა იყოს მიღებული სასტიკი ზომები. დახურულ უნდა იქნეს ყაფახანები, რომლებიც ხელს გვიშლიან საბჭოთა მუშაობაში.

შემდეგ, ამხანაგებო, ჩვენ კიდევ გვაქვს მანგი ჩვეულება — ესაა მილოცვები ქორწილში. ამგვარი მილოცვები სრულებით საქირო არ არის.

ქორწილი ხშირად გრძელდება სამი დღით. მეზობელს მისალოცათ მიაქვს რაიმე აჩუქარი... გლუხს ხშირად არ აქვს საამისო ფული. ის იღებს ვალს. მე თვითონ მომიხდა ფულის სესხება და საჩუქრის წადება. ეს არ არის საჭირო. მთავრობამ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები ასეთი მავნე ჩვეულების წინააღმდეგ.

პროფესიონალები აუცილებლად უნდა იქნენ გახსნილი. ავიღოთ, მაგალითად, ქობულეთის პროფესკოლა. ჩვენ იქ გვყავდა მასწავლებელი, რომელიც მოგვიხსნეს. ჩვენ შეგვეძლო გამოგვეყენებინა პროფესკოლებში სწავლა დამთავრებული მოწაფეები ასეთივე სკოლისათვის. აუცილებლად უნდა დაიხუროს ყველა მედრესე-მეჭეთებე. არც ერთი აჭარელ ქალს არ უნდა ეხუროს ჩადრი.

გაუმარჯოს აჭარელ ქალთა პირველ ყრილობას!

ძირს ჩადრი, ძირს მრავალცოლიანობა, რომელიც საშუალებას არ აძლევს ქალს, რომ განავითაროს თავისი გონება. არც ერთი აჭარელი ქალი არ უნდა დარჩეს ჩადრში. (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. სალუქვაძე

(მისალმება გურიის მშრომელ ქალებისაგან)

გაუმარჯოს აჭარელ და თურქ ქალთა პირველ ყრილობას, მხურვალე სალაჿი მას გურიის მშრომელ ქალებისაგან.

ამხანაგებო, აჭარელო ქალებო და დებო, დღეს არა მარტო აჭარელ და თურქ ქალების საზეიმო დღეა, არამედ დღეს არის ზეიმი მთელი მშრომელი მოსახლეობისა. დღეს აქ თავმოყრილნი არიან თურქი და აჭარელი ქალები, რომელნიც ძველი წესწყობილების დროს ბორკილებით იყვნენ შებოქილნი. დღეს ვხედავთ პირახდილ, აჭარელ ქალს.

თქვენ კარგად იცით, რომ გურია კულტურულ ქვეყანას წარმოადგენს. მაგრამ იქაც არის ზოგიერთი მიუხედავად ადგილები, ბახმაროს მთები, სადაც ათასამდე თურქი ქალია. ამ მთებზე დღეს თოვლი დევს, რის გამო იქიდან ვერ მოვიდნენ და ვერ მიესალმნენ თქვენს საზეიმო შესანიშნავ დღეს, რომ თქვენთან ერთად გადაეგდოთ სამარცხვინო ჩადრი.

საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო იმ მთებში მასწავლებლის გაგზავნა. დღეს იქ ორმოცამდე ქალი სწავლობს სკოლაში. ეს დიდი მიღწევაა.

მაწ გაუმარჯოს, ამხანაგებო, აჭარელ და თურქ ქალების პირველ ყრილობას! გაუმარჯოს მათ ხელმძღვანელ — კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

ძირს ჩადრი! (ტაში).

თავმჯდომარე: ესლა, ამხანაგებო თქვენ თქვენი მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეთა ხელმძღვანელობით წაბრძანდით თავისუფლების

(ყოფ. აზიზიეს) მოედანზე, სადაც ჩვენს ზეიმში მონაწილეობას მიიღებს ბათუმის მშრომელი მოსახლეობა და წითელი არმია.

სხდომას დასრულად ვაცხადებ. (ტაში).

მიტინგი თავისუფლების მოქალაქე

თავმჯდომარე ამხ. ლ. გამყრელიძე

ამხ. ლ. გამყრელიძე

ამხანაგებო, დღეს აჭარისტანის და მთელი საქართველოს მშრომელი მასები ზეიმობენ უდიდეს გამარჯვებას კულტურულ რევოლუციის ფრონტზე. საბჭოთა ხელისუფლებას აქვს უდიდესი მიღწევები ამ 11 წლის ბრძოლის განმავლობაში. დღეს ჩვენ ვზეიმობთ მორიგ გამარჯვებას. ის კულტურული ჩამორჩენილობა, რომელსაც ადგილი აქვს, განსაკუთრებით, აჭარისტანში, უნდა იქნას აღმოფხვრილი. ეს არის ჩვენი ამოცანა და მისი შესრულება გვიადვილებს იმ მიღწევებით, რომელიც უკვე გვაქვს ჩვენს აღმშენებლობაში.

ძველი გადასრები, ფეოდალური წესები კიდევ არის დარჩენილი ზოგიერთ კუთხეებში. ჩვენ ვაწარმოებთ გაბედულ შეტევას სიბნელის წინააღმდეგ. სირცხვილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-12 წელში კიდევ იყვებს ძველი წესწყობილების ისეთი ნაშთი, როგორცაა ჩადრი.

აჭარელ და თურქ ქალთა პირველი ყრილობა ესალმება წითელ არმიელებს და მუშებს. ის ფაქტი, რომ დღეს აქ თავმოყრილია მუშების, წითელარმიელები, გლეხების და ქალების ფართო მასები, ამტკიცებს, რომ მათ შორის ურყევი სოლიდარობაა. შეერთებულ ძალებით შევძლებთ ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანების გადაწყვეტას. ბურჟუაზიულ წესწყობილების ნაშთების აღმოფხვრით ჩვენ გავწმინდავთ ნიადაგს სოციალიზმში ასაშენებლად.

მე მოუწოდებ წითელ არმიელებს და მუშებს ახალ გამარჯვებისაკენ გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს და მის წითელ არმიას!

გაუმარჯოს მუშების და გლეხების კავშირს! (ტაში, ინტერნაციონალი).

ამხ. ფ. მახარაძე

ამხანაგებო, ეს ორი დღეა, რაც ქალაქ ბათუმში მოწვეულია საქართველოს აჭარელ და თურქ ქალების ყრილობა, ამ გარემოებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენ აქ, ბათომში, აჭარისტანში არაერთხელ ჩავვიტარებია მრავალი მიტინგი, მრავალი საზვიმო სხდომა, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ და აშკარად ვსთქვათ მუშათა და გლეხთა წინაშე, რომ ჩვენს ზეიმს, ჩვენს დღესასწაულს წარსულში ჩრდილავდა ერთი დიდი დაბრკოლება: სახელდობრ ის, რომ როდესაც ჩვენ წარსულში აჭარისტანის რომელიმე ქალაქში, ან სოფელში გვიხდებოდა რაიმე საზოგადოებრივი მუშაობა, რაიმე დღესასწაულის გამართვა, ამ საქმეში აჭარელი და თურქი ქალები ვერ ღებულობდნენ მონაწილეობას. მამასადაამე, ჩვენს ზეიმს, ჩვენს დღესასწაულს მამინ არ ჰქონია საყოველთაო ხასიათი.

დღეს, ჩვენ აქ პირველად ვხვდავთ საზოგადო საქმეზე შეკრებილ აჭარელ და თურქ ქალებს სხვადასხვა მაზრებიდან. უნდა აშკარად ვთქვათ, რომ ზევრს ამ ქალთაგანს არამც თუ არ უნახავს ბათომში, არამედ ისინი თავიანთ სოფელშიც კი მუდმივად კარჩაკეტილნი იყვნენ, ვერაფერს ხედავდნენ რა ხდებოდა ირგვლივ, მათთვის დახშული იყო მზის სინათლე.

ამხანაგებო, რა თქმა უნდა, ეს ყრილობა დაგვიანებით მოხდა. გვიან მოხდა აჭაქრელ ქალთა გამოთხიზლება, მაგრამ ამხანაგებო, ნათქვამია: უკეთესია გვიან—ვიდრე არასოდესო.

დღეს ჩვენ მოწმეები ვართ იმ ამაღლევბელი სცენების, რომლის დროსაც მრავალ ჩვენთაგანს ცრემლი მოსდის თვალებიდან. რატომ ზღება ეს? იმიტომ, რომ საუკუნოებით დამონებული ქალები პირველად ახელენ თვალს, ზედავენ შეკრებულებას, პირველად ღებულობენ მონაწილეობას ახეთ ჰიტინგებზე, როგორც არის დღეს.

ამხანაგებო, ეს ფაქტი მეტად დიდი გარემოების მომასწავებელი მოვლენაა, მაგრამ არ კმარა მარტო სიტყვები და დაპირებები. დღეს აქ აჭარელ და თურქ ქალებმა ჩამოიხადეს ჩადრი, მაგრამ ამით არ გათავებულა საქმე, მათ ესპირობათ დიდი დახმარება, როგორც ნივთიერი, ისე ზნეობრივი. ჩვენი ორგანიზაციები, მუშათა ორგანიზაციები, განსაკუთრებით ბათომისა და თბილისის მუშები, მოწმენი არიან განთავისუფლების გზაზე შემდგარ აჭარელ და თურქ ქალთა მოძრაობისა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის განმაგრებული. ყველა სათანადო ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყოს ამ მოძრაობას არა მარტო სიტყვებით, არამედ საქმიანაც. ყველამ უნდა გაუმავროს ზურგი თავისუფლებისათვის მებრძოლ აჭარელ და თურქ ქალს. ყრილობაზე გამოგზავნილი დელეგატები უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ ისინი არ ჩამოაყლან ქალაქ ბათომში დღევანდელი ზეიმის უბრალო მაყურებლად. ყველა ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს ის დაპირებანი, რომელსაც ვაძლევთ ჩვენ აჭარელ და თურქ ქალების ყრილობას.

ამხანაგებო, მე მოგიწოდებთ თქვენ, რომ ეს დიდი ვალდებულება სასახელოდ შეასრულოთ. თუ დღევანდლამდე ჩვენ სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევდით ამ საქმეს, დღეს შემდეგ ამას ადგილი აღარ უნდა

ექნეს, თქვენ უნდა აღუთქვით დახმარება აჭარელ და თურქ ქალებს და უნდა შეასრულოთ კიდევ თქვენი დაპირებანი.

მაშ, გაუმარჯოს აჭარელ და თურქ ქალებს! (ტაში).

გაუმარჯოს ყველა ორგანიზაციებს, რომლებმაც ამ დიდ საქმეში გამოიჩინეს ერთგულება და პირნათლად შეასრულეს ყველა დავალებანი! (ტაში, ვაშა, ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს).

ამხ. მ. სურმანიძე

ამხანაგებო, მე მინდა ვსთქვა ორიოდ სიტყვა გაუმარჯოს განთავისუფლებულ აჭარელ და თურქ ქალებს. გაუმარჯოს სავალდებულო საყოველთაო სწავლას! ძირს ჩადრი! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! (ტაში, ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს).

აჭარელ ქალებს გამოაქვთ თავიანთი ჩადრები, ყრიან შუა მოედანზე ასხამენ ნავთს და სწვავენ, ისმის საყოველთაო ვაშას ძახილი, იშვიათი აღტაცება, ტაში, ისმის ხმები: „ძირს ჩადრი, გაუმარჯოს თავისუფალ აჭარელ ქალს!“.

ამხ. აღ. ფანცხავა

ამხანაგებო, კომუნისტური პარტია ერთად ერთი პარტიაა, რომელმაც რევოლიუციონურ მარქსიზმის პრინციპების და პარიზის კომუნისა და სხვა რევოლიუციონურ მოძრაობათა პრაქტიკის გამოყენებით გაილაშქრა რუსეთის ყოფილ იმპერიის, ყველა ფეოდალების, მემამულეთა, კაპიტალისტების, ნიკოლოზის მომხრეთა ზროვის და მათ ხელის შემწყობთა წინააღმდეგ. კომპარტიამ დაამარცხა მოფუტსფუსე დროებითი მთავრობა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით არ ამოიწურა და არ ამოიწურება ჩვენი ამოცანა. სოციალიზმის დამყარება ჩვენი ძირითადი ამოცანაა. ბრძოლის წარმატებით განვითარებისათვის საჭიროა ქალთა სრული გათანასწორობა მამაკაცთან და მათი ჩაბმა ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში.

ამ ამოცანის მისაღწევად ჩვენი პარტია ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის და ყოფაცხოვრების გარდაქმნის, მოსახლეობის კულტურულ და პოლიტიკურ დონის აწევის და სასტიკ ბრძოლის წარმოებით ყველა იმ სამარცხვინო და საზიზღარ ადათების და ჩვეულებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელშეშლიან ჩვენს საერთო წინსვლას.

ამის შედეგია ის გარემოება, რომ რვა თებერვალს ქ. ბათუმში გაიხსნა სრულიად საქართველოს აქარელ და თურქ ქალთა პირველი ყრილობა, რომელიც მსჯელობს სამარცხვინო ადათების აღმოფხვრის ღონისძიებასა და საშუალებებზე.

1928 წელში, როცა აჭარისტანში ვიწყებდით ქალთა განთავისუფლებისათვის ენერგიულ ბრძოლას, ამხანაგებისა და ორგანიზაციების უმეტეს ნაწილს ამ მუშაობის გატარება ხულოს მაზრაში, როგორც ვითომდა კულტურულ - პოლიტიკურად უფრო ჩამორჩენილ კუთხეში, აფიქრებდა და ეცვს უბადებდა. საოლქო კომიტეტმა კი, მიუხედავად ამისა, საჭიროდ დანახა ამ მუშაობის უპირველეს ყოვლისა ხულოს მაზრიდან დაწყება, რათა ხულოს მაზრაში მისი გატარებით უფრო მეტად გაეადვილებია საქმე აჭარისტანის სხვა კუთხეებში. საოლქო კომიტეტის იმედები გამართლდა, მიუხედავად იმისა, რომ ხულოს მაზრაში ჩადრის მოხდის, შედრესე-მექთებების დახურვის, ე. ი. ყოფა-ცხოვრების ძირითად საკითხების აღმოფხვრის ნიადაგზე პარტიასა და ხელისუფლებას კულაკებმა, ხოჯებმა და სხვა ანტიპაბჭოთა ელემენტებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, ხოჯებმა და მოლლებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს და ხულოს მაზრა შეიქმნა ტონის მიმცემი აჭარისტანის სხვა კუთხეებისათვის დახავსებულ ადათებთან ბრძოლის საქმეში.

სწორედ ამ რევოლუციონურ ენერგიისა და გაბედულების გამოჩენისათვის საოლქო კომიტეტის სახელით ხულოს მაზრის მშრომელებს ვუძღვნი ამ დროშას. (ორატორი შლის ტრიბუნასთან მდგომ ხულოს მაზრის დელეგაციის თავზე დროშას წარწერით: „**ხულოს მაზრას აჭარისტანის საოლქო კომიტეტისაგან ჩადრის ახდის და მედრესეების დახურვის მუშაობის მედგრად და ურყევად გატარებისათვის**“).

საოლქო კომიტეტი იმედოვნებს, რომ მომავალშიც პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიების გატარებაში ხულოს მაზრის მშრომელი მასები და ხელმძღვანელი ამხანაგები, შემოკრებილი ამ დროშის გარშემო, მედგრად იბრძოლებენ.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს ქალთა განთავისუფლებას!

გაუმარჯოს ხულოს მაზრის მშრომელთა რევოლუციონურ გამბედაობა და აჭარისტანის მშრომელი მასების შემოქმედებითი მუშაობას სოციალისტურ აღმშენებლობის გზით!

ძირს ჩადრი და ძველი ადათები! (ტაში, ინტერნაციონალი).

ჩადრის დაწვა

მთელი მიტინგი აღფრთოვანებთ შეხვდა დროშის გადაცემას. მუსიკა კვლავ უკრავს ინტერნაციონალს. მოედანზე ტრიბუნის წინ გამოდიან

ხულოს მაზრის დელეგატი ქალები, ყრიან თოვლზე ჩადრს და ასხამენ ნავთს. ანთეს ჩადრის კოცონი. მოედანი დაფარა დამსწრეთა ყიჟინამ:

— ძირს ჩადრი!

— გაუმარჯოს განთავისუფლებულ ქალს!

— არც ერთი აჭარელი ქალი აღარ დარჩება ჩადრში!

— გამოეცით დეკრეტი ჩადრის აკრძალვის შესახებ!

უფრო და უფრო იესება მოედანი ხალხით. ახალი და ახალი ჩადრები სკვივა კოცონში.

ამხ. რიზა ხოზრევანიძე

ხულოს მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ მიიღო ამხ. აღ. ფანცხა-
ვასაგან დროშა შემდეგი სიტყვებით:

— ამხანაგებო, დღეს ჩვენთვის საზეიმო დღეა. დღეს ჩვენ ვახდენთ კულტურულ რევოლუციას, აჭარელ ქალებს შორის, განთავისუფლებთ მათ ჩადრისაგან, მედრესეებიდან. არც ერთმა ჩვენთაგანმა არ უნდა და-
ზოგოს თავის ძალ-ღონე ამ საქმის სრულ გამარჯვებამდე მისაყვანად. ჩვენ, ხულოს მაზრის მშრომელი მოსახლეობა, ვიღებთ ამ დროშას და ვა-
ცხადებთ, რომ ისე ღირსეულად ვატარებთ მას, როგორც ეს შეშვენის, სო-
ციალისტურ წესწყობილების მშენებლებს.

გაუმარჯოს ჩვენს ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას. გაუმარჯოს კულტურულ რევოლუციას, ძირს ჩადრი, ძირს მედრესე და მექთებე-
(ტაში).

ამხ. ვარო ჯაფარიძე

ამხანაგებო, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება მოგესალმებათ თქვენ, რომლებმაც თავი მოიყარეთ აქ, რომ აღნიშნოთ კი-
დეც ერთი ისტორიული ეტაპი აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა საშუალო საუკუნოების ზნე-ჩვეულებებიდან განთავისუფლების საქმეში.

1929 წლის 8 თებერვალი ღირსშესანიშნავი დღეა არა მარტო აჭარის ტანის, საქართველოს და საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის, არამედ მთე-
ლი აღმოსავლეთისათვის. დღეს ჩვენ ვასრულებთ ილიჩის ანდერძს, ქვას ქვაზე არ დავსტოვებთ ისეთი ძველი ტრადიციებისაგან, როგორც ჩადრი, მედრესე და სხვა. აი, ეს კოცონი, რომელშიაც იწვეს ჩადრები, ანათებს არა მარტო აქ დამსწრეებს, ის მოკაშკაშე შეუჭურაა მთელი აღმოსავლე-
თის ჩაგრულ ქალთათვის.

გაუმარჯოს განთავისუფლებულ მშრომელ აჭარელ და თურქ ქალს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, მსოფლიო პროლეტარიატის და აღმოსავლეთის ჩაგრულთა ბელადს! (ტაში, ინტერნაციონალი).

ამხ. ქამადაძე

ამხანაგებო, ნება მომეცით მოგესალმოთ ხულოს მაზრის ქალთა საზღლით. კმაზა მონობა, ძირს ჩადრი, ძირს ალა - ბეგები! ჩადრი თვალის დამაბნელებელია, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას! (ტაში).

ამხ მ. ბერიძე

ამხანაგებო, ჩვენ ყველანი მონები ვიყავით. ჩვენ ვიყავით ობლები. თვლით დაბნელებულნი. პირველად ნიკოლოზის ხელში ვიყავით დაჩაგრული, შემდეგ მენშევიკებმა იბატონეს ჩვენზე.

ჩვენ გავგანთავისუფლა ლენინმა, გვიხაროდა, რომ ჩვენ თავისუფლები ვართო, მაგრამ დღემდე ნაკლებად იყო ჩვენთვის ეს თავისუფლება. დღეს გავახილეთ თვალები და ჩვენთვის ნათელი გახდა ყველაფერი. საბჭოთა ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გავიდა რვა წელიწადი, მაგრამ ისევ ხოჯების, ბეგების და მოღლების მონები ვიყავით. მედრესე იყო ჩვენი ხელის შემშლელი, ჩვენი ტვინი დამხშობი. ძირს ჩადრი, ძირს მედრესე! დამარხოხ ჩადრი! ქალებო, თქვენ კარგად იცოდეთ, რომ თქვენი ნაშრომის პატრონები თქვენვე ხართ.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! (ტაში).

ანით დასრულდა მიტინგი.

დემონსტრაცია

მიტინგის დასრულების შემდეგ ყრილობა გაემგზავრა ლენინის ძეგლსაკენ. საგანგებოდ მოწყობილ ტრიბუნაზე სდგანან ყრილობის პრეზიდიუმის წევრები. ინტერნაციონალის ქუჩა ორივე მხრით გაჭედილია. კინო-ოპერატორები, ფოტოგრაფები დაფუსფუსებენ ქუჩაში. დღეს ისტორიული დემონსტრაციაა. ხუთასი ჩადრაბდილი ქალი ერთად არის ქუჩაში. ასეთი სურათი ჯერ არავის უნახავს.

დაიწყო დემონსტრაცია. მოდიან წითელი არმიის მწყობრი რიგები, ტრიბუნიდან გაისმის ლოზუნგები:

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მცველს—წითელ არმიას.

— ვაშა, ვაშა, ვაშა!

წითელ არმიას მოყვება პროფკავშირები, შრომის არმია.

აჭარელი და თურქი ქალები ვერ უცქერიან გულდამშვიდებით ამ დიდ ზეიმს. მათდამი ასეთ ყურადღებას, მათი განთავისუფლებით გამოწვეულ

ასეთ დიდ სიხარულს. ქალები გრძნობენ, რომ ამდენ ხანს ისინი საბატიმ-
როში ისხდნენ, მათთვის არ არსებობდა ქვეყანა.

ბევრი ჩადრი დაიწვა დღეს ბათომში. მაგრამ ეს არ არის საკმარისი.
ქალღმმა ისევ მოიგლიჯეს ჩადრები და ტრიბუნის წინ დაყარეს...

— ცეცხლი მაგას, დასწვით ჩადრი!

და ისევ აენტო კოცონი. ჩადრები შთანთქა ცეცხლმა-

დღის 3 ნახევარ საათზე დაიშალა ზღვა ხალხი ინტერნაციონალის
ქუჩიდან.

მეხუთე სკოლა

თავმჯდომარე ამხ. ფ. მახანაძე

თავმჯდომარე: ამხანაგებო, აჭარელ და თურქ ქალთა ყრილობის მე-ხუთე სკოლას გახსნილად ვაცხადებ. (ტაში).

ჩვენ დაგვრჩა ერთი მოხსენება. ქალების მონაწილეობა საბჭოების არ-ჩეგნებში და მუშაობაში. მოხსენებას გააკეთებს ამხ. ვარძიელი. (ტაში).

მურომელი ქალი საბჭოებში

ამხ. ი. ვარძიელის მოხსენება

ქალის მდგომარეობა ძველ წესწილებების დროს

ამხანაგებო! რვა წელიწადი სრულდება, რაც საქართველოში და მასში შინაგან აჭარისტანში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. თქვენ იცით. რა-ც საბჭოთა ხელისუფლება არის მონაპოვარი დიდი ოქტომბრის რევოლიუციისა, რომელიც მოხდა რუსეთში 12 წლის წინად. ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელიც მოახდინა აჯანყებულმა მუშებმა და ღარიბ გლეხებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ძირფესვიანად დაანგრია და დაამხო ნიკოლოზის მთავრობა, თვითმპყრობელური ხელისუფლება და მისი წინდევარი დროებითი მთავრობა. ოქტომბრის რევოლიუციამ დაამყარა სრულიად ახალი, დედამიწის ზურგზე გაუგონარი ხელი-აუფლება — საბჭოთა ხელისუფლება. თქვენ კარგად იცით, რომ ძველ მთავრობაში შედიოდნენ მსხვილი მემამულეები, კაპიტალისტე-ბი, თავად - აზნაურები, რომელთა ქონებაც ათეულ ათასობით და მილიონობით ფასდებოდა. გამოსაღამე ნიკოლოზის მთავ-რობა იყო მდიდრების მთავრობა, ხალხის მყვლეფელი მთა-კრობა და ამიტომ ნიკოლოზს მხარს უჭერდა მდიდარი ხა-ლხი, როგორცაა თავად - აზნაურობა, მემამულეები, ვაჭრები, ჩარჩები,

ბობოლა გლეხები, გენერლები, ოფიცრები, პოლიცია, ხოჯები. მოლები და სხვა. აი ვისზე ეყრდნობოდა ნიკოლოზის ხელისუფლება.

ძველ მთავრობას არ მიაჩნდა ადამიანებად მშრომელი ხალხი, რომელიც სილატაკე - სიბნელეში იყო ჩაფლული და თავის შრომით, ოფლით შოულობდა: ლუკმა პურს.

ეს ღარიბი ხალხი არის დაქირავებული მუშა ხალხი. რომელიც ყიდის თავის, ძალას და სოფლის ღარიბი გლეხობა. ძველი მთავრობა ამ ხალხს არ აძლევდა ვასაქანს. მუშები და გლეხები მხოლოდ ხელმწიფისა და მემამულეების მონები იყვნენ. იყო დრო—და ამაზედ ილაპარაკეს კიდევ— როდესაც ბატონს შეეძლო გაეყიდა თავისი გლეხი, გაეცვალა ის კარგ ძაღლზე, საჩუქრად მიეცა თავის მეგობრისათვის და სხვა. აი, როგორი წესწყობილება იყო ძველად. მუშა და გლეხს არამც თუ არ შეეძლო რაიმე სახით მონაწილეობა მიეღო სახელმწიფო საქმეში, არამედ მათ არ ჰქონდათ უფლება, რომ შეგროვილიყვნენ ერთად და ელაპარაკათ თავიანთ ჭიკ-ვიკამზე, ეთხოვათ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება, როგორც მაგალითად ჯამაგირის მომატება, სამუშაო დღის შემცირება, ან მდიდრებისაგან მიწის ჩამორთმევა და მიწის გაფართოება. როდესაც კი მუშები და გლეხები წამოაყენებდნენ ასეთ მოთხოვნილებებს მთავრობის წინაშე, მთავრობა მათ უმასპინძლებოდა დახვრეტით, ციხით, ჩამობრძობით და ციმბირში გაგზავნით.

ბევრი მუშა და გლეხი იყო დახოცილი იმიტომ, რომ მათ მოითხოვეთ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება და თავისუფლება. განსაკუთრებულ მძიმე გაჭირვებას განიცდიდნენ მშრომელი ქალები. ქალებს სრულიად არ სთვლიდნენ ადამიანებად. ზელისუფლება, ბატონები, ალები, ბეგები, თავადები, აზნაურები, მათთან ერთად მღვდლები, ხოჯები, მოლები და ყველა შავი ძალები გაიძახოდნენ, რომ ქალი მონაა, რომ ქალს არა აქვს საზოგადოებრივი ნიჭი და არ შეუძლია მამაკაცთან ერთად გააწიოს მუშაობა. ქალი იმისათვის არსებობს, რომ დაემორჩილოს თავის ქმარს, შვას ბავშვი, იჯდეს სახლში. „ქალი თხელი ჭკუის პატრონია—ამბობდა ბურჯულაზია, — ქალი ვერ შესძლებს მუშაობას, მისი ჭკუა წასულია გრძელ თამაშო, დედაკაცი უჭკუაა“—ო.

აი, რას გვეკარნახებს ჩვენ სარწმუნოება, სამღვდლოება და მდიდარი ხალხი. ამით აიხსნება, რომ ზოგიერთ ადგილებში, საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში, როგორიცაა, მაგალითად: სვანეთი, ქალი ძალიან უმწეო მდგომარეობაშია, იქ არსებობს მდიდრების მიერ შეთხზული ლეგენდა იმის შესახებ, რომ ქალი ოჯახის მონათ უნდა დარჩეს.

ხევისურეთში ქალს ლოგინობის დროს ბოსელში ამწყვედვენ, მას უწოდებენ ეშნაკს და არა სუფთა ადამიანს.

ქალის გათხოვება ხშირად ხდება ყიდვა-გაყიდვით, რომელსაც ეძახიან ყალიმს, ათხოვებენ 12-13 წლის გოგონას და სხვა. ქალს ძველ წესწყობილების დროს თავისი საკუთარი სახე ოჯახში არ ჰქონდა, მამაკაცი იყო მისი ბატონი. მამაკაცს დედაკაცი ჰყავდა, როგორც მოჯამაგირე. თუ ქმარი მოასურვებდა სხვა რომელიმე ქვეყანაში ცხოვრებას, ქალი აუცილებლად უნდა წაჰყოლოდა, თუ ქალი ქმრის ხელში აუტანელ მდგომარეობაში იყო, არ შეეძლო ქმრის განშორება. ქალს არ შეეძლო ხალხში გამოსულიყო ისე, როგორც თქვენ დღეს აქა ხართ. ქალს აგრეთვე არ ჰქონდა არჩევის უფლება, მას არ ლეზულობდნენ სამსახურში და სხვა.

ყველა იმ კანონებს, რომლებიც შემოღებული იყო ბურჟუაზიის მიერ, ამტკიცებდა სასულიერო წოდების ხალხი, როგორცაა ხოჯები მღვდლები და სხვა.

ხოჯები, მოლები და მღვდლები ქადაგობდნენ: საიქიოში მოგეცემით შევლათ. ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო ნიკოლოზის მთავრობა, ჩამოართვა ფაბრიკა და ქარხნები კაპიტალისტებს, მიწები მემამულეებს, თავად-აზნაურებს და ბევრს და მთელი ეს სიმდიდრე გადასცა მშრომელ ხალხს.

რა არის საბჭოთა ხელისუფლება

ესლა მე მინდა განვმარტო, თუ რა არის საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა ხელისუფლება არის ისეთი ხელისუფლება, ისეთი მთავრობა, სადაც ყოველივეს განაგებენ მშრომელნი.

დანარჩენ ელემენტებს, რომლებიც სხვისი შრომით სარგებლობენ, უფლება არა აქვთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მიიღონ მონაწილეობა. სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა ჩაბარებული აქვს მშრომელ ხალხს—მუშებს და გლეხებს.

ამანაგვლო, საბჭოთა ხელისუფლება კიდევ განსხვავდება ბურჟუაზიულ ხელისუფლებებისაგან იმით, რომ ზენში არჩევნებში მონაწილეობას იღებს მთელი მშრომელი ხალხი, მუშები და გლეხები, მშრომელი ქალები და ინსამსახურეები. საბჭოთა ხელისუფლება თავის მუშაობაში, თავის საქმიანობაში ემყარება იმავე მშრომელ მუშებს და გლეხებს. თქვენ აქ მოგახსენეს ლენინის სიტყვები, რომ ყოველ მხარეთელმა ქალმა უნდა იცოდეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაო. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი მშრომელი უნდა იყოს ჩაბმული სახელმწიფოებრივ საქმიანობაში.

ამანაგებო, საბჭოთა ხელისუფლება არა მარტო სცემს განკარგულებებს და ბრძანებებს, აწესრიგებს სახელმწიფოებრივ საქმიანობას. საბჭოთა მთავრობა არის ისეთი ხელისუფლება, რომელიც ზრუნავს მშრომელი მოსახლეობის სხვადასხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, როგორცაა კულტურული საკითხები, სკოლების აგება, სამკითხველოების გახსნა,

ჯანმრთელობის დაცვა, გზების გაყვანა, მიწის საკითხის მოგვარება, ფაბრიკა-ქარხნების აგება და სხვა. ასე, რომ მთელი მართვა-გამგეობა ამხანაგებო, საბჭოთა ხელისუფლების დროს მშრომელი ხალხის ხელშია.

ამხანაგებო, საბჭოთა საარჩევნო კრებებზე ირჩევენ დეპუტატებს. მუშებს და გლეხებს, ქალებს და მოსამსახურეებს. საბჭოს მთელი მუშაობა დამყარებულია მშრომელ ხალხზე, მუშებზე და გლეხებზე. მუშა ქალებზე და გლეხ ქალებზე. საბჭოს ხელმძღვანელობას უწევს ქალაქის პროლეტარიატი და მისი კომუნისტური პარტია. ლენინის კომუნისტური პარტია არის ყოველივე ამის მეთაური, რომელმაც ამ თორმეტი წლის წინად აჯანყებულ მუშების და გლეხების საშუალებით გამოსტაცა ბურჟუაზიას სახელმწიფო.

ქალი სრულიად თანასწორია მამაკაცთან უფლებებში. არავითარი განსხვავება კაცსა და ქალს შორის საბჭოთა კანონების მიხედვით არ არსებობს. ქალი არის თავისუფალი მოქალაქე. მას თავისუფლად შეუძლია გამოსთქვას თავისი აზრი და მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო აღმშენებლობაში. რომ საბჭოთა ქვეყანაში ქალი არის თავისუფალი, ამას მოწმობს დღევანდელი ყრილობაც, სადაც ქალები გამოდიხართ და თქვენს ქირ-ვარამს გამოსთქვამთ, თქვენ გინდათ ყოფა-ცხოვრების საქმე დააყენოთ კარგად. ვინ მოგცათ ასეთი უფლება? რასაკვირველია, ასეთი უფლება მოგცათ კომუნისტურ პარტიამ, რომლის მეთაური იყო დიდი მასწავლებელი ლენინი. მაშასადამე ასეთი უფლება თქვენ მოგცათ საბჭოთა ხელისუფლებამ.

ქალების მუშაობა საბჭოებში

საბჭოების ხელში იმყოფება მშრომელ ხალხის ბედ-იღბალი. ამიტომ თქვენ უნდა იცოდეთ, რა მოვალეობა აქვს საბჭოებში ქალს, რა მუშაობას აწარმოებს თვით საბჭო?

საბჭო ზრუნავს მუშების და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. საბჭოს საშუალებით ჩვენ ვაშენებთ სახლებს, გზებს, საავადმყოფოებს, ვინახავთ და ვუვლით მოსწავლე ახალგაზრდობას, ვაწესებთ გადასახადებს, იზიანდამხედვით თუ ვის რამდენი შეძლება აქვს, ვხსნით საექიმო პუნქტებს და სხვა. საბჭოები ცდილობენ, რომ მისცენ ხალხს სწავლა-განათლება, ცოდნა, შეაქვთ ხალხში კულტურა, ზღოს უწყობენ მოსახლეობას ჯიშთან საქონლის გავრცელებაში, აძლევენ მეურნეობისათვის გლეხებს ტრაქტორებს, აწყობენ კოლექტიურ მეურნეობას, ხსნიან კლუბებს. სამკითხველოებს, საბავშვო სახლებს, ჭრა-კერვის სკოლებს და ასწავლიან გლეხებს თუ რაში გამოიხატება საზოგადოებრივი მუშაობა.

ყოველ გღებან წყუძლია მიილოს მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში. საბჭოებთან არსებობს სექციები, რომელთა მუშაობაშიც უნდა მიილოს მონაწილეობა მშრომელმა ხალხმა, როგორც მამაკაცმა, ისე ქალმა. სექციების მუშაობით გაადვილდება ამა თუ იმ სოფლის, ან თემის მიერ დასახულ მიზნების განხორციელება.

საბჭოთა ხელისუფლების დიდი განსხვავება სხვა სახელმწიფოების წესწყობილებიდან იმაში გამოიხატება, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს საბჭოს წევრები ანგარიშვალდებულნი არიან თავიანთ ამომრჩეველთა წინაშე. თუ წინეთ, როდესაც ირჩეოდა პარლამენტში წარმომადგენლები არ უწევდნენ ანგარიშს ამომრჩეველებს საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიძლება უკან გაიწვიოთ დეპუტატი, რომელიც არ მუშაობს და ჩვენს ინტერესებს არ იცავს. დეპუტატები, საბჭოს წევრები, ვალდებულნი არიან ხალხის წინაშე, რომელმაც ეს საბჭო აირჩია, გააკეთონ საანგარიშო მოხსენება, გააცნონ ამომრჩეველებს თავისი მუშაობა.

მშრომელ ქალთა მონაწილეობა საბჭოებში აუცილებელია, აქ ერთი ორატორმა გაიხსენა ლენინის სიტყვები, რომ ჩვენ შეგვიძლიან ბოლომდე მივიყვანოთ პროლეტარულ რევოლუციის საქმე იმ შემთხვევაში, თუ ქალები მონაწილეობას მიიღებენ საბჭოების მუშაობაში. მაშასადამე ქალებს მუშაობას საბჭოებში დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ქალთა მუშაობა საბჭოებში უნდა გაძლიერდეს.

ჩვენ ვიცით, რომ სრული ზიკრუეა ის აზრი, ვითომც ქალს არ შეუძლია საბჭოების და სახელმწიფოების საქმეების შესრულება. პირიქით, ჩვენ გვაქვს ბევრი მაგალითები, როდესაც ქალი ასრულებს მეტის მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. საბჭოთა რესპუბლიკებში, კერძოდ საქართველოში, ჩვენ გვყავს ბევრი ქალი მოსამართლე. არიან ქალები პროკურორები. აი. მაგალითად, ამ ყრილობის საზეიმო სტომიზზე თქვენ მოგესალმათ ქალი აზერბეიჯანიდან, ეს იყო თურქი ქალი — პროკურორი; არიან ქალები საბჭოს წევრები. არიან ქალები საბჭოს თავმჯდომარეები, კომისარები. ფაბრიკა-ქარხნების დირექტორები. მილიციის უფროსები და მთავრობის წევრებიც. მაშასადამე, აქედან ვხედავთ, რომ მართლაც ქალს შეუძლია მუშაობა, იგი არ არის სუსტი არსება, რომელსაც თითქმის არ შეუძლია გაამართლოს ხალხის ნდობა. ქალი ასრულებს მასზედ დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად და ზოგიერთ შემთხვევაში, მამაკაცზე უკეთესად.

რა სჭირდება ქალს კერძოდ აჭარისტანში, რომ მიილოს მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში? აჭარელ და თურქ ქალს სჭირდება სწავლა-განათლება, ცოდნა. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა, მას სჭირდება საავადმყოფოები, სახელოსნოები იმისათვის, რომ გამოიყენოს თავისი შრომა. სჭირდება სკოლა, საექიმო პუნქტები, რომ ჩამოშორდეს სოფლის ექიმბაშებს, მათ სჭირდებათ კოოპერატივი და სხვ.

რა სჭირდება გლეხის ოჯახს? სჭირდება სოფლის მეურნეობის წინ წაწევა, მისი გაძლიერება, კარგი თესლი, კარგი სასოფლო-სამეურნეო იარაღი, ხილი, გზა. სჭირდება კრედიტები (სესხი), სჭირდება თავისუფალი გამოცვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ყველა ამის შესრულება გლეხ-ქალს, კერძოდ აჭარელ და თურქ-ქალს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ფართოდ ჩაებმება საბჭოს მუშაობაში. როდესაც ქალი კაცთან ერთად დაუახლოვდება საბჭოს, მიიღებს საბჭოს დებუტატების არჩევნებში მონაწილეობას. აირჩევს საბჭოს დებუტატად ისეთ ქალებს, რომლებიც გამოხატავენ მშრომელ ქალთა ინტერესებს. საბჭოთა არჩევნებში დაიწინაურებული მშრომელი ქალები შესძლებენ განახორციელონ ყველა ის მოთხოვნილება, დაიკმაყოფილონ ყველა თავიანთი საჭიროებანი, გადაჭრან ის ამოცანები, რომლებიც მათ დღეს წინ უდგათ.

ადგილზე საბჭოთა არჩევნები

რა სახით უნდა შილოს ქალმა და კერძოთ აჭარელ ქალმა მონაწილეობა საბჭოებში? აი რანაირად. როდესაც ხდება საბჭოს არჩევნები, ე. ი. როდესაც მშრომელი მუშები და გლეხები შეუდგებიან საბჭოების არჩევნებს აჭარისტანის ტერიტორიაზე (დაიწყება ეს არჩევნები სულ რამოდენიმე დღის შემდეგ, 12 თებერვლიდან). თქვენ უნდა ეცადოთ. რომ აუცილებლად ყველანი დაესწროთ საარჩევნო კრებებს. არა მარტო თქვენ, არამედ უნდა ეცადოთ რომ წამოიყვანოთ საარჩევნო კრებაზე თქვენი ნათესავი, მეგობარი და ახსნაგები, იმისათვის, რომ კერძო მშრომელმა ხალხმა შილოს მონაწილეობა სრული 100 პროც. არჩევნებში. საანგარიშო კრებაზე თქვენ მოგიხდებათ თქვენი წარმომადგენლის არჩევა საბჭოში. თქვენ უნდა აირჩიოთ მუშა ქალი, ღარიბი გლეხი ქალები იმისათვის, რომ მათ კარგად დაიცვან თქვენი ინტერესები. საბჭოს წევრი არის ადგილობრივი ხელისუფლების და ადგილობრივი მთავრობის წევრი, ამიტომ უნდა ეცადოთ, რომ საბჭოში აირჩიოთ გამოჩენილი ქალი, რომელიც დაიმსახურებდა თქვენს ნდობას. აქტიურად შესძლებს მუშაობას, რომელსაც შესწევს ენერჯია ამ საქმისათვის. ასეთი ქალები აირჩიეთ, გაიყვანეთ საბჭოში და დაავალეთ, რომ საბჭოს საშუალებით მან განახორციელოს მთელი რიგი ამოცანები. როგორცაა: სკოლების აგება, საავადმყოფოების მოწყობა, კო-ოპერატივის გაძლიერება და სხვა. აი, რაში უნდა გამოიხატებოდეს ქალის მონაწილეობა საბჭოში.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არის ქალთა მონაწილეობა საბჭოების სექციებში. საბჭოების სექციები ეხმარება საბჭოს, წინასწარ ამზადებს იმ საკითხებს, რომლებიც უნდა გატარდეს საბჭოში. საბჭოს აქვს ჯანმრთელობის, სწავლა-განათლების სექცია, კო-

ოპერაციის ყოფაცხოვრების გამომკვლევ-შემსწავლელი და სხვა სექციები სადაც არა მარტო საბჭოს წევრს. არამედ თვითელი მშრომელს, შეუძლია ჩაეწეროს. მიიღოს მონაწილეობა და ამით გაადვილოს საბჭოს მუშაობა, რითაც თვითელი მშრომელი ქალი გახდება აქტიური მოქალაქე, — აი, ის უმთავრესი საშუალებები. რომლითაც ქალს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში.

საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობა

აშხანაგებო! საბჭოთა არჩევნები არ არის უბრალო საქმე, საბჭოს არჩევნები არის უდიდესი პოლიტიკური კამპანია, ესაა, თებერვლას თვის განმავლობაში მთელ ჩვენ კავშირში, საქართველოში და აჭარისტანში ამოძრავებული იქნება მუშათა და გლეხთა მთელი მასები. მთელ საბჭოთა კავშირში 35-36 მილიონი მუშა და გლეხი ამოძრავდება იმისათვის, რომ აირჩიოს საბჭო. რატომ ვაძლევთ ამ არჩევნებს ასეთ დიდ მნიშვნელობას. იმიტომ, რომ საბჭოების წინაშე სდგას მეტის-მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხები. ჩვენ გვჭირდება ახალი ქარხანა-ფაბრიკები, რომლებიც მოგვცემს მეტ ნაყოფს, მეტს და უფრო კარგ საქონელს. ჩვენ გვჭირდება სოფლად გლეხურ მეურნეობის გაუმჯობესება, მოლონიერება და, მისი ნაყოფიერების გადიდება-განვითარება. სოფლებისათვის სასოფლო - სამკურნეო იარაღების მიწოდება; კარგი თესლის მიცემა, ტრაქტორების ჩამოტანა. თქვენ იცით ალბათ რა არის ეს ტრაქტორი. ეს არის ისეთი მანქანა, რომელიც ხნავს თავის თავად, ამუშავებს მიწას და რომლის ძალა უძლიან ჩამოდენიშე ათეულ ცხენის ძალას. აი, ასეთი მანქანები და იარაღება სჭირდება სოფელს. აგრეთვე გლეხობისათვის საჭირო კოლქტიური მეურნეობა და მთელი რიგი ისეთი საშუალებები, რომ გლეხმა გააუმჯობესოს თავისი მდგომარეობა. საჭიროა სკოლები, განათლება: ცოდნა, კულტურა და, საერთოდ, სოციალიზმის აღმშენებლობაში ჩაბმა. არავის შეუძლია ამ დიდ ამოცანების გადაჭრა გარდა საბჭოთა ხელისუფლებისა, მხოლოდ მუშების და გლეხების საშუალებით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ შეგვიძლია მომავალში შევასრულოთ ჩვენი პროგრამა. ის მუშები და გლეხები, რომლებმაც შესძლეს თვითპყრობელობის დაბნობა და საბჭოთა ხელისუფლების დაარსება, შესძლებენ ყველა ამ მიზნების ვანჯორციელებას და იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას, რომელსაც ეწოდება სოციალიზმი. ჩვენ მივალწევთ იმ დონეს, როდესაც არ იქნება არც მდიდარი. არც ღარიბი, ყველა იქნება გათანასწორობებული, ყველა იქნება განათლებული და ყველა იქნება ჩაბმული წარმოებაში. ექსპლოატატორებს აღვლილი არ ექნებათ.

აშხანაგებო, აჭარელო და თურქო ქალებო! მიმდინარე თებერვალში იქნება ჩატარებული საბჭოთა არჩევნები. თქვენ უნდა მიიღოთ მხურვალე

მონაწილეობა და მთელი 100 პროც. უნდა დაესწროთ საარჩევნო კრებებს. თან უნდა წამოიყვანოთ თქვენი ძმები, ქმრები და მეზობლები. მოისმინეთ ანგარიში, გააყრიტოკეთ, გასინჯეთ საბჭოს მუშაობა აირჩიეთ საბჭოებში ისეთი ქალები, რომლებიც შესძლებენ აჭარისტანში სასარგებლო მუშაობის ჩატარებას. საბჭოს მუშაობა მაშინ უფრო ნაყოფიერი იქნება, როდესაც თქვენ მიიღებთ საბჭოს საქმიანობაში მხურვალე მონაწილეობას. თქვენ უნდა დაავალოთ თქვენს დეპუტატებს, რომლებიც იქნებიან არჩეულნი, რომ გაატარონ ცხოვრებაში ყოველივე თქვენი მითითებები. აღმოფხვრან ძველი ზნე-ჩვეულებები და გააუმჯობესონ ქალის მდგომარეობა საბჭოს უნდა დაავალოთ, რომ განაგრძოს ის ბრძოლა, რომელიც ჩვენ დავიწყეთ ჩადრის წინააღმდეგ. მაგრამ, ამხანაგებო, ჩადრი ვერ ამოსწურავს ყოველივე იმ მანვე ზნე-ჩვეულებებს, რომლებიც არის საქართველოს სწვა დასხვა კუთხეებში, საბჭოს უნდა დაავალოთ, ყველა ძველი ადათები აუცილებლად აღმოფხვრას, რომ ქალები პოლიტიკურად განათლდნენ. მე იმედი მაქვს, რომ თქვენ გაყვებით იმ ბრწყინვალე გზას, რომელიც ჩვენ გვაქვს დასახული, შეასრულებთ დავალებას მთელი 100 პროც.-ით და მიიღებთ მონაწილეობას საბჭოების არჩევნებში, რომ დაგზავნოთ დეპუტატებათ ქალები, რომლებიც პირნათლად შეასრულებენ იმ ამოცანებს, რომლებსაც თქვენ დაავალბთ.

ამხანაგებო! ჩვენ წინ წავალთ, შეუდგებით მუშებთან და გლახებთან ერთად შემოქმედებითი მუშაობას, უფრო ჩქარი ტემპით და მედგრად გავიკაფავთ მშრომელთა განთავისუფლების გზას, რომელიც მთელ დედამიწის ზურგზე, მთელ მსოფლიოში მიგვიყვანს მუშების და გლახების ხელისუფლებამდე, ისეთ წესწყობილების დამყარებამდე, როგორიც არის საბჭოთა კავშირში.

გაუმარჯოს განთავისუფლებულ მშრომელ აჭარიო ქალს!

გაუმარჯოს მომავალ საბჭოს არჩევნებს და მათში ქალის მონაწილეობას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას! (ხანგრძლივი ტაში).

კამათი ამა. ი. პარკიელის მოხსენების გარშემო

თავმჯდომარე: — სიტყვა ეძლევა სედრე ხოზროვანიძეს.

ამხ. სედრე ხოზროვანიძე

ამხანაგებო, მე პირველმა მოვიხსენი ჩადრი.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! (ტაში).

ამხ. ზეკე იორამიძე

ამხანაგებო, ძირს ჩადრი, ძირს მედრესე, ძირს კულაკები, ზოჯები, მო-
ლები, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს კომუნისტურ პარ-
ტიას, და გაგიმარჯოთ თქვენც! (ტაში).

ამხ. შათირ თურმანიძე

ამხანაგებო, დღევანდელი აქარელ და თურქ ქალთა ყრილობა მოწ-
მობს იმას, რომ ჩვენ ქალებში შევიტანეთ შეგნება. ამ ყრილობაზე აქარე-
ლი ქალები გამოთქვამენ თავიანთ აზრს. მაგრამ ჩვენ უნდა ვეცადოთ,
რომ ეს შეგნება ბოლომდის გავატაროთ. როდესაც აქარელი ქალი დაბრუ-
ნდება ყრილობიდან სოფელში. მან უნდა შეიტანოს ეს შეგნება მეზობელ
ქალებში, უნდა აუხსნას მათ, თუ რა მოისმინა დღეს, თუ როგორ უნდა
მიიღოს მონაწილეობა ქალმა საზოგადო მუშაობაში, როგორ უნდა მიიღოს
მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში.

თუ დედაკაცი მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა არჩევნებში, მაშინ
ბევრ რამეში უპირატესობა მიეცემა ქალსაც. ქალი თავის მონაწილეობით
არჩევნებში უფრო კარგად დიაცაქს თავის თავს. მონობისაგან განთავისუ-
ფლებას ქალი მიადლწევს საზოგადო მუშაობაში აქტიური მონაწილეობის
მიღების გზით. ჩვენ ვლაპარაკობთ ქალის განთავისუფლებაზე და განათ-
ლებაზე. ქალის განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს, არა მარტო თვით
ქალებისათვის, არამედ ბავშვთა აღზრდისათვისაც.

ქალმა უნდა შეუწყოს ხელი სავალდებულო სწავლის შემოღებას.
თქვენზე არის დამყარებული აქარელ ახალგაზრდობის აღზრდა. უნდა ვე-
ცადოთ, რომ აქარელი ახალგაზრდა ისეთივე ნაწაწავლი იყოს, როგორც
სხვები.

მალა უნდა ავწიოთ ჩვენი კულტურა. გაუმარჯოს აქარელ და თურქ
ქალების პირველ ყრილობას! გაგიმარჯოთ თქვენ და გაუმარჯოს თქვენს
ხელმძღვანელს კომუნისტურ პარტიას! (ტაში).

ამხ. ნუნუშ ბერიძე.

ამხანაგებო, უკვე აქარისტიანის ქალები გამოვედით მამაკაცებთან ას-
პარეზზე სალაპარაკოდ. თქვენ კარგად მოგეხსენებათ. ჩვენო დებო, რო-
გორ მდგომარეობაში ვიყავით და როგორი გაპირება გვქონდა 1921 წლა-
მდე. ქუთაში ვერ გავდიოდით, ჯარისკაცები დაგვცინოდნენ, დღეს კი,
ქუთაში რომ გავიაროთ, ყველა ამხანაგი პატივს გვცემს და გზას გვაძლევს.
აი, რა დღეში ვართ ეხლა?

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ. რომ ჩადრი ადამიანს ჩაგრავს. მე გავი-
გონე ერთი ქალისაგან; ჩემმა ქალიშვილმა რომ ჩადრი აიხადოს. უნამუსო
ჩქნებაო. შემცდარია ეს ქალი. მე ვიცი ბევრი ჩადრით მოსიარულე და პირ-
ახვეული ქალი. რომელიც გლახა საქმეს სჩადის.

ჩვენ ვიცით: რომ ხშირად ჩადრის მოხსნა არ უნდათ კონტრაბანდისტებს.
ჩადრში მალავენ კონტრაბანდას. ისევეც წელზე და ისე გამოაქვთ. ხშირად
ასეთ ქალებს იჭერენ. ეს სირცხვილი არაა?

მატარებელმა მოკლა ერთი ქალი, რადგანაც ჩადრში შეხვეული იყო
და ვერ დაინახა მოახლოებული მატარებელი

ჩვენ ერთი ხოჯა გეყავს მახინჯაურში, რომელიც გვეუბნება, რომ
თმები არ მოიჭრათ, მოკლე კაბა არ ჩაიცვათო, ეს ცუდიაო, ეს ცოდვაა და
თქვენი ქმრები ფულს ვეღარ მოიგებენო. ამის შესახებ ხოჯამ მოსსენება
გააკეთა. მერე წავედი ერთხელ მის ოჯახში და მის ცოლს მოკლე კაბაც
გეცა. თმებიც შეკრეპილი ქონდა, და სხვ.

ხოჯები გვატყუებენ. იცოდეთ ქალებო! არ დაუჯეროთ! ერთმა ახალ-
გაზრდამ მოიყვანა ცოლი და მალე გაექცა. ის წავიდა. ხოჯას უთხრა,
ცოლი გამექცაო. ხოჯამ უთხრა, სანამ შენი ბიძის ცოლი სახლში გყავს,
შენი ცოლი შენთან ვერ დადგებაო. ყოველივე შენი ბიძის ცოლის ბრა-
ლია, ის ეშმაკი ქალიაო.

ამის გამო ხოჯას მიერ ნაგინებ ქალს ისე ეპურობოდნენ, რომ ის მა-
ლე მოკვდა.

არ დაუჯეროთ ხოჯებს. უნდა მოისპოს ჩადრი. მე ვთხოვ მთავრობას,
რომ გამოსცეს დეკრეტი ჩადრის მოხსნის შესახებ. აქარელი ქალები უნდა
ჩაებან საბჭოებში, უნდა გახდნენ კოოპერატივის წევრები.

ამხანაგები ამბობენ, რომ არ გვეძლევა კოოპერატივში მანუფაქტურაო.
რას მოგვცემენ კოოპერატივში, თუ სამსაში მანეთი მაინც არ შევიტანეთ
და წევრებად არ ჩავეწერეთ?

ამხანაგებო, ძირს ჩადრი! ძირს მედრესე! ძირს ბეგი. ხოჯა-მოლა.

გაუმარჯოს ჩვენს კომუნისტურ პარტიას! (ტაში.)

ამხ. აიშა მგელაძე.

ამხანაგებო. აქარელი გლეხო ქალებო, ჩვენ ვიყავით დამონავებულნი
და დღეს მივიღეთ განათლება. მივიღეთ და შეუდევით საბჭოთა ხელისუფ-
ლებასთან ერთად განათლების გზას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! ძირს ხოჯა-მოლა! ძირს ჩად-
რი.

გაზრდით რომ გამოცემული იყოს დეკრეტი, მოისპოს ჩადრი! (ტაში.)

ამხ. ქათამაძე.

მე ვარ ხულოს მახრიდან. ოთხი სოფლიდან ერთი დელეგატი. მე ვიხივე უმაღლეს მთავრობას, რომ დეკრეტი იყოს გამოცემული, რომელიც აკრძალავს ჩადრს. ვიხივე უმაღლეს მთავრობას, რომ ჩვენში განათლებამ შემოიტანოს. გაუმარჯოს დეკრეტს, ჩადრის წინააღმდეგ. (ტაში).

ამხ. აიშე მახარაძე.

ამხანაგებო. მე მაქვს ერთი საკითხი, მე ვარ ხულოდან. 3 წელიწადია გადმოასახლებული ვართ ქობულეთის მახრაში. ჩაქვის მცხოვრებებმაც იციან და ქობულეთის მცხოვრებებმაც, რომ ჩვენ ღარიბები გადმოგვასახლეს. როგორც მინა დასამუშავებლად. ჩვენ გადასახადებს ვიხდით ჩვენში. მე უნდა ვიყო მიწერილი ქობულეთის მახრაზე.

შემდეგ უნდა შევებო იმას რომ სოფელ ციხისძირში ძალიან ცუდი გზები გვაქვს. ჩვენ გვინდა ვთხოვოთ მთავრობას, რომ გზები გაგვიკეთონ, არ გვაქვს კომუნიკაცია, არა გვყავს მასწავლებელი. ჩვენ გვინდა, რომ ყველა განათლებული ვიყვეთ. მე ვარ უსწავლელი. რათ უნდა გამოვიდეს ჩემი შვილი უსწავლელი? ყველამ უნდა მივიღოთ განათლება.

მე ხელის ნიწერა არ ვიცი. გურული ქალები სამსახურში არიან. ჩვენ კი უნდა ვიყვეთ დახლებული. თუ ჩვენ მართლა შეერთებული ვართ, ჩვენ უნდა გვსწავლოთ წერა-კითხვა.

ჩვენი ტანსაცმელი უნდა შეიცვალოს. ჩადრები უნდა გადავიყაროთ. ნაგრამ ამის საშუალება ჩვენ არ გვაქვს. რადგან ჭრა-კერვა არ ვიცით. მთავრობა უნდა დაგვეხმაროს, რომ ჭრა-კერვის სკოლა გავვიხსნათ. ფართალს რომ შევიძინოთ, შესაქერი ფული არა გვაქვს, ჩვენ რომ ვიცოდეთ შეკერვა, თვითვე შევიკერავთ.

ამხანაგებო, ჩვენ ვაყვავებთ ტყე და მიწას ვამუშავებთ. მთავრობა დაგვეხმარა 150 მანეთით. ნაგრამ საწევრო გადასახადი ჩვენ დაგვიკავებს 20 მანეთი. როდესაც წვიმიდართ, გვეუბნებიან, დღეს არ არის ფული, ხვალ მოდითო. როდესაც ნოვა რაიმე დახმარება, ბერძენებს მეტი უწევს. რადგან თავმჯდომარე ბერძენია და მის მეგობრებს ფულსა და სიმინდს აძლევს. თავმჯდომარე ჩვენ არავითარ დახმარებას არ გვაძლევს, არც გზებს აქცევს ყურადღებას, არც ქალებს ირჩევს საბჭოებში.

აი. ჯემალ ცენტრაძეს ყავს ძმის ცოლი, მას ის არ მოყავს კრებაზე. მისი ცოლი გურული ქალი არის. ამ ქალს თავისუფლად შეუძლია კრებაზე მოსვლა, მაგრამ ის არ კმარა. ჯემალ ცენტრაძემ უნდა გამოუშვას ძმის ცოლიც.



დეღეობის კალენდრის წიგნი

ხეჭირია ოღლიმაც არ გაუშვა თავისი ცოლი ჯრებაზე. ამისთანა კაცმა ჩვენ რა უნდა გავგიკეთოს? ჩვენ გვინდა ტანსაცმელის ფორმა გარკვეილად, ჩვენ გვინდა სწავლა შევიძინოთ. ამას ვთხოვლობ. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს ქალთა პირველ ყრილობას!
გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას! (ტაში.)

ამხ. ბეჯით სვანიძე.

ამხანაგებო, მე პირველად მიხდება აქარულ მშრომელ ქალთა წინაშე სიტყვის თქმა. მართალია ჩვენ. მამაკაცებს ძალიან ხშირად გვხვდება თავის მოყრა და მსჯელობა, მაგრამ დღემდე ჩვენ არ გვექნა საშუალება, რომ აქარულ ქალებთან გვესაუბრა საერთო ჭირ-ვარამზე. დღეს აქარული მუშების და შეგნებულ ხალხის მეოხებით მოგვეცა ამის საშუალება, ველაპარაკებით აქარულ მშრომელ ქალებს მათ განთავისუფლებაზე. მართალია, კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით ისინი განთავისუფლებული არიან ბევრების ბატონობისაგან, მაგრამ სრული თავისუფლება აქარულ მშრომელ ქალებს ჯერ კიდევ არ მოუბოვებიათ. მე ვლაპარაკობ აქარულ ქალთა ყოფა-ცხოვრების მძიმე პირობებზე.

ამხანაგებო, როდესაც ჩვენ დაებრუნდებით სოფელში, უნდა გავსწიოთ აგიტაცია: რომ სხვა ქალებმაც წავბაძოს თქვენ.

აქ ერთი ქალი ლაპარაკობდა, მე ხულოს თემიდან ვარ, რომელიც 4 :ო-ფელს აერთიანებდა. ამ სოფლების სახელით ის მოითხოვდა გამოცემულიყო დეკრეტი ჩადრის აკრძალვის შესახებ. ჩადრი უნდა აიხადოს ყველა აქარულ ქალმა. ჩადრი უნდა მოეხსოთ.

მედრესები მოსპობილ უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ 20 წლის წინად. ეხლა მათ არსებობაზე ზედმეტია ლაპარაკი. მედრესეს მავნებლობა აქარულ ფუხარა ხალხს შეგნებული აქვს სავსებით.

მე დღეს პირველად მესმის, რომ აქარისტანის ქალი მსჯელობს გზების შეკეთებაზე. ეს უკვე დიდი მიღწევაა.

მე მინდა კიდევ აღვნიშნო ერთი რამ. ხვალთან იწყება რელიგიური დღესასწაული. ამაღამ მორწმუნეებმა უნდა ილოცონ და 30 დღის განმავლობაში შიმშილობა უნდა გასწიონ. აი, როდესაც ჩვენ აქედან დაებრუნდებით, უნდა აუთხანათ ქალებს, რომ როგორც არ არის საჭირო ჩადრი და მედრესე, აგრეთვე არ არის საჭირო ამ დღესასწაულების ჩატარება.

მე შევეკითხე ერთ ხოჯას, სწერია თუ არა ყურანში, რომ ქალმა უნდა ატაროს ჩადრი. მან ასე მიპასუხა, ყურანში ეს არ სწერია, მხოლოდ იქ არის ნათქვამი, რომ ქალს თმა უნდა ექნეს შეხვეული. აქედან რომ დაებრუნდებით, უნდა შეგანებინოთ თქვენს დებს ჩადრის მავნებლობა. პთელი 100 პროც.-ით უნდა შეეასრულოთ ყრილობის დადგენილება.

ამხ. შავლიძე

გაუმარჯოს დედაკაცის განთავისუფლებას!
გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელმაც გაანთავისუფლა აქა-
რელი ქალი!
ძირს ჩადრი! (მხურვალე ტაში.)

ამხ. თალაკვაძე

ამხანაგებო, 12 დეკემბერს დაიწყო მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის. ხულოს თემში კულაკი ალექსანდრე ნებას არ აძლევდა დასწრებოდნენ კრე-
ბას არამც თუ მარტო ქალებს. არამედ მამაკაცებსაც კი. აი. ასეთი ანტი-
საბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ უნდა გამოვაცხადოთ ბრძოლა.

ქალებო და დებო, თქვენ ვხლა თავისუფლები ხართ და შეგიძლიათ მიიღოთ მონაწილეობა არჩევნებში. საბჭოში უნდა აირჩიოთ ისეთი პირე-
ბი, რომლებიც დაიცავენ თქვენს ინტერესებს. აქ ნათქვამი იყო რომ მე-
ტი გადასახადი გამოგვართევსო. სწორედ ამისთანა მოვლენას რომ არ ქონ-
დეს ადგილი, საბჭოში უნდა იქნეს არჩეული ისეთი პირები, რომელნიც
დაიცავენ თქვენს ინტერესებს.

რასაკვირველია, ყველა დანაკლისს მანროს ცენტრიდან ვერ დანიხან-
ვენ. ქალი უნდა იყოს ჩაბმული კოოპერაციაში. თქვენ წუ გაშინებთ კოო-
პერატივში მოსვლა. ზოგიერთი მამაკაცი ცდილობს, რომ შეგზღუდოთ
თქვენ, მაგრამ ჩვენ ამის ნებას არავის მივცემთ. თქვენ უნდა იშრომოთ
და იმუშაოთ საზოგადო ასპარეზზე. უნდა მიიღოთ მონაწილეობა საბ-
ჭოებში.

ვინ არის დამნაშავე, რომ თქვენ არ იცით წერა და კითხვა? რასაკვი-
რველია, ამაში დამნაშავენი არიან მოლები და ხოჯებო. ქალებო, დებო,
როდესაც დაბრუნდებით სოფელში, უეჭველად უნდა ეცადოთ რომ შვი-
ლები არ დასტოვოთ სკოლის გარეშე.

ვისაც თქვენს შორის არ ენახა ბათიმი—აჭარისტანის დედაქალაქი, ეხ-
ლა ნახა ის და მოეალეა ყოველივე უამბოს თავის მეზობელს. თქვენ უნ-
და მიიყვანოთ შრომის სკოლებში შვილები, უნდა შეუწყოთ ხელი ახალ-
გაზრდობას სწავლის მიღებაში, რომ ისინი გახდნენ განათლებული და მედ-
გარი ადამიანები. ამის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ პირდაპირ ივრიალოთ
და მოითხოვოთ დაბრუნებისას ის, რასაც ყრილობაზე დაადგენთ. (ტაში)

ძირს ჩადრი! ძირს მედრესე!
გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! (ტაში.)

ამხ. გიორგაძე

მე. როგორც აპარელ კაცმა, კარგად ვიცი, თუ რა მაცდურნი არიან ხოჯები. ზშირია შემთხვევა. რომ ხოჯა ამბობს, იმას, რაც მისთვის სასარგებლოა. დღეს ხოჯას იმდენად აღარ უჯერებენ და თუ ვინმე კიდევ უჯერებს მათ, მოვიდნენ ჩემთან და მე ნამდვილად დაუმტკიცებ არაბულ წიგნით ხოჯების სიცრუეს.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს დღევანდელ ყრილობას! ძირს ჩადრი. ძირს მედრესე!, ძირს ხოჯა! (ტაში)

ამხ. დევაძე

ნება მომეცით მოგესალმოთ აჭარისტანის პედაგოგიურ ინსტიტუტის სახელით. 1921 წლამდე ჩვენ ძალიან ცოტა გვექონდა სკოლები. დღეს ყველა კუთხეში დაარსებულია შრომის სკოლები და თქვენთან ერთად ჩვენც ვსწავლობთ ამ სკოლებში. წინეთ, როდესაც არსებობდა მედრესე - მექთაბე. განათლების საკითხი მწვავეთ იდგა. ჩვენი ძმები და დები სწავლობდნენ ამ სასწავლებლებში და მათ გონება ეჩლიჩებოდათ. ესენი ხელს უშლიდნენ საბჭოთა სკოლებს.

მეორე ხელის შემშლელი მიზეზი ჩვენი განათლებისა არის ჩადრი, რომელიც მონობას და საბნელეს ნიშნავს. ყველა ეს უნდა იყოს მოსპობილი. საჭიროა გამოიცეს საამისო დეკრეტი. გაუმარჯოს საბჭოთა ზელისუფლებას! გაუმარჯოს აპარელ ჩადრახდილ ქალს!

ამხ. ხოჯრევანიძე

მე მოვითხოვ, რომ ყველა აპარელი ქალი იყოს ჩამხული აღმშენებლობაში. აპარელ ქალს არ უნდა ეხუროს ჩადრი. ამისათვის უნდა იქნეს გამოცემული დეკრეტი.

გაუმარჯოს საბჭოთა ზელისუფლებას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას. (ტაში)

ამხ. საფარიძე

ამხანაგებო, ჩვენ მოვითხოვთ გამოცემული იქნას დეკრეტი იმის შესახებ, რომ საყოველთაოდ აიკრძალოს ჩადრი. ასეთი კანონი აუცილებლად უნდა გამოიცეს. რომ ყველამ მოიხადოს ჩადრი. გაუმარჯოს საბჭოთა ზელისუფლებას, გაუმარჯოს ქალთა პირველ ყრილობას! (ტაში)

ამხ. გოგიტიძე

ამხანაგებო, აჭარელო ქალებო, თქვენ ხედავთ. განთავისუფლებულ ქალთა ზეიშს, მაგრამ მარტო იმაში არ არის საქმე, რომ თქვენ დღეს გამოხვედით და რამოდენიმე ჩადრი დასწვით. საქმე იმაშია, რომ სახლში დაბრუნების შემდეგ უნდა გადასცეთ თქვენს მეზობლებს, დებს, აჭარელ ქალებს ის, რაც დღეს თქვენ აქ დაადგინეთ.

აქ არის ამხ. ფ. მახარაძე საქართველოდან, აგრეთვე წარმომადგენლები არიან აზერბეიჯანიდან, ახალციხიდან და სხვადასხვა კუთხეებიდან. ჩვენი აქარისტანი არის პატარა. საბჭოთა კავშირში არის რამოდენიმე მილიონი მუსულმანი. ამ მუსულმანთა შორის ქალები ჩადრს აღარ ატარებენ.

საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ დღეს ჩვენ აქ ერთი ესთქვათ სიტყვით. ხოლო გულთ: საერთოდ, დამონებული ვიყით. საქმე იმაშია რომ ყველა ჩვენი ნათქვამი ცხოვრებაში გავატაროთ.

ჩადრი არის მონობის ნიშანი, მედრესე ფეხქვეშ უნდა გავქელოთ. ქალებო, დებო, თქვენ არ გქონდათ გასაქანი; პირი აჭრული გქონდათ, სინათლე თქვენთვის დახშული იყო. აქ უნდა გამოხვიდეთ თქვენ, ყველა მაზრის ქალები, და მკაფიოთ უნდა სთქვათ თქვენი აზრი: მედრესე, ჩადრი, ზოჯა, მოლა ჩვენში აღარ უნდა იყოს. ამის ერთმად თქმა სავალდებულოა.

უნდა გამოიცეს დეკრეტი ჩადრის წინააღმდეგ: ყველა ქალმა უნდა მოიხადოს ჩადრი, უნდა შემოვძახოთ ხმამალა: ძირს ჩადრი! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოთ თქვენც (ტაში).

ამხ. ხოზრევანიძე

ამხანაგებო, აქ ამხ. ვარძიელმა მოხსენება გააკეთა საბჭოების გადაჩრევის შესახებ. მან ილაპარაკა ქალთა მონაწილეობის შესახებ საბჭოებში. მს უნდა ესთქვა, რომ, მართალია, დღეს არიან აჭარელი ქალები საბჭოების წევრები, მრავალი თემალმასკომის პლენუმის წევრიცაა. მაგრამ ისინი საბჭოების სექციების სდომებს-ვერ ესწრებიან და ვერ ლებულობენ აქტიურ მონაწილეობას მუშაობაში.

საბჭოების გადაჩრევის შესახებ გვაქვს სათანადო დირექტივა, არჩევნებში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ქალებმა. ქალებო, საბჭოების მუშაობაში არა მარტო მამაკაცებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა, ქალებმაც უნდა გამოიჩინონ თავიანთი ძალა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი დადგენილება მარტო ქალაღდზე არ დარჩება, ქალებიც ჩაებმებიან მუშაობაში, ისინი შეიტანებენ საერთო საქმეში თავიანთ წვლილს, არ დაზოგავენ თავიანთ ენერჯიას.

აქარელმა ქალებმა გულდასმით მოისმინეს ამხანაგ ვარძიელის მოხსენება, ისინი მედგრად მიიღებენ მონაწილეობას საბჭოების გადარჩევაში. ჩვენი დელეგატები, როდესაც დაბრუნდებიან სოფლებში, იქაურ ქალებს გადასცემენ ამ მოხსენების შინაარსს, აუხსნიან თავიანთ ამხანაგებს. თუ როგორ უნდა მიიღონ მათ მონაწილეობა საბჭოთა გადარჩევაში.

დღეს თავდება ჩვენი ყრილობა და უნდა მოვახსენოთ, ხულოს მაზრის ქალებო, ხოჯები და სხვა კუჭისტები, რომლებიც ჩვენი ოფლით საზრდოობენ და ჩვენი გამოზრდილი ქათმებით ძღვებიან, აი, ეს ჩასუქებული ხოჯები გამოდიან და უკვე აცხადებენ, რომ ჩვენ დღემდე ვიყავით მატყუარებიო. მე მაქვს მათი განცხადება ხულოს მაზრიდან, ხეალ უნდა გადავსცე გაზეთის რედაქციას მათი განცხადებები. მათ შეიგნეს, რომ ჩვენ მატყუარობა აღარ გავცივაო. ეს უნდა შეიგნონ ქალებმაც.

ძირს ჩადრი, ძველი მონობის ნაშთი! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას! (ტაში).

თავმჯდომარე

ამხანაგებო, საქმე იმაშია, რომ ჩვენ გვაქვს ბევრი განცხადება სიტყვის მიცემის შესახებ, მაგრამ, როგორც სჩანს, უმეტესობა თითქმის ერთსა და იმავე აზრს ატარებს თავის სიტყვებში, ამისათვის ჩვენ მიზანშეწონილად ვსთვლით კამათი შეწყდეს და გადავიდეთ იმ დადგენილებათა წაკითხვაზე, რომელიც უნდა გამოიტანოს ჩვენმა ყრილობამ. ასე უმჯობესი იქნება. ესლა უკვე მეტჯერ საათი დაიწყო. დაახლოვებით ნახევარი საათი მოგვიწევს რეზოლუციების მიღებისათვის. შემდეგ ალბათ იქნება წარმოდგენა.

თუ ვინმე წინააღმდეგი არ არის, კამათი შეწყვეტილ იქნეს (ხმები:— შესწყდეს). წინააღმდეგი არააინ არის, კამათი შეწყვეტილია. (ყრილობა ისმენს რამოდენიმე მისასალმებელ დეპუტატს*), რის შემდეგაც გაკეთებულ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება.

სამანდატო კომისიის მოხსენება

ამხ. თალაკვაძე

ამხანაგებო, სამანდატო კომისიამ გამოარკვია, რომ ყრილობაზე უნდა გამოცხადებულიყო გადამწყვეტი ხმის უფლებით 430 დელეგატი, ხოლო გამოცხადდა გაცილებით უფრო მეტი—447. ამ რიცხვში არ შედიან ის უპარელი ქალები, რომლებიც ყრილობას დაესწრნენ თავის სურვილით.

*) მისასალმებელი დეპუტატი იხილეთ წიგნის უკანასკნელ გვერდზე, სათაურით: „მისასალმებანი ყრილობას“.

ამიტომ ჩადრახდილ ქალთა რიცხვი გაცილებით უფრო მეტი იყო ყრილობაზე, ვიდრე ეს მანდატების გასინჯვიდან სჩანს.

ყრილობის ეროვნული შემადგენლობა ასეთ სურათს იძლევა: აჭარლები—388 (86,8 პროც.), თურქები—49 (10,9 პროც.), აფხაზები—10 (2,3 პროც.).

საინტერესოა ყრილობის შემადგენლობა წლოვანობის მიხედვით. ყრილობაზე დამსწრე ქალთაგან უმეტესობა იყო 18—30 წლის. ასეთების რიცხვი ყრილობაზე უდრიდა — 251 (56,2 პროც.), 30—50 წლამდე—104 (23,2 პროც.), და 50—70 წლამდე—92 (20,6 პროც.).

მთელ ყრილობიდან მცირე ცოდნის მქონე აღმოჩნდა — 78, ესე იგი 17,8 პროც., წერა-კითხვის უცოდინარი—369, ესე იგი — 82,6 პროც.

ოჯახური მდგომარეობის მხრივ: გათხოვილი—383 (85,7 პროც.), გაუთხოვარი—64 (14,3 პროც.).

ყრილობის დელეგატებიდან 148 ქალი (33 პროც.) ჩაბმულია საზოგადოებრივ საქმიანობაში (საბჭოს წევრები, დელეგატები და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ დელეგატებიდან პირველად ბათუმში ჩამოსული აღმოჩნდა 252. ესე იგი 56,4 პროც. ბათუმში უკვე ჩადრახდილი ჩამოვიდა 365 დელეგატი ქალი, ესე იგი 79,5 პროც., ხოლო ჩადრქვეშ—92, ესე იგი 20,5 პროც., ბათომიდან კი ყველა ჩადრახდილები ბრუნდება სახლში.

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვა

ამხანაგებო! ჩვენმა ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. რა მოგვცა ყრილობამ, ესე იგი რა მისცა ყრილობამ იმით. ვისთვისაც იგი იყო მოწვეული? ყრილობამ სთქვა თავისი ისტორიული სიტყვა. გარკვევით გამოთქმული, ყველა დამსწრე, როგორც ქალების, ისე მამაკაცების მოთხოვნა, რომ გამოცემული იქნეს დეკრეტი ჩადრის ტარების წინააღმდეგ. ამ დადგენილებას. ამ წინადადებას უსათუოდ გაუწევზე სათანადო ანგარიშს. ჩვენი ყრილობა ჩადრის წინააღმდეგ გამოსვლით დავიწყეთ, როგორც დავიწყეთ, ასევე უნდა დავამთავროთ ჩვენი მუშაობა.

ამ ყრილობას ექნება უდიდესი მნიშვნელობა. მე, რა თქმა უნდა, აქ არ შემიძლია ვაგაშუქო ყველა შედეგები. რაც უნდა მოყვეს თქვენს ყრილობას. მაგრამ მართო ის ფაქტი, რომ აქ შეიკრება ჩამორჩენილ ქალთა მასების წარმომადგენლები, უკვე დიდი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს. აქ თქვენ, მოსულნი სხვადასხვა კუთხეებიდან, გაეცანით თქვენს ტოლ-ამხანაგებს, გაიგეთ მათი ჭირ-ვარაში. აქ ბევრი რამ ითქვა თქვენთვის საგულისხმო. თქვენ შესაძლებლობა გქონდათ მოგესმინათ ის, თუ როგორ ატყუილებდნენ ხოჯები და მოლები მშრომელ დედაკაცებს, თუ როგორ სასაცილოთ იყდებდნენ ისინი მათ და, ბოლოს, რა საშინელი შედეგი მოყ-

კება ხოლმე მათ სიტყუეს, თქვენ მოისმინეთ აქ ერთი ხოჯის განცხადება, რომელიც აქამდე თვითონაც აწარმოებდა ასეთ სამარცხვინო საქმეს. დიდი უმეტესობა აქ დამსწრეებისა პირველად ხედავს აჭარისტანის დედა-ქალაქს ბათუმს, პირველად ხედავს იმ დაწესებულებებს, ქარხნებს, ფაბრიკებს, სადაც იქედება ახალი ცხოვრება. თქვენ ყოველივე ამას მოკლებული იყავით.

დღეს თქვენ უკვე რამოდენიმეთ მაინც გაეცანით და დაინახეთ თქვენი ძეგლით, თუ რა ხდება ქვეყანაზე. ამხანაგებო, ნურავინ მოიტყუილებს თავს, ნურავინ იფიქრებს, რომ ამით გათავდა ყველგვარი: შეიძლება დღეს აქაც ბევრი აჭარელი ქალი კიდევ ჩადრში იყოს გახვეული. ჩვენ დღეს ქუჩაში ბევრი ენახეთ ასეთი ქალები. მერე რას ამბობენ ისინი? რასაკვირველია, არა ისინი, ვინც აქ არიან, არამედ თქვენი ამხანაგები, რომლებიც ჯერ კიდევ გარეთ დარჩნენ. ისინი ფიქრობენ, რომ აჭარელი და თურქი ქალები უთუოდ განსხვავებულ ცხოვრებას უნდა ეწეოდნენ, ვიდრე სხვა რომელიმე ერის ქალიო. გარდა ამისა, ჩვენ კარვად გვაქვს წარმოდგენილი ისიც, რომ მამაკაცები, თქვენი ქმრები, ძმები და მამები ჯერ კიდევ სავე-ბით არ არიან დარწმუნებული იმაში. რომ ჩადრის ტარება და სხვა ასეთები უნამუსო ადათების შესრულება არის, რომ იგი ეწინააღმდეგება თანამედროვე ცხოვრებას. მათ გონიათ, რომ შესაძლებელია განაგრძონ კიდევ ჩადრის ტარება. რა თქმა უნდა, ასეთი შეხედულება შეცდომა არის. მათში იქნებიან უეჭველათ ისეთები, რომლებიც ბოროტი განზრახვით დაიწყებენ და აიძულებენ თავიანთ ცოლებს, დებს, რომ ჩადრი ატარონ. რა თქმა უნდა, არის მთელი რიგი სიძინელებისა ჩადრის მოსპობის საქმეში. ამ სხდომაზე ჩვენ თქვენთან ერთად ერთხელ კიდევ უნდა მოვაგონოთ იმ ამხანაგებს, იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც მუშაობენ მანრებში, თემებში და სოფლებში, თუ რა არის საქირო მათი მუშაობისათვის.

რა ზომებს უნდა მიმართონ მათ? ერთხელ კიდევ უნდა ვსთქვათ, რომ ჩადრის ტარების მოსპობა ჩვენში უნდა მოხდეს ხალხიდან, ძირიდან, მათი რწმენით, მათი დაჯერების საშუალებით, ამისათვის არავითარ ძალდატანებას არ უნდა ქონდეს ადგილი.

რა დაგვიმტკიცა ამ ყრილობამ? დაგვიმტკიცა ის, რომ პირველად გამოსული ქალები თითქმის ვერ აღებდნენ პირს, ვერ ბედავდნენ სიტყვის თქმას. თუ შევადარებთ გუშინდელ და დღევანდელ სხდომას, თქვენ დაინახავთ რა განსხვავება მოხდა. გუშინ ქალები, განსაკუთრებით აჭარელი, ქალები, ვერ ახერხებდნენ სიტყვის თქმას, ეშინოდათ. ან ამბობდნენ ისეთი ხმით, რომ შეუძლებელი იყო მოსმენა. მაგრამ დღეს სურათი შეიცვალა.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ქალთა თვითმოქმედების ამოძრავებამში ამ ყრილობას ექნება უდიდესი მნიშვნელობა. აქ გამოვიდნენ ქალები და ამბობდნენ, თუ კი სხვა ერის ქალებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა საქმეებში, რატომ აჭარელ ქალებს არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღებაო.

რა თქმა უნდა, ყველა ჩვენთაგანი ასეთ საკითხს აყენებს. ჩვენთვის ნათელია, რომ აჭარელ ქალს ისევე შეუძლია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, როგორც სხვა ეროვნების ქალს. მე კი უფრო მეტს ვიტყვოდი, ჩვენ გვაქვს მავალითები, როცა აჭარელი ახალგაზრდები. როგორც ქალები, ისე კაცები იჩენენ შესანიშნავ ნიჭს, როგორც სწავლაში, ისე მუშაობაში.

აი, ამხანაგებო, რაზედაც უნდა მიმექცია თქვენი ყურადღება. დღევანდელ ყრილობას, როგორც მოგეხსენებათ, დიდი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა აღმშენებლობისათვის, სოციალიზმის აღმშენებლობისათვის. შეიძლება ზოგიერთებს ეგონათ, რომ სოციალისტურ აღმშენებლობაში აჭარელი ქალი ვერ მიიღებდეს მონაწილეობას. ეს არ არის მართალი, მე დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი ყრილობა უყრის საფუძველს ახალ ცხოვრებას. ეს არის ახალი ჩქეფი, რომელიც შევა ჩვენს სოციალისტურ აღმშენებლობაში.

მე თქვენ მოგმართავთ, რომ დაიმახსოვროთ ყველა ის, რაც გაიგონეთ ამ ყრილობაზე. მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენ შევდექით ახალ გზაზე, ამ ახალ გზას არ უნდა გადაუხვიოთ, თქვენთან არიან მუშები—მამაკაცები, თქვენთან იქნება საბჭოთა ხელისუფლება, თქვენთან იქნება კომუნისტური პარტია, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაგებმარებათ, რომ ის დაბრკოლებები დასძლიოთ. რომელიც ჩვენ გზას გვიხუთავს.

მე ვაცხადებ თქვენთან ერთად: გაუმარჯოს აჭარელ და თურქ-ქალთა პირველ ყრილობას! გაუმარჯოს აჭარისტანს და თურქ ქალის განთავისუფლებას და საერთოდ აღმოსავლეთის ქალის გამოფხიზლებას და განთავისუფლებას ყოველ მონობის ნაშთებისაგან! (მხურვალე ტაში).

ხმები ადგილიდან: გაუმარჯოს ჩადროს კანონის გამოცემას! გაუმარჯოს ჩვენს ქალთა ფილიპე მახარაძეს! გაუმარჯოს ვარო ჯაფარიძეს! გაუმარჯოს ალიკო ფანცხავას!

(მხურვალე ტაში, ინტერნაციონალი).

ყრილობა დაიხურა საღამოს 9 საათზე.

ყრილობის დაბენილება

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გარშემო

მოვისმინეთ რა ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ, სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ-ქალთა პირველი ყრილობა აღნიშნავს საბჭოთა კავშირის მდგომარეობის განმტკიცებას და იწონებს საბჭოთა კავშირის მშვიდობიან პოლიტიკას, როგორც აუცილებელ პირობას სოციალისტური აღმშენებლობის განვითარება - გაღრმავებისათვის. ამავე დროს ყრილობა აღნიშნავს, რომ იმპერიალისტური მტაცებლების მხრით შექმნილია თავდასხმის საშიშროება მთელ ქვეყანაში ერთად-ერთ საბჭოთა სახელმწიფოზე, რომელსაც მადლად უჭირავს ყველა ქვეყნების მშრომელთა განთავსულების დროშა. ამიტომ ყრილობას საქაროდ მიაჩნია კიდევ უფრო განმტკიცება რევოლიუციონური წითელი არმიისა, რომელიც არის ოქტომბრის რევოლიუციის და მუშათა და გლეხთა მშვიდობიან შემოქმედებითი შრომის ერთგული დარაჯი.

ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დიად მიღწევებს მუშათა და გლეხთა ახალი ცხოვრების მოწყობის საქმეში, როგორიცაა: ომის დროს დაზარებულ მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის აღდგენა. და საერთოდ მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე წარმატება, გადამჭრელ ღონისძიებების გატარება თავდა-აზნაურების, ბეგების და ხანების მიმართ და მათთვის მიწების ჩამორთმევა და მშრომელ გლეხობაზე გადაცემა. კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის გაფართოება, საგზაო და სასკოლო აღმშენებლობის ზრდა, საექიმო პუნქტების დაარსება და საავადმყოფოების გახსნა, რეალური ნაბიჯების გადადგმა აჭარელ და თურქ-ქალთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან გასანთავისუფლებლად, ბოძოლა ძველი ადათების წინააღმდეგ (ჩადრი, მედრესე, მექთებე), საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება, ღონისძიებები მუშათა და გლეხთა მასების კულტურულ-ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, — ყველაფერი ეს არის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების შემოქმედებითი ღონისძიების რეალური შედეგი.

დიდი ისტორიულ მნიშვნელობის ფაქტი — სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ-ქალთა ყრილობის მოწვევა არის საბჭოთა ხელისუფ-

ლების რეალური ნაბიჯი აღმოსავლეთის მშრომელ-ქალთა განთავისუფლების საქმეში, რასაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს აჭარელ და თურქ ქალთა საბოლოო განთავისუფლება და მათი ჩაბმა მუშათა და გლეხთა შუქოქმედებითი შრომაში.

თანამად აჭარელ და თურქ-ქალთა სურვილისა, რომ სამუდამოთ მოიშორონ მონრობის ნიშანი—ჩადრი—და იმ მიზნით, რომ აღმოთვევილი იქნას ქალის ადამიანურ ღირსების დამამცირებელი ჩვეულება: ეთხოვოს სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას მიიღოს დადგენილებები სათანადო კანონმდებლობითი აქტების გამოცემის შესახებ, რითაც აკრძალული იქნება ჩადრის ტარება და სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემული ის პირები, რომლებიც ამა თუ იმ სახით ხელს შეუშლიან ამ კანონის ფაქტიურად ცხოვრებაში გატარებას. ამავე დროს ეთხოვოს აჭარისტანის საბჭოთა ყრილობას მიიღოს გადაწყვეტი ღონისძიებები ძველი ყოფაცხოვრების ნაშთების და ამ ნიადაგზე აღმოცენებულ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია საბჭოთა მოქალაქის უფლებისა და ღირსების შელახვისაკენ.

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელ მასების ბრძოლას სოციალიზმისათვის!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას!
გაუმარჯოს აჭარელ და თურქ-ქალთა მშრომელ მასებს!

ამხ. ვ. ჯაფარიძის მოხსენების გარშემო

მოვისმინეთ რა ამხ. ვარო ჯაფარიძის და ამხ. ფანცხავას მოხსენება საქართველოში ქალის მდგომარეობის და ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთებთან და მათთან ბრძოლის შესახებ. აჭარელ და თურქ-ქალთა პირველი ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გვაქვს დიდი მიღწევები, სოციალისტურ აღმშენებლობაში მშრომელ ქალების ჩაბმისა და აგრეთვე მათი დაწინაურების მხრივ სახელმძღვანელო პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და საერთო საზოგადოებრივ წარმოება - დაწესებულებებში.

ამასთან ერთად ყრილობა აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას აქვს ყველაზე მოწინავე კანონმდებლობა, რომელიც ქალს თავისებით ათანასწორებს მამაკაცთან, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას მიღებული აქვს მთელი რიგი ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა განთავისუფლების საქმეს, — საქართველოს ზოგიერთ ყუბაქებში — ბორჩალოში, ახალციხე - ახალქალაქში და კერძოდ აჭარისტანშიაც მშრომელი ქალი მოსახლეობის პოლიტიკურ-კულტურულ და ეკონომიურ ჩამორჩენილობის გამო მოკლებულია საშუალებას მთლიანად გამოიყენოს ოქტომბრის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებები და ოჯახშიც იმყოფება დამონებულ მდგომარეობაში.

მთავარი ხელის შეშლელი მიზეზი ქალთა ფაქტიურად განთავისუფლების საქმეში არის მოსახლეობის შორის დარჩენილი რელიგიური და

ნონობის დროის ყოფა-ცხოვრებითი ნაშთები, მიმართული საერთოდ მთელი მოსახლეობის და, განსაკუთრებით, ქალის მიმართ, რაც გამოიხატება პრაველკოლიანობაში, ჩადრის ტარებაში, მცირეწლოვანთა გათხოვებაში, ექიმბაშობაში, რელიგიურ ხასიათის დღესასწაულების გატარებაში, ყმა-წყილების და განსაკუთრებით გოგონების სკოლებში არაუგზავნაში, მედროესების მავნე აღმზრდელობითი მუშაობაში, ქალების მოტაკებაში და სხვა.

ამ პირობებში შრომელი ქალი ჯერ კიდევ უცოდინარი და უკულტურო უფრო ადვილათ ვარდება კლასობრივ მტრების გავლენის ქვეშ, როგორც არიან: ბეგები, კულაკები, ხოჯები, ხანები, მოლები, ექიმბაშები. ამ პირობებში ქალი ხდება ცრუმორჩუმუნეთა ბრმა იარაღად ანტი-საბჭოთა ელემენტების ხელში.

ზემოაღნიშნულ ბნელ ელემენტებისა და ყოფა-ცხოვრების მავნე ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი აღმოფხვრისათვის, სრულიად საქარეველოს აჭარელ და თურქ-ქალთა პირველი ყრილობა, ესალმება რა ის აჭარისტანის ცაკის და სახკომსაბჭოს გაბედულ პოლიტიკას აჭარისტანში მედრესე - მექთებეების დახურვის და საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების საქმეში, საჭიროთა სცნობს სკოლების ქსელის გაფართოებას სხვა ჩამორჩენილ კუთხეებშიაც, ენერგიულ მუშაობის ჩატარებას მოზრდილთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, ბავშთა ბავების, ბაღების და მოედნების, სამშობიარო სახლების, დედათა და ბავშთა კონსულტაციების, გლეხ-ქალთა კუთხეების და სხვ. კულტ.-განმანათლებელ დაწესებულებების მოწყობას, რისთვისაც ყრილობას საჭიროთა მიზნია სათანადო საბჭოთა სახელმწიფოებრივ (განსაკრამი, ჯანსაჩკომი და სხვ.) კოოპერატიულ და სხვ. საზოგადოებების შეთანხმებული და ენერგიული ღონისძიებების მიღება.

განსაკუთრებულ ყურადღებას ყრილობა აქცევს აგრეთვე აჭარელ და თურქ-ქალთა ჩაბმას მრეწველობაში, მათგან კვალიფიციურ მუშახელის მომზადებას. მათ პოლიტიკურ ღონის აწყევას, სოფლად კოლექტიურ მეურნეობებში გასაერთიანებლად და მიწის გაუმჯობესებულ საშუალებებით დასამუშავებლად, რათა აჭარელი და თურქი ქალებიც შეიქმნენ ნამდვილი მონაწილე ჩვენი სოციალისტურ აღმშენებლობის ყველა დარგებისა.

ბრძოლა რელიგიურ - ყოფა-ცხოვრების ნაშთების და მათ მატარებლების წინააღმდეგ ქალთა ფაქტიურ განთავისუფლებისათვის არის კლასობრივი ბრძოლის ნაწილი.

აჭარელ და თურქ-ქალთა პირველი ყრილობა მოითხოვს საქარეველოს და აჭარისტანის ცაკებისა და სათანადო საბჭოთა ყრილობებისაგან, რომ გამოცემული იქნას დეკრეტი ჩადრის ტარების აკრძალვის შესახებ და გაძლიერდეს პასუხისმგებლობა იმათთვის, ვინც დაარღვევს კანონებს მრავალკოლიანობის აკრძალვის, მედრესე - მექთებეების დახურვის, სისხლის აღების, ქალების მოტაკების, მცირეწლოვანთა გათხოვების და ყველაზე უსაშინელეს ჩვეულებებს — ჩადრის ტარების აკრძალვის შესახებ.

გაუმარჯოს ქალთა განთავისუფლებას!

ძირს ჩადრი, მედრესე და ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთები!

გაუმარჯოს ჩადრის ტარების აკრძალვის დეკრეტს!

ამხ. ვარძიელის მოხსენების გარშემო

მოიხმინა რა ამხ. ი. ვარძიელის მოხსენება მშრომელ-ქალთა საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის და საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმის შესახებ, აჭარელ და თურქ-ქალთა პირველი ყრილობა აღნიშნავს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება არის მშრომელი ხალხის ინტერესების გამომხატველი და დამცველი.

საბჭოების საშუალებებით მშრომელი ხალხი პროლეტარიატის და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ანხორციელებს თავის ხელისუფლებას და იმავე დროს აწარმოებს მშრომელი ხალხის ეკონომიური და კულტურული აღორძინების საქმეს. მწლის განმკვლობაში მთელ საქართველოში და, კერძოდ, აჭარისტანში საბჭოთა ხელისუფლებას აქვს მრავალი ისეთი მიღწევები, რომელთაც შესაძინევით წინ წასწივს და გააუმჯობესებს მშრომელი ხალხის ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა. ყრილობა დარწმუნებულია, რომ მშრომელ-ქალთა ფართო მონაწილეობა საბჭოებში უფრო გაუადვილებს საბჭოებს დასახულ ამოცანების შესრულებას.

ერთად-ერთი საშუალება, რომელიც სამუდამოთ გაანთავისუფლებს მშრომელ ქალს ყოველგვარ მონობისა და დაქვეითებისაგან, არის საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტურ პარტიის გარშემო დარაზმვა:

ყრილობა მოუწოდებს ყველა მშრომელ-ქალს და, კერძოდ, აჭარისტანის გლეხ-ქალებს, მიიღონ მასიური და ცოცხალი მონაწილეობა საბჭოთა მომავალ არჩევნებში, როგორც საარჩევნო კრებებზე დასწრებით, ისე საქმიანი და ნდობით აღჭურვილი გლეხ-ქალების არჩევით საბჭოებში. მშრომელი გლეხ-ქალები მამაკაცებთან ერთად უნდა შეეცადონ კავშირის უფრო განმტკიცებას ქალაქის მუშებსა და ღარიბ და საშუალო გლეხთა შორის, იმისათვის, რომ, შეერთებული ძალებით გააძლიერონ საბჭოების მუშაობა და გაუწიონ სასტიკი ბრძოლა კულაკებს, ვაჭრებს, მეფანშეებს, სამღვდლეობას, მოღლებს და ხოჯებს, რომლებიც მშრომელი ხალხის შტრები და შეეცდებიან გააძვრენ საბჭოებში ან შეუშალონ ხელი საბჭოების არჩევნებს. ყრილობა სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალი საბჭოები, როგორც მთელს საქართველოში, ისე კერძოდ, აჭარისტანში მშრომელი ხალხის დახმარებით პირნათლად გაატარებენ ხელისუფლების და კომუნისტურ პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებებს, კერძოდ კი, შეუწყველად განაგრძობენ აჭარელ და თურქ-ქალთა ჩამორჩენილ და დამამცირებელ ზნე-ჩვეულებებისაგან განთავისუფლებას, რითაც ფართოდ გაუშლიან მათ გზას სოციალისტურ აღმშენებლობაში საერთო შემოქმედებითი მონაწილეობისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და პროლეტარიატის დიქტატურას!

გაუმარჯოს საბჭოების შემოქმედებითი მუშაობას და საბჭოების მომავალ არჩევნებს!

გაუმარჯოს მშრომელ ქალის თავისუფალ მონაწილეობას საბჭოებში და აღმშენებლობაში!

გაუმარჯოს საბჭოების ხელმძღვანელს — კომუნისტურ პარტიას!

საბჭოთა რესპუბლიკების ყველა მურომელთ

აქარელ და თურქ-ქალთა პირველი ყრილო- ბის მიმართვა

8 თებერვალს, 1929 წელს. ბათომში შეიკრიბა სრულიად საქართველოს აქარელ და თურქ-ქალთა პირველი ყრილობა. ამით გადაიღვა პირველი დიდი ნაბიჯი აქარელ და თურქ-ქალთა რელიგიურ და ძველ დახვეწებულ ყოფა-ცხოვრებისაგან განთავისუფლების გზაზე.

ასეთი გადაწყვეტი ნაბიჯის გადადგმა აქარელ და თურქ-ქალთა შესძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით. მეფისა და შემდეგ მენშევიკების ხელისუფლება არაჩც თუ დაინტერესებული არ იყო აქარელ და თურქ-ქალთა განთავისუფლებით, არამედ ის ხელს უწყობდა მშრომელი ხალხის და, განსაკუთრებით, ქალის სხვადასხვა სახით დამონაგებასა და დაჩაგრვას.

ჩვენ, აქარელ და თურქ-ქალთა წარმომადგენლებმა ვიმსჯელებთ რა სხვადასხვა საკითხებზე, განსაკუთრებით მშრომელ-ქალის დამამცირებელ ჩვეულებების — ჩადრის ტარების შესახებ. გადავწყვიტეთ ჩვენის ნებლით სამუდამოთ მოვიშოროთ თავიდან მონობის ეს სამარცხვინო ნაწილი, და საჯაროდ მივეცით ის ცეცხლს. ჩვენ მოუწოდებთ ყველა დღემდე ჩადრში მყოფ ქალებს, მიბაძონ ჩვენს მაგალითს და სამუდამოთ დაგმონ აღამიანის ღირსების დამამცირებელი ჩვეულება.

ამასთანავე ჩვენ ვაცხადებთ, რომ მარტო ჩადრის ახლით არ განისაზღვრება ბრძოლა ყველა იმ უკულტურობის, რელიგიური და ძველ ჩამორჩენილი ყოფა-ცხოვრებითი ჩვეულებების წინააღმდეგ, (მრავალსოლიანიზმი, ქალის ყიდვა-გაყიდვა, მცირეწლოვანთა გათხოვება და სხვა), რომლითაც დღესაც შემოჭილია აღმოსავლეთის მშრომელი ქალი.

ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა ხელისუფლებისაგან, რათა გამოცემული იქნას კანონი (დეკრეტი) ჩადრის ტარების აკრძალვის შესახებ და სასტიკ პასუხისმგებში იქნან მიცემული ჩვენი კლასობრივი მტრები: კულაკები, ზოჯები, მოღვები და ყველა ის პირები, რომლებიც რაიმე სახით ხელს შეუწყობენ მშრომელი ქალის მონობის ნაშთებიდან განმანთავისუფლებელ კანონების ცხოვრებაში გატარებას. ჩვენ მივმარტავთ ყველა მშრომელთ, მუშებსა და გლეხებს, რათა ამ დიად ბრძოლაში გავევიწიონ დახმარება.

რება ჩვენი კულტურული, ნივთიერი და პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, რომ ამით განთავისუფლებულ მშრომელ ქალს მიეცეს შესაძლებლობა სხვა მშრომელებთან ერთად მიიღოს აქტიური მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის დიად სოციალისტურ აღმშენებლობის ყოველი სახის შემოქმედებითი მუშაობაში და მით ხელი შეუწყოს სხვა ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლებას კაპიტალისტურ და ფეოდალურ მონობის უღლიდან.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატს და აღმოსავლეთის ჩაგრულთა ბელადს — კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების სოციალისტურ აღმშენებლობის უშუალო ხელმძღვანელს—სრულიად საკავშირო კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მშრომელ მასების შემოქმედებით მუშაობას სოციალისტურ აღმშენებლობაში!

გაუმარჯოს ქალის თანასწორობისათვის აქტიურ მონაწილეობას საბჭოთა აღმშენებლობაში და დიად რევოლუციონერ ბრძოლაში!

სრულიად საქ. აზარელ და თურქ-ქალთა პირველი ყრილობა.

მისალმებანი ყრილობას

ამიერ-კავკასიის ცაკისაგან

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელებთან ერთად გიძღვნის თქვენ მხურვალე სალამს წარსულის წყეულ მემკვიდრეობის — ჩადართან ბრძოლის დიად საქმეში. ბურჟუაზიას და ბეგებს საუკუნოებით დამონავებული ჰყავდათ აღმოსავლეთის ქალი — აქარელი და თურქი ქალი.

აღმოსავლეთის მშრომელი ქალები გაბატონებულ კლასებს საუკუნოებით ჰყავდათ შებოქილი გონებრივად. დღეს დადგა ამ უმსგავსეობის აღსასრული. აქარელი და თურქი ქალი თამამად სწყევტს კავშირს წარსულის ნაშთებთან. გაბედულად იხდის ჩადარს და მოუწოდებს აღმოსავლეთის ყველა ქალებს, რომ მიჰბაძონ მათ მაგალითს.

ძირს ჩადრი — ქალის დამონავების სიმბოლო. წინ სინათლისა და კულტურისაკენ. წინ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში და ჩვენი საბჭოთა კავშირის დიად სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობისაკენ!

გაუმარჯოს აღმოსავლეთის მშრომელ ქალს!

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე მინა ცხაკაია.

მდივანი იაკუბოვი.

ამხ. მამია ორახელაშვილისაგან

თქვენი ყრილობა ისტორიაში უნახავი მოვლენაა. მუშათა რევოლიუციის მაცოცხლებელი გუგუნე გაისმის დღეს აჭარისტანის მოქალაქეთა ყველაზე უფრო ჩამორჩენილ და დაჩაგრულ ნაწილში.

ჩადრის მოხსნა თქვენი მამაკაცთან გათანასწორების მომასწავებელია.

დღეს ხარობს ყოველი რევოლიუციონერი და პატიოსანი მშრომელი. დღეს დაღვრემილია ყოველი ბურჟუა, ფაშა, ბეგი, მოლა. ჩვენი სიხარული და შათი დამარცხება საბოლოო იქნება, თუ შეუერთდებით მუშათა რევოლიუციას და თქვენს მდიდარ ნიჭს და გრძნობას ლენინის დიად საქმეს შესწირავთ.

სალამი პირახდილ და მოცინარე აქარელ მშრომელ ქალს!

გაუმარჯოს მას საერთო მუშურ რევოლიუციაში!

მამია ორახელაშვილი.

საქართველოს კომკავშირის ცეკასაგან

საქართველოს ოთხმოცათასიან მოწინავე ახალგაზრდობის სახელით გიძღვნით მხურვალე ლენინურ სალამს. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ თქვენი ყრილობა კომპარტიის ხელშეძღვანელობით გადასწყვეტს დიდ ისტორიულ ამოცანას, გაანთავისუფლებს აჭარელ და თურქ-ქალებს წარსულ უუფლებო ბნელ, მონურ მემკვიდრეობისაგან, ჩადრისა და პირსაღუარისაგან და ყოფა-ცხოვრებით დაბეჩავებისაგან, რათა ათასობით მშრომელ ქალებს ამით საშუალება მიეცეს შეუერთდნენ მშრომელთა მილიონიან საერთო ოჯახს — სოციალისტურ ქვეყნის აქტიურ მშენებლობას.

ჩვენი მხრივ გარწმუნებთ, რომ როგორც აქამდის, ისე მომავალშიაც ვიქნებით აქტიური მეზობლნი მშრომელ-ქალთა განთავისუფლების საქმეში და პირველი თქვენი საუკეთესო თანაშემწე სოციალისტურ ყოფა-ცხოვრების შექმნისათვის.

გახსოვდეთ, რომ თქვენს მიერ დასახულ დიდ ამოცანის შესრულებით-სათვის თქვენთან არიან ათეული ათასობით სოციალიზმისათვის მეზობლნი ახალგაზრდები.

საშ. ა. ლ. კ. ცენზრალური კომიტეტი.

ერევნის მაზრის მშრომელ ქალებისაგან

ერევნის მაზრის მუშა და გლეხი ქალები მხურვალე სალამს უძღვნიან აჭარელ და თურქ-ქალთა ყრილობას. მიმდინარე მომენტი მოითხოვს მუშა და გლეხ-ქალებისაგან, ყველა მშრომელისაგან მეტ ენერჯიულ მუშაობას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და სოფელსა და ქალაქს შორის კავშირის განმტკიცების საქმეში.

მშრომელი ქალის აქტიური მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში ერთ-ერთი მთავარი პირობაა მუშაობის წარმატებისათვის. ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთები — ჩადრი—მონობის სიმბოლო და სხვა საშუალებას არ აძლევდა აჭარელ და თურქ ქალს აქტიურად მიეღო მონაწილეობა საერთო საზოგადოებრივ საქმიანობაში. ჩადრის საწინააღმდეგო ბრძოლა წარმატებით დაიწყეს ამიერ-კავკასიაში. თქვენი ყრილობა საფუძველს ჩაუყარს აჭარელ და თურქ ქალის აქტიურ, დაუტყრომელ მუშაობას სოციალისტურ სამშობლოს შემდეგი განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. თქვენი ყრილობა ჩატარდება მთავარი ლოზუნგით: „ძირს ჩადრი!“.

ვუსურვებთ ყრილობას წარმატებას.

გაუმარჯოს მშრომელი ქალის განმანთავისუფლებელ კომპარტიას!

გაუმარჯოს ხალხთა სოლიდარობას! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას! გაუმარჯოს ჩადრახდილ თავისუფალ აჭარელ და თურქ ქალს!

სომხეთის კომპარტიის ერევნის კომიტეტის მუშა და გლეხ-ქალთა

განუ. გაგე მკ. ხეიშვიანი.

აფხაზეთის მშრომელ ქალებისაგან

აფხაზეთის მშრომელ ქალთა-სახელით გიძღვნიტ მხურვალე საღამს აჭარელ და თურქ-ქალთა საუკეთესო წარმომადგენლებს. თქვენთან ერთად მზად ვართ განვაძტიკიცოთ მშრომელთა სოლიდარობა და ქალთა ფაქტიური განთავისუფლება!

**აფხაზეთის საოღმომ კარტომის მუზა და გღმე-ქალთა
განმომვიღვა.**

ამიერ-კავკასიის კომუნისტისტიკის სტიღენტიებისაგან

რეა თებერვალი დიდმნიღმენლოვანი ისტორიული ფაქტია აჭარელ და თურქ-ქალთა ცხოვრებაში. ვუსტირებთ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას ფეოდალურ ხანის სამარცხვინო ნაშთებისაგან განთავისუფლების საქმეში.

ძირს ჩადრი.—ძველი ყოფა-ცხოვრების სამარცხვინო ნაშთი!

გაუმარჯოს აჭარელ და თურქ-ქალთა აქტიურ მონაწილეობას სოციალისტიურ მშენებლობაში!

გაუმარჯოს კულტიურულ რევოლიუციას და თქვენს შემდგომ საქმიანობას ლენინიზმის გზით!

ამიერ-კავკასიის კომუნისტიური უნივერსიტეტის სტიღენტები:

გამყრილიძე, ხალვაში, გასილაძე.

ყრილობის მისალმებანი

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას

სახელოვან ბოლშევიკურ გვარდიის შტაბს—საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მხურვალე საღამო სრულიად საქართველოს აქარელ და თურქქალთა პირველ ყრილობისაგან. ჩვენ, ილიჩის აღთქმათა ერთგულნი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შევდივართ კიდევ ერთ ისტორიულ ეტაპში აღმოსავლეთის მშრომელ-ქალთა ფაქტიურად განთავისუფლების გზაზე.

ვიმედოვნებთ, რომ სრულიად საქართველოს ჩადრახდილ აქარელ და თურქქალთა პირველი ყრილობა იქნება აღმოსავლეთის მშრომელ-ქალთა მასის ჩვენს სოციალისტურ აღმშენებლობაში აქტიურად ჩაბმის საწინდარი. წინ სახელოვან საკავშირო ბოლშევიკურ ცეკას მტკიცე ხელმძღვანელობით ახალ გამარჯვებისაკენ კულტურული რევოლუციისა და სოციალისტურ აღმშენებლობის ფრონტზე!

საკავშირო ცაკს

მხურვალე საღამო საბჭოთა ხელისუფლების უხენაეს ორგანოს—საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს სრულიად საქართველოს ჩადრახდილ აქარელ და თურქქალთა პირველ ყრილობისაგან. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება არის ერთად ერთი ხელისუფლება, რომელმაც ქვა ქვაზე არ დასტოვა ძველი—ქალთა დამმონაგებელი კანონებისაგან.

ჩვენ, აქ, თავმოყრილნი, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ აქარელ და თურქქალთა ძველი, საშუალო საუკუნოების ყოფა-ცხოვრების ნაშთებისაგან განთავისუფლების საქმე, მოვითხოვთ სრულიად საკავშირო ცაკისაგან საუბრებო დეკრეტის გამოცემას ჩადრის—მონობისა და ჩაგვრის ამ ნაშთის აკრძალვის შესახებ.

ძირს ჩადრი! გაუმარჯოს აღმოსავლეთის განთავისუფლებულ მშრომელ ქალს!

საკავშირო კომპარტიის : მიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს

მხურვალე საღამო საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ-ქალთა პირველი ყრილობისაგან.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ მტკიცე ნაბიჯი გადავდგით აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა ფაქტიურ განთავისუფლების გზაზე. დარწმუნებული ვართ, რომ ყრილობა იქნება აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმის დასაწყისი. ჩვენ კივლით წინ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტურ აღმშენებლობის და კულტურულ რევოლუციის ფრონტებზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს

სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ-ქალთა პირველი ყრილობა უძღვნის მხურვალე საღამოს თავის უშუალო ხელმძღვანელს საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მხოლოდ საქართველოს კომპარტიის ცეკას მტკიცე ხელმძღვანელობით შეგვიძლია გამარჯვებით დავებოლოთ ბრძოლა საშუალო საუკუნოების ყოფა-ცხოვრების ნაშთების წინააღმდეგ. აჭარელი და თურქი ქალი განთავისუფლებული იქნება ამ ნაშთების სულის შემწუთველ გავლინისაგან. ამის თავდებია ჩვენი დღევანდელი ყრილობა.

გაუმბარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს!

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას

საბჭოთა საქართველოს აჭარელი და თურქი ქალები, რომლებიც შეიკრიბნენ პირველ ყრილობაზე, უძღვნიან ძმურ საღამოს აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და აზერბეიჯანის ყველა მშრომელ ქალებს.

აჭარელ და თურქ-ქალთა პირველ ყრილობას შეაქვს ახალი სახელოვანი ფურცელი საბჭოთა აღმოსავლეთის ქალთა სრულ განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში. ბრძოლა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სარწმუნოებრივ და ყოფა-ცხოვრების ნაშთებთან საბჭოთა აღმოსავლეთის ყველა ეროვნებებისა, აჭარელ და თურქ მშრომელ ქალთა სრული განთავისუფლებისათვის, იძლევა თავის შედეგებს.

საბჭოთა საქართველოში მცხოვრებმა ათასმა აჭარელმა და თურქ ქალმა შეიგნო ჩადრის ტარების დამოუკველობა, ათას აჭარელმა და თურქ ქალმა აიხადა ჩადრი და ეზიარა საბჭოთა კულტურას.

გაუმარჯოს აზერბეიჯანის კომპარტიას — აღმოსავლეთის ქალთა განთავისუფლებისათვის მებრძოლ ერთ-ერთ მოწინავე რაზმს!

ქალთა საერთაშორისო სეკრეტარიატს

მხურვალე საღამო სრულიად საქართველოს ჩადრახდილ აჭარელ და თურქ ქალთა პირველ ყრილობისაგან. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ყრილობა იქნება შტეტუტრა დაჩაგრულ მშრომელ ქალებისათვის რევოლიუციონურ ბრძოლის გზაზე აღმოსავლეთის განთავისუფლების საქმეში.

მხოლოდ აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა ბრძოლას, დაკავშირებული მთელი მუშათა კლასის ბრძოლასთან. შეუძლია უზრუნველყოს ყველა მშრომელთა ინტერესები და დაასრულოს ნამდვილი განთავისუფლების საქმე.

წინ. კომინტერნის ხელმძღვანელობით მსოფლიო რევოლიუციისაკენ!

ამხ. მამია ორახელაშვილს

საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა პირველი ყრილობა მხურვალე ვესალმებათ თქვენ, ამიერ-კავკასიის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელს.

ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ძირფესვიანად აღმოვფხვრით ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთებს. კომპარტიის უშუალო ხელმძღვანელობით შევძლებთ დაწყებული დიადი საქმის ბოლომდე მიყვანას.

როგორ იწვოდა ჩადრი

(შთაბეჭდილებანი)

აქარელ და თურქ ქალთა პირველ სრულიად საქართველოს ყრილობაზე, როგორც სხვა ჩვენს ყრილობებზეც, იყო კამათი მოსმენილ მოხსენებათა გარშემო. მაგრამ ეს კამათი არ გავდა ჩვეულებრივ კამათს. ყოველი საკითხი, იყო ეს საერთაშორისო მდგომარეობისა თუ სხვა საჭირობოროტო ხასიათის საკითხი, ჩადრით იწყებოდა და ჩადრით თავდებოდა.

კამათში გამოსული ყოველი აქარელი და თურქი ქალი გულს სიღრმედან ამოხეთქილ შეძახილით ათავებდა თავის სიტყვას:

— ძირს ჩადრი!

— გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

ყრილობაზე დამსწრენი მოწმენი შევიქენით იმ მეტად საინტერესო მოვლენისა, რომელსაც ეწოდება საზოგადოებრივ ინსტინქტის გამოღვიძება.

ჩემზე ამ ყრილობამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს აქ მოსულან ჰინოტიურ ძიღნი მყოფნი და საჯაროდ იღვიძებენ ახალ ცხოვრებაში გადასასვლელად.

მეტად ვაუბრე იყო აქარელი ქალის პირველი ნაბიჯები ამ ყრილობაზე. პირველ ხანებში დელეგატები თითქმის ვერც კი ახერხებდნენ ლაპარაკს. ჩადრჩამოფარებულნი ჩუმად ისხდნენ და ვერ ბედავდნენ დამსწრეთათვის თვალის გასწორებას.

შემდეგ თანდათანობით მეტი გამბედაობა დაეტყო მათ. უკვე ხშირად გამოდიან სცენაზე დელეგატები, ზოგი მისალოცად, ზოგი კიდევ თავის აზრის გამოხატვლად. გამოღვიძების პროცესი ყველას მოედო და უკვე პირველივე სხდომის დასასრულისათვის ურწმუნო თომებმაც გაახილეს თვალები.

სცენაზე ნელი ნაბიჯით ამოვიდა წელში მოხრილი მოხუცი ჩადრ-მოხვეული აქარელი ქალი. ის გაუბედავთ დადგა პრეზიდიუმის მაგიდის წინ და ძლივს გასაგონი ხმით მიესალმა ყრილობას. შემდეგ დაავლო ხელი თავის ჩადრს, პრანზმორეულმა დაახეთქა ძირს და შესაძახა:

— ძირს ჩადრი!

— გაუმარჯოს თავისუფლებას!

ამ ამაღლებელმა სურათმა იშვიათი აღტაცება გამოიწვია მთელ დარბაზში. გაისმა მქუხარე ტაში, შეიქნა მხიარული ყვირნი. რამოდენიმე წუთის განმელობაში დარბაზი ზანზარებდა ტაშისცემისაგან.

ჩქარა სცენაზე სწრაფად აირბინა კიდევ რამოდენიმე ჩადრიანმა ქალ-
მა. მათაც დაჰყარეს ჩადრი და ფეხით გასთელეს მონური წარსულის ეს
ნაშთი.

ვილცამ სანავთე მოარბენინა, გადაასხა სცენაზე დაყრილ ჩადრს ნავ-
თი და გაუქნია ასანთი.

აბრაილდა ცეცხლი. სქელ კვამლში გაეხვია დარბაზი. აგუფუნდა ორ-
კესტრი. დღევატი ქალები ფეხზე დგანან და თავდავიწყებით უკრავენ
ტაშს.

8 თებერვალს აქარელი ქალის შეგნებაში შენათა კულტურულმა
რევოლიუციამ. ეს დღე დაუვიწყარი იქნება მარად.

ვინ უშლიდა ხელს აქარელი ქალის გამოფხიზლებას? მისი დაუძინე-
ბელი მტერი იყო მოლა, ხოჯა, მედრესე, მეჭთებე, მოლა იცავდა თავგა-
მოლებით ჩადრს. რადგან ის ერთად ერთი კაცი იყო, რომელსაც შეეძლო
ამ ჩადრის შიგნით ჩახედვა. ისიც, რასაკვირველია, სარგებლობდა ამ უფ-
ლებით, სარგებლობდა მეტად უხეშად, მოუურიდებლად, უსირცხვოდ.

აბა მოუსმინეთ ქობულეთელ ქალს ზეჟია გოგიტიძეს, რომელმაც ამ
სამი წლის წინად მოიხადა ჩადრი.

— მე დიდი ხანია ჩადრი მოვისადე, მაგრამ ხალხში მაინც ვერ ვხნდე-
ბოდი თავისუფლად. ხოჯა მაშინებდა ყურანით და აქეზებდა ჩემს წინა-
აღმდეგ ჩემსავე შეუგნებელ მეზობლებს. მე დამცინოდნენ გარეთაც და
ჩემს საკუთარ ოჯახშიაც. როცა ხოჯასთან დამჭირდებოდა მისვლა, ის ყო-
ველთვის მსუქან ქათმებს მითხოვდა და ხშირად შეურაცყოფას მაყენებდა,
როგორც ქალს. მე ვითმენდი, რადგან დამხმარე არავინ მყავდა. მაგრამ
ესლა აქარელი ქალები გამოფხიზლდნენ. ბოლო ეღება ჩვენი სისხლის
მწოველების—ხოჯების ბატონობას.

დებო და შეილებო! მოიხადეთ ჩადრი, რადგან იგი ამცირებს ჩვენს
ადამიანურ ღირსებას. რატომ არ უნდა გვეკონდეს ჩვენ უფლება სხვა ერის
ქალებსავით თავისუფლად შევხედოთ მზეს და გავერიოთ ხალხში? რითი
ვართ მათზე ნაკლები?

ზეჟია გოგიტიძის სიტყვები ლურსმანივით იჭედებოდა დღევატების
წიგნებაში და არღვევდა იმ უნდობლობისა და ცრუმორწმუნეობის კე-
დელს, რომელიც ჯერ კიდევ იყო დარჩენილი ზოგიერთ მათგანში.

მოკლოდნელად ორატორს ყრილობაზე გამოუჩნდა ძლიერი მოკავ-
შირე. ეს იყო ყოფილი ხოჯა ეუბ გიორგაძე, რომელმაც წინლი ჩასცა
ჩადრს და საბოლოოდ გადანტა ზოგიერთების შიში ყურანის წინაშე.

— მე თურქეთში ვსწავლობდი და კარგათ ვიცო არაბული ენა, რო-
მელზედაც არის დაწერილი ყურანი. როგორც ყოფილ ხოჯას, შირავალ-
ჯერ მაქვს წაკითხული ყურანი და ვიცი, რაც სწერია იქ. ხოჯები თქვენ
უსირცხვილოდ ვატყუებენ, როდესაც ამბობენ, რომ ჩადრის ჩამოხსნა
ცოდვააო. ყურანში ამის შესახებ არაფერი სწერია. ჩადრის მოხსნა არ არის
ცოდვა. ამიტომ მოიხადეთ და ცეცხლს მიეცით იგი, რადგან მისი ტარება
მხოლოდ მოლებისათვისაა სასარგებლო.

ყრილობაზე განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ ხელოს მახრის
დღევატები ხელოს სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის ანხ. რიზა ხოზ-
რეჯანიძის მეთაურობით.

უნდა გენახათ როგორ ეხვეოდნენ ისინი გარს რიზას, როგორის ყუ-
რადლებით უსმენდნენ მას და ასრულებდნენ ყოველ მის და რიგებას. ისინი
ზავშეგებივით დაჰყევბოდნენ მას და სთხოვდნენ რჩევას.

რითი დაიშახურა რიზა ხოზრევანიძემ ასეთი სიყვარული?

პირადი მაგალითით და მეგობრული მოპყრობით ქალებისადმი. საერ-
თოდ ხულოს მახრის მუშაკებმა და, კერძოდ, რიზა ხოზრევანიძემ ღიდი
როლი ითამაშეს ჩადრის ახლის კამპანიის ფართოდ გაშლაში და ამისათ-
ვის ღირსეულათაც იქნენ დაჯილდოვებული:

საქ. კ. პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტმა ენერგიული მუშაო-
ბისათვის მათ უძღვნა წითელი დროშა.

აჭარელი ქალის განთავისუფლება 10 თებერვალს ბათომმა იღვასას-
წულა გრანდიოზული დემონსტრაციით, რომელშიაც მონაწილეობა მი-
იღო 30.000-მდე კაცმა.

ქუჩახე, როგორც ყრილობაზეც, გრძელდებოდა აღფრთოვანებული
სიტყვები აჭარელი ქალის საუკუნოებრივი მონობისაგან განთავისუფლე-
ბის შესახებ.

ბევრ რამის მომსწრე აზიზიეს მოედანი ამ დღეს უჩვეულო სანახაო-
ბის მოწმე შეიქნა. მის გულზე დაინთო ღიდი კოცონი, რომელმაც შთა-
ნთქა 30-დე ჩადრა.

აქაც პირველ ადგილზე იყვნენ ხულოს დღევგატები. მათ ტრიბუნის
წინ მოიხადეს ჩადრი და ცეცხლს მისცეს იგი. მათ მიჰყვნენ სხვებიც და
ჩქარა ყინულზე უზარმაზარი ცეცხლი აფუზგუზდა.

ჩადრის დაწვამ ამ დღეს მასიური ხასიათი მიიღო. ქალაქის მრავალ
ადგილას ვარვარებდა ცეცხლი. დაბოლოს საჭირო შეიქნა ამ მოძრაობის
შეჩერება. გადაყრილი ჩადრი დააგროვეს ერთ ადგილას, რომ შემდეგ გა-
დასცენ კრა-კერვის სკოლებს, რომლებიც გაიხსნება სოფლებში.

ღიდახანს ესალმებოდა ბათომის პროლეტარიატი ბნელი წარსულიდან
თავდაღწეულ აჭარელ ქალს. ამ უკანასკნელმა თვალნათლივ დაინახა ის თა-
ნაგრძობა და მზრუნველობა, რომელიც მის უკან სდგას და ზურგს უმაგ-
რებს მას კულტურისა და პროგრესისათვის ბრძოლაში. ამით გათამამებუ-
ლი ის უფრო მედგრად შეებრძოლება ძველ ადათ-ჩვეულებებს და აქტიუ-
რად ჩადგება ახალ ყოფა-ცხოვრებისათვის მებრძოლთა რიგებში.

შალვა ბუაჩიძე.

